# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 30 ივნისი 2000 №123 (1145) | ფასი 50 თეთრი




REUTERS

იტალიელთა კარში დარტყმული ექვსი პენალტიდან ფრანჩესკო ტოლდომ (№12) სამი მოიგერია, აქედან ორი ჰოლანდიელთა კაპიტან ფრანკ დე ბურისა (№4)

UEFA EURO 2000

ნახევარფინალი

| | |
|---|---|
| იტალია | 0 |
| ჰოლანდია | 0 |

პენალტებით 3:1

# ტოლდო!

## მთელი იტალია, ნაკრებიც და ხალხიც, ფინალში გასვლას სამი პენალტის აღებ მეკარე ფრანჩესკო ტოლდოს უნდა უმადლოდეს

იხილეთ მეორე გვერდი

# ტკბილი წყვილი, მწარე მარცხი

ავთანდილ სვანიძე

*ლონდონიდან*



### შეყვარებულები

ანდრე აგასისა და შტეფი გრაფის გახმაურებულმა რომანმა ჩოგბურთის სამყაროში ახალი მოდა დაამკვიდრა — ამ რამდენიმე თვეში ATP და WTA ტურის უამრავია მოთამაშე შერეულ წყვილებში თამაშისას საჭიროზე გაცილებით მეტად დაუახლოვდა ერთმანეთს და მოულოდნელად აქაურობა შეყვარებული წყვილებით აივსო.

ჯენიფერ კაპრიატი და 20 წლის ნიჭიერი ბელგიელი ქსავიე მალისი იანვრიდან ერთად არიან და უიმბლდონზე შერეულ წყვილებში ერთადაც კი თამაშობენ, ისევე, როგორც ამომავალი ვარსკვლავები, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი და ბელგიელი კიმ კლაისტერსი.

თუმცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში, სავსებით დამსახურებულადაც, მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნები, მარტინა ჰინგისი და მაგნუს ნორმანი მოექცნენ. პარიზში, „როლან გაროსის" დროს ისინი ჯერ კიდევ ერიდებოდნენ საზოგადოებაში ერთად გამოჩენას და ჟურნალისტებთან ამის შესახებ ლაპარაკს, მაგრამ უიმბლდონზე უკვე აღარავის ემალებიან.

„მაგნუსი აშკარად სექსუალურია. ვფიქრობ, ის ძალიან კარგად გამოიყურება და შესანიშნავი იუმორის გრძნობაც აქვს" — განუცხადა მარტინამ „ივნინგ სტანდარტს".

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



REUTERS

პიტ სამპრასმა ტკივილს და მეტოქეს აჯობა

ამსტერდამი
29 ივნისი
21.00 საათი
არენა
50 000 (ტევადობა 51 200)

**იტალია 0:0 ჰოლანდია**

პენალტებით 3:1

1:0 დი ბიაჯო, 1:0 დე ბური (მეკარე), 2:0 პესოტო, 2:0 სტამი (ააცილა), 3:0 ტოტი, 3:1 კლუივერტი, 3:1 მალდინი (მეკარე), 3:1 ბოსველტი (მეკარე)
დე ბურმა ვერ გაიტანა პენალტი (37, მეკარე)
კლუივერტმა ვერ გაიტანა პენალტი (62, ძელი)
**იტალია:** ტოლდო, მალდინი, კანავარო, ნესტა, იულიანო, დი ბიაჯო, ძამბროტა, ალბერტინი (პესოტო 77), ფიორე (ტოტი 82), ინძაგი (დელვეკიო 67), დელ პიერო
მწვრთნელი: დინო ძოფი
**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ბოსველტი, სტამი, ფ. დე ბური, ვან ბრონკჰორსტი, ზენდენი (ვან ფოსენი 77), დავიდსი, კოკუ (ვინტერი 95), ოვერმარსი, ბერხკამპი (ზეედორფი 87), კლუივერტი
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ძამბროტა, იულიანო, ზენდენი, ნესტა, მალდინი, დავიდსი, ვან ბრონკჰორსტი, დი ბიაჯო, სტამი
გაძევება: ძამბროტა (33)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

*კარისკენ დარტყმა: 6-14; კარში დარტყმა: 2-9; ჯარიმა: 29-33; კუთხური: 3-6; თამაშგარე: 5-3*

# ჰოლანდიაში ბავშვებს ტოლდოთი შეაშინებენ



REUTERS ამსტერდამიდან

ჰოლანდიელმა დენის ბერხკამპმა იტალიელ ლუიჯი დი ბიაჯოს ბურთი არ დაანება

ზურაბ მექვრლიძე
ამსტერდამიდან

ევრო 2000-ს შანსი ჰქონდა, 12 წლის წინანდელ ჩემპიონატს დამსგავსებოდა და ყოველგვარი პენალტების სერიისა და მსგავსი მამაძალლობის გარეშე გაერკვია გამარჯვებული. რჩებოდა ორადორი შეხვედრა.

ძირითად და დამატებით, ჯამში 120 წუთს, მსაჯმა ორიც წაუმატა და ამ დროს ტოლდომ ჰოლანდიელთა მორიგი დარტყმა კუთხურზე მოიგერია. დამთავრდა, მარკუს მერკმა დასტვინა — ახლა პენალტები დავარტყათო.

გუშინ საღამოს, ამსტერდამის ულამაზეს „არენაზე“, თერთმეტმეტრიანები მანამდეც დაირტყა, ვიდრე მასპინძელთათვის საბედისწერო წუთი დადგებოდა. დიახ, საბედისწერო, რადგან როცა შენი ერთი პარტნიორი ვერ გადაახტება ორმოს და ჩავარდება, როცა მეორესაც იგივე ბედი ეწევა, ცხადია, მუხლი აგიკანკალდება და თუ აუცილებლობა არაა, არც გადახტები. ჰოლანდიას უკვე წაგებული ჰქონდა.

რაიკარდმა შეაგროვა ხუთი კაცი. ამათგან ორი სწორედ ორმოდან ამოყვანილი გახლდათ. ჩანაფიქრიც სწორი იყო— სწორედ ერთ-ერთ „დაზარალებულს“ უნდა დაემტკიცებინა, რომ შემთხვევით ჩავარდა. მივიდა ფრანკ დე ბური ბურთთან, დაარტყა და ისევ ტოლდომ აულო. აქ ჰოლანდიამ კიდევ ერთხელ წააგო. ფორმალურად ეს სამ წუთში გაფორმდა, როცა ბოსველტმა იმ საღამოს ტოლდოს კარში დარტყმული მეექვსე პენალტიდან მეხუთე გააცუდა.

ინგლისური სენია თერთმეტმეტრიანების სერიაში დამარცხებაო, ამბობენ. მაშ ჰოლანდია? რვა წელიწადში მეოთხე შეჯიბრებას ეთიშება სწორედ ამ მიზეზით: 1992-ში დანიასთან წააგო ნახევარფინალი, მომდევნო ევროპის ჩემპიონატზე, ინგლისში, ფრანგებთან მეოთხედფინალში არ გაუმართლა, შარშანწინ ტაფარელის ჯობნა ვერ შეძლეს მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში და ახლაც იგივე, მაგრამ უკვე საკუთარი მაყურებლის თვალწინ.

იტალიისთვის კი გუშინდელი პენალტების სერია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში სულაც პირველად გამოდგა მომგებიანი.

ფრანკ დე ბურს, თუ გატანა იყო, 38-ე წუთზე უნდა გაეტანა და ფინალში საფრანგეთის მეტოქის საკითხიც, ალბათ, იქ გაირკვეოდა — გერმანელმა მსაჯმა, ხუთი წუთით ადრე ზენდენთან უხეშობისთვის ძამბროტა რომ გასახდელის გზას გაუყენა, კლუივერტის დაკავება პენალტით შეაფასა. სანამ სხვები ჩხუბობდნენ, დელ პიერო თავის მეკარესთან მივიდა და რაღაც ურჩია. როგორც აღმოჩნდა, ბრძნულად მოქცეულა.

სასჯელის უმაღლესი ზომა მარკუს მერკმა მეორედ 61-ე წუთზე გამოიყენა. აქ უკვე აშკარა იყო დარღვევა, მაგრამ იტალიელებმა, იულიანომ დავიდსი საჯარიმოს გარეთ წააქციაო, ამჯერადაც, ოღონდ ოდნავ ნაკლები ინერვიულეს. დელ პიეროს კლუივერტის პენალტისა არაფერი სცოდნია.



REUTERS ამსტერდამიდან

გახარებული თანაგუნდელებით დახუნძლული ფრანჩესკო ტოლდო

დარჩა ტოლდო ინტუიციის ამარა, მაგრამ არ გაუმართლა. არ გაუმართლა ჰოლანდიელ ბომბარდირსაც — ბურთი ძელს მოხვდა.

მანამდე? 47 წუთი და 7 წამი იყო გასული თამაშის დაწყებიდან, როცა დინო ძოფის გუნდის წევრმა მეტოქის კარისკენ დაარტყა. შესვენებაზე პრესლოჟაში პირველი ტაიმის სტატისტიკური მონაცემები მოგვიტანეს და აღმოჩნდა: იტალიას არ ჩაუწოდებია არც ერთი კუთხური, არ დაურტყამს საკუთრივ კარში და არც კარის მიმართულებით.

ათნი იყვნენო. 33 წუთი ხომ იყვნენ თერთმეტნი? მაგრამ თამაში დაიწყო და აღმოჩნდა (უფრო სწორად, დადასტურდა), რომ ძოფი კონტრშეტევის იმედად იყო, მასპინძელთა განიერ შეტევებს კი ოთხშელონიანი სანგარი დაუპირისპირა. ასე ელოდა ეს გუნდი თავის შანსს — 45 წუთი, 90, 120... მეორე ტაიმისა და დამატებითი დროის მოკლე მონაკვეთები იყო მხოლოდ გამონაკლისი საერთო ვითარებიდან.

ისე, ხანდახან მართლაც გაძევებულის გუნდს წაადგება-ხოლმე კაცნაკლულობა. სანამ ძამბროტა მეორე გაფრთხილებას მიიღებდა, ზენდენსა და ოვერმარსს აკლებული ჰქონდათ ცნობილი იტალიური დაცვის ორივე ფრთა. ანერვიულებულ იულიანოსა და ძამბროტას ვერც კაპიტანი მალდინი შეეშველა და თავადაც შეცდომა შეცდომაზე დაუშვა. მეორე ტაიმში კი კანავარო და ნესტა ამოქმედდნენ. ზენდენი, დაიღალა თუ რა იყო, ველარ ნავარდობდა, მის შემცვლელად შესული ვეტერანი ვან ფოსენი კი ჯიუტად ცდილობდა კანავაროს მოტყუებას და არაფერი გამოსდიოდა. დამატებით დროში რაიკარდმა მას და ოვერმარსს ადგილებიც კი გაუცვალა — ეგებ პიტერს თავის კბილა მალდინისთან მაინც გამოუვიდეს რამეო, მაგრამ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არც ამჯერად შეცვლილა.

ბურთს კი ფლობდა ჰოლანდია, ფლობდა დიდხანს, მთელი სათამაშო დროის ზუსტად ორ მესამედს. ეს პირველ რიგში დავიდსისა (ეს ვინ ყოფილა!) და კოკუს დამსახურება იყო (ეული ინძაგის გამკლავება იოლი საქმეა), მაგრამ დაიღალა კოკუ, მის ნაცვლად შესულ, აწ უკვე ჰოლანდიის რეკორდსმენს (ნაკრებში ჩატარებული მატჩებით — 94) არონ ვინტერს კი მისი სრულფასოვანი შეცვლა, სხვას რომ თავი ვანებოთ, თუნდაც ასაკის გამო არ შეეძლო.

...ორ წუთს ვამატებო, მერკმა რომ თანაშემწეს ანიშნა, იქვე მდგომმა ძოფმა — დაიხოცა ხალხი, რა ამბავიაო — ანიშნა. მართლაც, დავიდსის გარდა (ამას ბურთი აუტში გაექცა, ანუ პირველი შეცდომა 114-ე წუთზე მოუვიდა), ილაჯი თითქმის ალარავის ჰქონდა დარჩენილი. იყო ერთი კუნთის დაჭიმვა და მისთანები.

მერე დაჰკრა დი ბიაჯომ (ამას უსწავლია ორმოზე გადახტომა), აილო ტოლდომ კიდევ ორი პენალტი (კიდევ ერთი სტამმა ზუსტად 32-ე რიგში მჯდომს გაარტყა) და დამთავრდა. მეოთხედ რვა წელიწადში.

## მატჩის შემდეგ

„პირველი პენალტი ძალიან კარგად დავარტყი, ისევე როგორც ჩეხებთან, მაგრამ ტოლდოს, როგორც ჩანს, ის დარტყმა კარგად ახსოვდა და მიმართულება გამოიცნო. მეორე შემთხვევაში კი უხეირო შესრულება დაღლილობის ბრალია“ — რა მიხვედრა უნდა, ეს **ფრანკ დე ბურის** სიტყვებია. გასაოცარი კი აი, რა არის — დაღლილი თუ იყო, თავი რად გამოიდო? და ისევ დე ბური: „ვფიქრობ, ფინალში გასვლას ვიმსახურებდით.“ ხუთი პენალტის ვერგამტანი გუნდის კაპიტანი ამას არ უნდა ამბობდეს.

ეს კი **ფრანკ რაიკარდია**: „ნაკრებში დანიშვნისას ერთადერთი მიზანი მქონდა — ჩემპიონობა. ეს ვერ შევძელი, მიზეზებზე ალბათ მოგვიანებით ვისაუბრებ. ახლა კი ვიტყვი, რომ გუნდში ჩემი მისია ამით ამოიწურა, ახალი მწვრთნელის მოსვლის დროა.“

პენალტების შესრულებაზე ყოველდღიურად ვვარჯიშობდით, მაგრამ მატჩის დროს არსებულმა ფსიქოლოგიურმა ზეწოლამ იმოქმედა.

იტალიელთა დაცვა დიდებულად იყო ორგანიზებული, მათ უშეცდომოდ ითამაშეს.“

**იაპ სტამს** კი აცილებულ პენალტზე არანაკლებ რაიკარდის განცხადებამ დაწყვიტა გული: „მისი წასვლა არავის გვსურს. რაიკარდმა ამ ორ წელიწადში უზარმაზარი მუშაობა გაწია და ჩემპიონატისთვის საუკეთესო გუნდიც მოამზადა.“

ძლივს არ გაიღიმა **დინო ძოფმა**? ნერვიული 120 წუთის შემდეგ უცებ ხასიათზე მოვიდა და შემდეგი განაცხადა: „თავიდან ცუდად დავიწყეთ, მაგრამ ათნი რომ დავრჩით, სხვა გზა აღარ გვქონდა, უკეთ უნდა გვეთამაშა. როცა საქმე პენალტებამდე მივიდა, ფეხბურთელებს ვუთხარი, ვინც საკუთარ თავში ბოლომდე დარწმუნებული ხართ, იმათ დაარტყით მეთქი. ბიჭებიც ასე მოიქცნენ.“

ერთი გოლის ავტორი შეცვლაზე შესული **ჯანლუკა პესოტოცაა**: „მჯეროდა, რომ გავიტანდი. ეხლა ძალიან ბედნიერი ვარ და ფინალზე ფიქრი არ შემიძლია. ხვალ კი ყველაფერი დალაგდება და გადამწყვეტი ბრძოლისთვის მზადებას შევუდგები.“

## მატჩის სტენოგრამა

3 — ბერხკამპის პასით კოკუ ტოლდოსთან პირისპირ დარჩა, მეკარეს თავზეც გადაუგდო, თუმცა ვერ გაიტანა.

12 — ვან ბრონკჰორსტის მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს, ბერხკამპმა თავური დაჰკრა, ტოლდომ მშვიდად აილო.

14 — ბერხკამპმა იულიანო იოლად ჩამოიცილა და მეკარისგან მარჯვენა მახვილ კუთხეში დაარტყა, იტალია ტოლდომ ვერა, მაგრამ ძელმა კი იხსნა.

25 — ვან ბრონკჰორსტმა ჯარიმა დაარტყა, სტამმა ნესტას დაასწრო და თავით კოკუს გადაუგდო ბურთი, ეს უკანასკნელი ვარდნაში ცდილობდა დარტყმას, ამაოდ.

28 — ზენდენის იტალიელთა საჯარიმოში წაქცევა მსაჯმა მერკმა სიმულაციად მიიჩნია და ჰოლანდიელი გააფრთხილა.

33 — ძამბროტამ ზენდენის წაქცევისთვის მეორე ყვითელი მიილო და მინდორი დატოვა.

37 — კლუივერტი საჯარიმოში ნესტამ დაქაჩა, მსაჯმა პენალტი დანიშნა. ფრანჩესკო ტოლდომ ფრანკ დე ბურს ჩინებულ ნახტომში პენალტი აულო.

45 — იტალიელთა დაცვამ წამით მოადუნა ყურადღება, რითაც კლუივერტმა ვერ ისარგებლა, ბურთი კარს მცირედით ააცილა.

48 — ფიორეს დარტყმული ბოსველტმა აისხლიტა, ვან დერ სარმა ბურთი ნახტომში კუთხურზე მოიგერია.

58 — ზენდენის მიწაზე დაუშვებლად დარტყმულს, ტოლდო იოლად დაეუფლა.

62 — იულიანომ საჯარიმოში დავიდსი მოცელა. მერკმა მეორე პენალტი დანიშნა. ჰოლანდიას ახლაც არ გაუმართლა, კლუივერტის დარტყმული მარცხენა ძელმა მოიგერია.

69 — ზენდენის შორიდან დარტყმული, სახიფათო, თუმცა ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

84 — მეკარესთან პირისპირ დარჩენილ დელვეკიოს დე ბური ჩაუვარდა ფეხებში და მოიერიშეს დარტყმა არ აცალა.

87 — იტალიის დაცვამ ლამის საბედისწერო შეცდომა დაუშვა, ზეედორფმაც ახლოდან დაარტყა, კვლავ ტოლდომ იყოჩაღა.

90 — მსაჯის დამატებული დროც იწურებოდა. დელვეკიოს ყველაფრის დამთავრება შეეძლო, მაგრამ უხეიროდ დაარტყა და ვან დერ სარიც იოლად დაეუფლა ბურთს.

100 — ვან დერ სარმა ჰოლანდია ფეხით იხსნა. მასთან პირისპირ დარჩენილი დელვეკიოს მახვილი კუთხისკენ დარტყმულს არ მისცა კარში შესვლის ნება.

108 — კლუივერტი მარცხენა ფლანგიდან შევარდა საჯარიმოში და ტოლდოს მარჯვენა კუთხეში დაბალი ბურთი დაურტყა, ოდნავ არაზუსტად.

115 — კლარენს ზეედორფის სახიფათოდ დარტყმული ტოლდოს კარს ოდნავ ასცდა.



REUTERS ბრიუსელიდან

დავიდ ტრეზეგე: ხელია, ხელი...

# ასეთ თერთმეტმეტრიანს ფრანგების კარში არ დანიშნავდნენ

საფრანგეთი — პორტუგალია. 1:1 და 117-ე წუთი. სილვენ ვილტორდის დარტყმულს პორტუგალიელი მცველი აბელ შავიერი ნახტომში გადაელობა და... მონასტერიც აირია. ფრანგმა დავიდ ტრეზეგემ ავსტრიელ მსაჯს მიუთითა, მცველმა ბურთი ხელით მოიგერიაო, გიუნტერ ბენკომ კი ვერაფერი დაინახა და თანამსაჯისკენ გაიქცა. პორტუგალიელ და ფრანგ ფეხბურთელთა ჯგუფმაც პირით ხაზთან გადაინაცვლა. რას გადაწყვეტს თანამსაჯი — პენალტია. გაარკვევდით მისი ბაგეებიდან წარმოთქმულ სიტყვას.

მილიონობით ტელემაყურებელმა იხილა, როგორ შემოეხვივნენ პორტუგალიელები და მათ შორის მწვრთნელი უმბერტუ კოელიუ გიუნტერ ბენკოს, როგორ ედავებოდნენ, სიმწრისაგან როგორ გაიძრო მაისურა ლუიშ ფიგუმ და გასახდელისკენ გაემართა, თუმცა კი შეაჩერეს. და როდესაც ზინედინ ზიდანმა თავისი შანსი გამოიყენა, ბენკოს ხელშიც წითელმა ბარათმა გაიელვა — ნუნუ გომეში გააძევა.

უემბერტუ კოელიუმ, ვერ გეტყვით, რატომ, ალბათ მაინც ცხელ გულზე სენსაციური განცხადება გააკეთა: „ნაკრების მწვრთნელობიდან მივდივარ."

და მაინც, პორტუგალიელთა თქმით, ისინი საყოველთაო შეთქმულების მსხვერპლნი გახდნენ, და რომ...

ანტონიუ ფლორენსიუ, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე: „შეიძლება პენალტი იყო და არც იყო. მე ვიდეოჩანაწერისთვის არც მიყურებია, მაგრამ თამამად ვაცხადებ, ასეთ თერთმეტმეტრიანს მსაჯი ფრანგების კარში არ დანიშნავდა. იმიტომ, რომ საფრანგეთი — ეს არის პრესტიჟი, ეს არის ბევრი ქომაგი, ეს გახლავთ ფული. არავინ დაუშვებდა, მსოფლიოს ჩემპიონი ევროპის ჩემპიონატს გამოთხოვებოდა.

ფიგუ... ფიგუს კი ძლივს გადაათქმევინეს გასახდელში ჩასვლა. იდგა მონუსხულივით მოედნის კიდესთან ზურგშექცეული, თავზე მაისურაგადაფარებული. პორტუგალიის ნაკრების „ხელოვნური სიკვდილი" მან ფრანგ გულშემატკივართა რეაქციით შეიტყო: „მე მსაჯს არ ვადანაშაულებ, დამნაშავე თავად სისტემაა, რომელიც დღეს არსებობს. პორტუგალია პატარა ქვეყანაა, საფრანგეთი... ჩვენ ფინალში არ გაგვიშვეს."

გიორგი ვაშაკიძე

# პორტუგალიამ წააგო, რეკორდი კი დაამყარა

ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიელთა კარში სტივ მაკმანამანის გატანილი გოლიდან ტიერი ანრის გოლამდე 392-მა წუთმა განვლო. რეკორდიც ეს გახლავთ. აქამდე საკუთარი კარის მშრალად შენახვა ამდენი ხნით ვერავის მოეხერხებინა.

თუმცა არსებობს იტალიის რეკორდიც. თუ პორტუგალიელებმა ასეთი შედეგი მხოლოდ ერთ ჩემპიონატზე აჩვენეს, „სკუადრა აძურას" ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე მთელი თორმეტი წელიწადი გოლი არ გაეშვათ. 1968 წელს მათი კარი იუგოსლაველმა ჯაიჩმა დალაშქრა, ხოლო 1980-ში ჩეხმა იურკემიკმა. ამ ორ გოლს კი ერთმანეთისგან 494 წუთი აშორებს. როგორი საქმეა, 12 წელი უგოლოდ? ისე, ამ ფაქტს ასეთი ახსნაც აქვს, იტალიელები 1972 და 76 წლებში ევროპის ჩემპიონატებს მიღმა დარჩნენ.

| პორტუგალია<br>392 წუთი გოლის გაუშვებლად | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 ივნისი, 2000 | ეინდჰოვენი | ინგლისი | 3:2 | მაკმანამანი (18) | 72 |
| 17 ივნისი, 2000 | არნემი | რუმინეთი | 1:0 | | 90 |
| 20 ივნისი, 2000 | როტერდამი | გერმანია | 3:0 | | 90 |
| 24 ივნისი, 2000 | ამსტერდამი | თურქეთი | 2:0 | | 90 |
| 28 ივნისი, 2000 | ბრიუსელი | საფრანგეთი | 1:2დ.დ. | ანრი (51) | 50 |
| **იტალია<br>494 წუთი გოლის გაუშვებლად** | | | | | |
| 8 ივნისი, 1968 | რომი | იუგოსლავია | 1:1 | ჯაიჩი (39) | 81 |
| 10 ივნისი, 1968 | რომი | იუგოსლავია | 2:0 | | 90 |
| 12 ივნისი, 1980 | მილანი | ესპანეთი | 0:0 | | 90 |
| 15 ივნისი, 1980 | ტურინი | ინგლისი | 1:0 | | 90 |
| 18 ივნისი, 1980 | რომი | ბელგია | 0:0 | | 90 |
| 21 ივნისი, 1980 | ნეაპოლი | ჩეხოსლოვაკია | 1:1 | იურკემიკი (54) | 53 |

# შრამკას საქციელი მოუწონეს

ფეხბურთის ქომაგებს აბელ შავიერის ხელი კიდევ დიდხანს ექნებათ სალაპარაკოდ. აი, უეფამ კი თავისი საბოლოო სიტყვა უკვე თქვა. „თანამსაჯი იგორ შრამკა არ შემცდარა — განაცხადა უეფას მსაჯთა კომიტეტის წარმომადგენელმა ფოლკერ როტმა — პენალტი უეჭველი იყო და ამაზე კამათი არ ღირს".

გეხსომებათ, არბიტრმა გიუნტერ ბენკომ წესის დარღვევა ვერ შენიშნა და რომ არა თანამსაჯის მახვილი თვალი, ალბათ, შეხვედრა პენალტების სერიით დასრულდებოდა. ასე რომ, გაუგებარია, რას ერჩოდნენ პორტუგალიელები ბენკოს, საქმე შრამკასთან უნდა გაერჩიათ.

# ერიდეთ სიყალბეს და ბნელ სადარბაზოებს

საბჭოურ მანეთს ეწერა: გაყალბება ისჯება კანონით.

ასეთი სიტუაცია წარმოვიდგინოთ. ყიდულობთ ბილეთს და შედიხართ სტადიონზე. მოძებნეთ თქვენი სექტორი და რიგი, მიდიხართ თქვენს ადგილას. იქ კი ვიღაც სხვა წამოსკუპებულა და ადგომას არ აპირებს. მიზეზიც საპატიო აქვს — ჯიბეში ზუსტად თქვენნაირი ბილეთი უდევს და თუ დასჭირდა, ცხვირწინ აგიფრიალებთ. რა უნდა ქნათ? ჩვენს „ეროვნულზე" ადრე (სანამ ძველი სკამების აღებას და ახალი, ინდივიდუალურების ვერდამონტაჟების პროცესი დაიწყებოდა) პრობლემა იოლად მოგვარდებოდა, გულშემატკივრები ცოტათი შევიწროვდებოდნენ და თავისუფალი ადგილიც გამოჩნდებოდა, უკიდურეს შემთხვევაში, ბეტონის საფეხურზე მოკალათდებოდით.

ევროპის ჩემპიონატზე ამგვარი რამ გამორიცხულია. საფეხურები სასიარულოდ არის მოგონილიო, მოგიგებს წესრიგის დამცველი, რომელთან კამათიც არ ღირს. ვერც ვერავინ ჩაიწევა — როგორი საქმეა, მთელი 90 წუთი ორ ინდივიდუალურ სკამს შორის ჯდომა. მოკლედ, გამოუვალი მდგომარეობაა.

თუმცა ჩემპიონატის ორგანიზატორები ირწმუნებიან, ასეთი შემთხვევა — ერთ ადგილზე ორი ბილეთის გაყიდვა — შეუძლებელია და გონივრულად თუ მოიქცევით, თამაშსაც მშვიდად შეხედავთო.

ახლა გასარკვევი ისღა დაგვრჩა, გონივრულ ქცევაში რა იგულისხმება. ის, რომ ბილეთი სალაროში უნდა შეიძინოთ და არა მავანი სპეკულანტისგან რომელიმე უკაცრიელი ქუჩის ბნელ სადარბაზოში, რომელსაც ოფიციალურ ენაზე „შავი ბაზარი" ეწოდება.

ოფიციოზი ფრთხილობს, პოლიციას ფინალური მატჩის სამი ყალბი ბილეთი უკვე აღმოუჩენია. გულუბრყვილობა იქნება იმის იმედად ყოფნა, რომ ყალბისმქნელები მხოლოდ სამი ბილეთით შემოიფარგლნენ. და, რაც მთავარია, ბილეთები ისე კარგად არის დამზადებული, ნამდვილისგან განსხვავება ძნელია.

რა ილონონ? როტერდამის (სადაც ფინალი შედგება) ყოველი სახლის სადარბაზოსთან გადაცმული აგენტის დაყენება უაზრობაა. ისევ აჯობებს, გულშემატკივრებმა ჭკუა იხმარონ და ბილეთები მხოლოდ სალაროებში შეიძინონ (თუმცა იქ უკვე ყველაფერი გაყიდულია), წინააღმდეგ შემთხვევაში...

ყიდულობთ ყალბ ბილეთს (ცხადია, ძალიან ძვირად), მიდიხართ სტადიონზე, იქ ბილეთს კონტროლიორს წარუდგენთ, ის გეუბნებათ, რომ ბილეთი ყალბია და იქვე მდგომ პოლიციელს თვალით რაღაცას ანიშნებს...

გიორგი დარჯანია

### ფინალში გასვლის შემდეგ ფრანგებს ჟურნალისტები მიესივნენ და „ლურჯებმაც" არ დაიზარეს მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება

# ლემერი ჟაკეს ჩემპიონობას შეჰპირდა



ოქროს პენალტის გამტანი ზინედინ ზიდანი

ზინედინ ზიდანი:

**— გვითხარით, როგორ შეძელით კონცენტრირება გადამწყვეტი დარტყმის წინ?**

— ძალიან გამიძნელდა, რადგან მანამდე დაახლოებით შვიდი წუთი კამათმა წაიღო. პორტუგალიელები მსაჯებს ეჩხუბნენ. ყურადღების მოკრება გაძნელდა. მინდორზე, თუ შეიძლება ითქვას, გაცხოველებული მოძრაობა იყო. ბურთი თერთმეტმეტრიანის, ნიშნულზე დავდე და იმ წამიდან მოყოლებული გარე სამყაროს გამოვეთიშე. აღარ მინერვიულია, გამოვიქეცი და გავიტანე.

**— ამ მომენტში დაღლილობას არ გრძნობდით?**

— რა თქმა უნდა, ორსაათიანი მატჩის შემდეგ დავიღალე. ფეხები დამიმძიმდა, მაგრამ მთლიანად გამოფიტული არ ვიყავი. საფრანგეთის გამარჯვებისთვის ეს პენალტი უნდა გამეტანა. ალტერნატივა არ მქონდა და უკანასკნელი ძალები მოვიკრიბე.

**— ამ ევროზე ყველაზე ძნელი მატჩი ეს იყო „ლურჯებისთვის"?**

— დიახ. ყოველთვის ასეა, რაც უფრო წინ მიიწევ, მით რთულდება საქმე. პორტუგალიის დამარცხება გაცილებით გაგვიჭირდა, ვიდრე მეოთხედფინალში ესპანეთის ძლევა. პორტუგალიელებსაც თავისუფლად შეეძლოთ მოგება. თუმცა ჩვენი წარმატება უდავოდ ლოგიკური და დამსახურებულია. უზომოდ მიხარია. საჭირო იყო ბრძოლა ყოველი ბურთის მოსაპოვებლად, ყოველი მეტრით წინ წასაწევად. თავი უნდა დაგვედო. საბედნიეროდ, მეორე ტაიმიდან მოყოლებული ეს მოვახერხეთ. ორთაბრძოლებში უფრო ძლიერები და აგრესიულები (ამ სიტყვის კარგი გაგებით) ვიყავით. და აი, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალიდან ორ წელიწადში ევროპის ჩემპიონატის ფინალსაც მივაღწიეთ. ყველაფერს გავიღებთ საბოლოო გამარჯვებისთვის, თავს არ დავზოგავთ. გვინდა, „დუბლი" გავახერხოთ. ჯერ არავის მოუგია მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები მიყოლებით. ერთი თამაშის მოგებაღა გვაკლია. ახლა კარგად დავისვენებთ და მშვიდად მოვემზადებით ფინალისთვის. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ!

**— ჰოლანდიასთან შეხვედრა გირჩევნიათ თუ იტალიასთან?**

— აბსოლუტურად სულერთია. ორივე დიდი გუნდია, ორივეგან მყავს მეგობრები, ასე რომ...

**— თავს ევრო 2000-ის გმირად თუ თვლით?**

— არ ვიცი, შეიძლება კი, შეიძლება არა... აქამდე ყველაფერი კარგად გამომდიოდა, თუმცა მე მაინც მხოლოდ გუნდის მეთერთმეტედი ნაწილი ვარ.

ემანუელ პეტი:

**— რას ფიქრობთ მატჩზე?**

— ტურნირის დასკვნითი მატჩები ყოველთვის დაძაბულია. ამ საღამოს ძალიან მაღალ ტემპში ვითამაშეთ. მართალია, ბევრი სახიფათო მომენტი არ შექმნილა, მაგრამ შეხვედრა საყურებლად მაინც კარგი გამოდგა. ორივე გუნდი სავსე იყო ტალანტებით.

**— ფრანგული მენტალიტეტი დაგეხმარათ?**

— თავისთავად. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიის განადგურების შემდეგ საკუთარი ძალების უზომოდ გვწამს. პირველ ტაიმში პორტუგალიელებმა ბევრი თავსატეხი გაგვიჩინეს, რადგან გამარჯვების მათაც ძლიერ სწამდათ. ჩვენს ხაზებს შორისაც მოშლილი იყო კავშირი. შესვენების შემდეგ კი ჩვენ ვიძალეთ.

**— თქვენი აზრით, ფინალში ვის შეხვდებით?**

— სულერთია ვინ შეგვხვდება. ხოლო თუ ჩემი პროგნოზი გაინტერესებთ, ალბათ, ჰოლანდია მოიგებს და რევანშის საშუალებაც მოგვეცემა.

ლორან ბლანი:

**— და ახლა ფინალია...**

— ერთი მატჩიღა დაგვრჩა. ყველა შეხვედრა ძნელი მოსაგებია, ნახეთ, ესპანეთთან და პორტუგალიასთან როგორ გაგვიჭირდა? ასე რომ, ფინალი გაცილებით რთული იქნება, მაგრამ გამარჯვება წვალებისა და ტანჯვის გარეშე არ მოდის.

**— ნახევარფინალებს როგორ შეაფასებდით?**

— პორტუგალიელები შეცდნენ, როცა აქცენტი მხოლოდ ჩვენი თამაშის ჩაშლაზე აიღეს. მათ ვერ აჩვენეს ის ფეხბურთი, რომლითაც ამ ტურნირზე უამრავი თაყვანისმცემელი გაიჩინეს. ამიტომაც საფრანგეთის მოგებაში ალოგიკური არაფერია. ისინი მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდნენ, ჩვეულ სტილში ვერ ითამაშეს

**— დიდი ნებისყოფა დაგჭირდათ მატჩის ბედის შემოსაბრუნებლად...**

— ძალიან. თავიდან მდევრების როლში აღმოვჩნდით, მაგრამ მაინც შევძელით მოგება. ნამდვილად კარგი გუნდი ვართ.

როჟე ლემერი:

**— დღეს ფრანგული ფეხბურთის ქომაგებს უხარიათ...**

— ეს გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონების მემკვიდრეობაა. მინდა, მივესალმო ჩემს ძმაკაც ემე ჟაკეს. მას შევპირდი, რომ ჩემპიონები გავხდებოდით. იმედია, სიტყვა არ გამიტყდება.

**— პორტუგალიელები პენალტს უსამართლოდ თვლიან.**

— არავითარი უსამართლობა. მათი იმედგაცრუება გასაგებია, მაგრამ როცა საჯარიმოში დამცველი გუნდი წესებს არღვევს, თერთმეტმეტრიანი ინიშნება. მსაჯმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

**— ჯორკაეფი რატომ არ ათამაშეთ?**

— სამი დაცვაზე ორიენტირებული ნახევარმცველით და ორი თავდამსხმელით მინდოდა თამაში. შესვენებამდე აქედან ბევრი არაფერი გამოვიდა, მაგრამ მერე ანრის და ანელკას ვთხოვე, ფლანგებისკენ გაეწიათ და პორტუგალიის დაცვა გაეწელათ. ამან გაამართლა. ჯორკაეფის მინდორზე შეშვების აუცილებლობა ვერ დავანახე.

თარგმნა გაგი გურულმა

მერაბ ოაციშვილი **28 ივნისი**

ევროპის ჩემპიონატის დღიური

# ნუ ტირი, პორტუგალია!

## შირაკს ბარტეზის თავზე კოცნა მოუნდა




REUTERS ბრიუსელიდან

ბენკო და პორტუგალიელები: ქაოსი დაიწყო

**დამთავრდა** თუ არა საფრანგეთ — პორტუგალიის ნახევარფინალი, უმალ გავიფიქრე: იტალიელი პიერლუიჯი კოლინა ამჟამად მსოფლიოში საუკეთესო მსაჯია. ვიცი, ბევრი არ მეთანხმება, არც მე მაქვს იმის პრეტენზია, რომ ჩემი ნათქვამი სასწრაფოდ კანონად უნდა იქცეს. უბრალოდ, რატომღაც მგონია: ამ მატჩის არბიტრი კოლინა რომ ყოფილიყო, ბევრი რამ არ მოხდებოდა...

კერძოდ: ფრანგები არ აყაყანდებოდნენ და ალბათ, სამართლიანი პენალტის მათხოვრობას არ დაიწყებდნენ; პორტუგალიელები მსაჯს და თანამსაჯს საჯაროდ არ ამოუტრიალებდნენ მკვდარ-ცოცხალს; ლუიშ ფიგუ მაისურას დემონსტრაციულად არ გაიხდიდა და მოედნიდან ლამის შინ არ წავიდოდა; ნუნუ გომეში მსაჯს ხელს არ ჰკრავდა; პორტუგალიელთა მწვრთნელი უმბერტუ კოელიუ და დიდი ეუსებიო თავის ფეხბურთელებსა და მსაჯებს შორის გაეროს სამშვიდობო ჯარივით არ ჩამოდგებოდნენ... მაგრამ იმ დღეს კოლინა არ იყო, მოედანზე ავსტრიელი გიუნტერ ბენკო უსტვენდა.

ბენკომ ვერ გააკონტროლა ის მომენტი, როცა ფრანგი სილვენ ვილტორდის დარტყმული პორტუგალიელ აბელ შავიერს ხელზე მოხვდა. ბენკოს გამოეპარა ნიკოლა ანელკას თამაშგარე, რასაც ფრანგთა პირველი გოლი მოჰყვა. ბენკომ არათუ წითელი, არამედ ყვითელი ბარათითაც არ დასაჯა ზინედინ ზიდანის, ამ მართლაც უმაღლესი დონის ფეხბურთელის და მაღალი ზნეობით გამორჩეული ადამიანის უხეშობა — ფრანგი იმდენად ბინძურად ეთამაშა ჟორჟე კოშტას, რომ ერთხანს დავფიქრდი, შემეშალა, ზიდანი ამას ნაღდად არ გააკეთებდა-თქო. ბენკომ რამდენჯერმე აპატია უხეშობა პორტუგალიელებს. არადა, ზოგიერთი მათგანი გაძევებასაც იმსახურებდა. თუმცა, ეს ყველაფერი ამჯერად მეორეხარისხოვნად მეჩვენება, რადგან გადამწყვეტ მომენტში ბენკომ ვერ გამოავლინა ის თვისება, რაც უმაღლესი დონის არბიტრისთვის ისევე აუცილებელია, როგორც სასტვენი — ბენკოს ქმედებაში არ ჩანდა კატეგორიულობა.

სპორტის მრავალი სახეობის და მრავალი ეროვნების მაღალი კვალიფიკაციის მსაჯებს ვიცნობ. მათთან საუბრებიდან ერთი დასკვნა გამოვიტანე: გადაწყვეტილება, თუნდაც საბოლოოდ მცდარი აღმოჩნდეს, კატეგორიულად უნდა მიიღო. ამით გაცილებით მცირდება შენთან კამათის მოსურნეთა რაოდენობა. ერთი სიტყვით, მოკლედ და კონკრეტულად უნდა მოჭრა — ან ისე, ან ასე, ოღონდ, რაც შეიძლება სწრაფად.

ახლა კი ნახევარფინალის 114-ე წუთს მივუბრუნდეთ და ბენკოს მოქმედებას მივყვეთ. ვილტორდმა ჩააწოდა, აბელ შავიერს ხელზე მოხვდა. მსაჯი იქვეა და ხელს კუთხურისკენ იშვერს. ამ დროს მოედანზე ქაოსის ჩანასახი ჩნდება — ფრანგები პენალტს ითხოვენ, პორტუგალიელები — კუთხურს. მსაჯი ჯერ ფეხბურთელებთან საუბარს უნდება, რითაც მათ ნერვებს უფრო ჭიმავს, და მერეღა მიდის თანამსაჯთან, რომელსაც ალამი კარგა ხნის აღმართული აქვს. მსაჯი და თანამსაჯი ფეხბურთელთა ალყაში არიან. ბენკო ცოტას კიდევ აცდის ფეხბურთელებს და მერე იწყებს მათ გაყრას. შემდეგ კი კონსულტაცია და პენალტი. ვილტორდის ჩაწოდებიდან საბოლოო გადაწყვეტილებამდე სამი წუთი გავიდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა მოედანზე ქაოსის გასამეფებლად.

არ ვიცი, რას დანიშნავდა კოლინა ამ მომენტში (თუმცა გამეორებისას აშკარად დავინახე, რომ აბელ შავიერმა ხელით ითამაშა), მაგრამ, გარწმუნებთ, გადაწყვეტილებას იმდენად სწრაფად და კატეგორიულად მიიღებდა, რომ ემოციურად შეკამათების სურვილი ბევრს დაეკარგებოდა. თუ კი მოდავე გამოჩნდებოდა, თავხოტორა იტალიელი თვალებს დაუბრიალებდა, ერთ-ორს მკაცრად გამოსცრიდა კბილებში და, რატომღაც მგონია, რომ ინციდენტი ამით ამოწურებოდა. დიდი-დიდი ყვითელ ბარათს გამოჰკრავდა ხელს რომელიმე ძალიან აქტიური. ერთი დღე ილაპარაკებდნენ ამ პენალტზე (ან კუთხურზე) და მერე ყველაფერი მიწყნარდებოდა. მაგალითები გნებავთ? შორიდან დავიწყოთ. იტალიის ჩემპიონატში „პარმას“ მიერ „იუვენტუსის“ კარში წესების სრული დაცვით გატანილი და არჩათვლილი გოლი. კოლინამ იქნებ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ მისმა კატეგორიულობამ ვნებათაღელვა მინიმუმამდე შეამცირა. რაღა იტალიას მივადექით, აგერ, ევრო 2000-ზე არ დანიშნა კოლინამ ჩეხეთის კარში ჰოლანდიის სასარგებლოდ საეჭვო პენალტი? დიახ, საეჭვო, მაგრამ გადაწყვეტილება იმდენად კატეგორიულად იქნა მიღებული, რომ შესაძლო შემდგომი გართულებები იქვე ამოიძირკვა. ემოციების გამოვლენას და კოლინას კრიტიკას ერთი დღე დასჭირდა, მესამე დღეს ეს პანალტი აღარავის ახსოვდა.

ბენკოს ყოყმანმა კი ეს მოიტანა: ამიერიდან ყველა პორტუგალიელი იტყვის, რომ ევრო 2000-ის ნახევარფინალში მათ ნაკრებს გამარჯვება მსაჯებმა წაართვეს. ფრანგებს ყოველთვის მიაძახებენ, რომ ევრო 2000-ის ფინალისტობა (იქნებ მერე ჩემპიონობაც) სამადლოდ მიუგდეს. რაც მთავარია, ეს მატჩი ისტორიაში შევა არა როგორც ერთ-ერთი დაძაბული და დიდი ფეხბურთის ელემენტებით გაჯერებული, არამედ როგორც პორტუგალიის კარში სამართლიანად (საფრანგეთის გულშემატკივართა თვალსაზრისით) თუ უსამართლოდ (პორტუგალიის გულშემატკივართა თვალსაზრისით) დანიშნული პენალტით.

რა გასაკვირია, რომ პორტუგალიელი ფეხბურთელები გაცეცხლებულნი არიან და რაც პირზე მოადგებათ, ყველაფერს ამბობენ. ცხადია, ყველაზე საინტერესო საპენალტო სიტუაციის მთავარი პერსონაჟის აბელ შავიერის აზრია. ან ის რა გასაკვირია, რომ პორტუგალიელი მცველი ამბობს, ხელით განზრახ არ მითამაშია, ხელი გვერდზე წონასწორობის შესანარჩუნებლად გავწიეო: „პენალტი არ იყო. სად უნდა წაიღო ხელები მოძრაობის დროს? მსაჯები უსამართლოდ მოიქცნენ. ყველას პატიოსანი თამაშის პრინციპი აკერია პირზე. პატიოსანი თამაში ფეხბურთელებისთვის, პატიოსანი თამაში გულშემატკივრებისთვის. მსაჯებმა აღარ უნდა ისწავლონ პატიოსანი თამაში?“

პატიოსანი თამაში ყველამ უნდა ისწავლოს, აქ ორი აზრი არ არსებობს. ისე, რა მცირე მანძილია გმირობიდან ანტიგმირობამდე: აბელ შავიერს ძირითადი დროს ბოლო წუთზე თავური რომ გაეტანა, ახლა, ალბათ, სულ სხვა თემაზე ისაუბრებდა.

თანაგუნდელებს კი სულაც არ მიაჩნიათ აბელ შავიერი დამნაშავედ და მის დასასჯელად ხმას იმაღლებენ. „იქნებ აბელს ბურთი ხელში მოხვდა კიდეც, მაგრამ განზრახ ხელით არ უთამაშია. რა ქნას, ხომ არ მოიჭრის ამ ხელებს?“ — ამბობს დიმაში. „რა შუაშია აბელ შავიერი, თანამსაჯი ჩვენს წინააღმდეგ იყო განწყობილი. ფრანგთა პირველი გოლის წინ ანელკას თამაშგარე ორ მეტრში ვერ დაინახა, სამაგიეროდ, შავერის ხელით თამაში ოცდაათ მეტრში შენიშნა“ — რუი ჟორჟემ სლოვაკი თანამსაჯის იგორ შრამკას პატიოსნება და მხედველობა დააყენა ეჭვქვეშ. „განრისხებული ვარ. ჩემს ადგილას ყველა ასე იქნებოდა. ფინალში გასვლის შანსი გვქონდა და იგი უსინდისოდ წაგვართვეს. ამას არ ვიმსახურებდით. საფრანგეთთან დამარცხება სირცხვილი არაა, ეს შესანიშნავი გუნდია, მაგრამ როცა ასე გეპყრობიან, გაბრაზების მეტი აღარაფერი გრჩება“ — ცხარობს ლუიშ ფიგუ.

ისე, ფიგუ პენალტის დანიშვნის მომენტშიც გაცხარდა და მაისურაგახდილმა თამაში მიატოვა. შედარებით დაწყნარებულ მდგომარეობაში მყოფმა ფეხბურთელმა ასე ახსნა თავისი საქციელი: „იმ წუთში აღარაფერი მინდოდა, განსაკუთრებით — ფეხბურთის თამაში. ის კი არა, ახლაც არ ვიცი, გავაგრძელებ თუ არა კარიერას“.

გააგრძელებ, ლუიშ, აბა რას იზამ. ფეხბურთის თამაშზე კარგად სხვა რამე რომ იცოდე, ბურთს არავინ გაგორავებინებდა, მოგკიდებდნენ ხელს და შენს ნიჭსა და უნარს სხვა სფეროს ხალხი გამოიყენებდა. სამაგიეროდ, პორტუგალიელთა მწვრთნელმა უმბერტუ კოელიუმ შეწყვიტა სანაკრებო კარიერა: ამ რიგიანმა მწვრთნელმა ამის თაობაზე ნახევარფინალის დასრულებისთანავე განაცხადა.

„ნუ ტირი, პორტუგალია!“ — წერს პორტუგალიური სპორტული გაზეთი „ა ბოლა“ და აგრძელებს: „მსაჯის გადაწყვეტილება ვერ დაჩრდილავს ჩვენი ფეხბურთელების შესანიშნავ თამაშს. ამ ბიჭებმა პორტუგალია ბედნიერ ქვეყანად აქციეს“. პორტუგალიის ბედზე, რაობაზე და მნიშვნელობაზე თავისი აზრი გამოთქვა ეუსებიომ: „პორტუგალიას პირველად როდი მოექცნენ ასე უსამართლოდ. 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენ, პატარა ქვეყნის შვილებმა ხმა ამოვიღეთ, რისთვისაც წამსვე დაგვსაჯეს: ნახევარფინალში ინგლისთან წაგვაგებინეს. ახლა ნახეთ, რა მოხდა: პორტუგალია ევრო 2000-დან გამოაგდო თანამსაჯმა, რომელსაც დიდი ქვეყნის ეშინია. დიახ, საფრანგეთი დიდი ქვეყანაა და თან მსოფლიოს ჩემპიონია. მისი ყველას ეშინია“.

ერთი ნუნუ გომეშზეც ვთქვათ. პორტუგალიელთა მხრიდან ერთადერთი გოლის ავტორმა მატჩის ბოლოს მსაჯ ბენკოს ხელი უბიძგა და თავისი მაისურა მიუგდო, რისთვისაც წითელი ბარათი მიიღო. „მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ვიყავი, მაგრამ მაინც მივედი მასთან და ჩემი მაისურა გავუწოდე. ვუთხარი: საჩუქრად აიღეთ, პორტუგალიის სამახსოვროდ გქონდეთ-მეთქი. იგი უარზე იყო. მე კეთილი განზრახვით გადავუგდე მაისურა, მან კი ვერ დაიჭირა“ — ასეთია ნუნუ გომეშის ნაუცბათევი და ბუნდოვანი კომენტარი.

ცხადია, უეფას სულ არ ანაღვლებს პორტუგალიელთა გაბრაზება. იგი თავადაა გაბრაზებული წესრიგის დარღვევის ფაქტების გამო და, ცხადია, დაუსჯელს არავის დატოვებს. უეფას გუშინ უნდა გაერჩია პორტუგალიელთა საქმე, მაგრამ მერე კვირისთვის გადადო. სადისციპლინო კომიტეტის წარმომადგენელმა თქვა, პარასკევს და შაბათს ლუქსემბურგში უეფას კონგრესია, მოვილევთ მას და უწესოებსაც მერე მივხედავთო.

არც ისაა გასაკვირი, რომ საფრანგეთის ბანაკში პორტუგალიელებისგან სრულიად საპირისპირო განწყობა სუფევს. ზინედინ ზიდანმა მსაჯის გადაწყვეტილებას „ლოგიკური“ უწოდა, ხოლო თერთმეტმეტრიანის შესრულების თაობაზე აღნიშნა: „თამაშის ბოლო იყო და კონცენტრაცია ძალიან გამიჭირდა. ფეხები თითქმის აღარ მემორჩილებოდა და ვიცოდი, პენალტი ძნელი დასარტყმელი იქნებოდა. დიდი პასუხისმგებლობა ვიტვირთე“. მარსელ დესაი კი უიღბლობას უჩივის: „არ გაგვიმართლა. ჩვენ საკმარისი გავაკეთეთ, რათა დაგვემტკიცებინა, რომ უკეთესი გუნდი ვართ“.

მატჩს საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი დაესწრო. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ფინალის მერე ბატონი პრეზიდენტი საფრანგეთის ნაკრების გასახდელში ჩავიდა და თავის ფეხბურთელები გულიანად ჩაკოცნა. საფრანგეთი — პორტუგალიის შემდეგ აღფრთოვანებულმა შირაკმა თქვა: „აღტაცებული ვარ. ახლაც სიამოვნებით ჩავკოცნიდი ჩვენს ბიჭებს, განსაკუთრებით — ბარტეზის თავს“.

ბოლოს ისევ ზიდანს მოვუსმინოთ: „ბედნიერი ვარსკვლავი დაგვნათის. იმედი მაქვს, იგი არც მერე მოგვაკლებს თავის ძალას“.

მერე კი უკვე ფინალია. ჩაკოცნის შირაკი ბარტეზის თავს?



## გაიოზ დარსაძე

სპეციალისტის აზრი

**პირველ** ნახევარფინალში, სხვასთან ერთად, საკითხავი ისიც იყო, ვინ გაიმარჯვებდა ლიდერთა, პლეიმეიკერთა, დიდ ფეხბურთელთა დუელში. ორივენი, ზიდანიც და ფიგუც, გამორჩეულნი არიან არა მარტო მშობლიური ქვეყნის ნაკრებ გუნდში ან საკუთარ კლუბში, არამედ მთელს საფეხბურთო სამყაროშიც. ეს მათ ერთხელაც დაადასტურეს ევროპის ჩემპიონატზე თამაშით.

უდიდესი საფეხბურთო ინტელექტი, სწრაფი აზროვნება, განსაკუთრებული მოძრაობა, პასის კულტურა, დიდი შრომისუნარიანობა, სულის სიმტკიცე, სათამაშო დისციპლინა და გამორჩეული პიროვნული თვისებები — აი, ამ სუპერვარსკვლავთა მახასიათებლები.

გუშინწინ ზიდანმაც და ფიგუმაც საკუთარი ლიდერსებების შესაბამისად ითამაშეს, მაგრამ ასეთ დროს საკითხი, ვინ-ვის, სხვაგვარად დგება.

არანაკლებ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანაგუნდელთა თამაშს. როგორ აუბამენ მხარს გუნდის დანარჩენი წევრები ლიდერს, ამაზეა დამოკიდებული გამარჯვებულის გამოვლენა, განსაკუთრებით ფსიქოლოგიურად ისეთ დატვირთულ მატჩში, როგორიც ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალია.

დიდი დაძაბულობის მიუხედავად, თამაშმა გაამართლა. დიდებული სანახაობა გამოდგა, როგორ არ უდებდნენ ტოლს ერთმანეთს მეტოქენი და რა თავდაუზოგავად თამაშობდნენ მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები, სწორედ ამ ბოლომდე დახარჯვით გვაჩვენეს მათ მაღალი დონის თანამედროვე ფეხბურთი.

პორტუგალიელებმა და ფრანგებმა შესანიშნავად შეისწავლეს თამაშამდე ერთმანეთი და თითოეულმა ფეხბურთელმა თავიდანვე ზუსტად იცოდა საკუთარი საკეთებელი.

პორტუგალიამ, ისევე როგორც მეოთხედფინალში ესპანეთმა, სცადა, თავისუფლად არ ეთამაშებინა საფრანგეთი და ამან დასაწყისში სასურველი შედეგი გამოიღო.

უმბერტუ კოელიუს უფლება არ ჰქონდა, ლემერის გუნდს ისევე რისკიანი (თითქმის ავანტურისტული) ტაქტიკით დაპირისპირებოდა, როგორიც თურქეთთან გასამარჯვებლად გამოადგა.

პორტუგალიელებმა დაცვაზე გაამახვილეს ყურადღება, რაც სავსებით სწორი იყო (ფრანგებისთვის თავისუფლების მიცემა თვითმკვლელობის ტოლფასია), მაგრამ არც შეტევა დავიწყებიათ...

ესპანეთთან მეოთხედფინალური მატჩისას ოდნავ მოიკოჭლებდა ფრანგთა მარცხენა ფრთა. ამჯერადაც სწორედ ამ ფლანგზე მიაღწიეს პორტუგალიელებმა უპირატესობას და კონსეისაუს აქტიურობა ნუნუ გომეშის გოლით დასრულდა.

თამაშის დასაწყისში ფრანგებს ბევრი წუნი ჰქონდათ, თუმცა ეს ნაკლი მეორე ტაიმში გამოასწორეს და ანელკა-ანრის ინდივიდუალური მოქმედების შედეგად ანგარიშიც გაათანაბრეს.

ადრე ფრანგებს აშკარად აკლდათ ძლიერი თავდამსხმელები. დიუგარი და გივარში თანაგუნდელებს ჩამოუვარდებოდნენ, აი, ანელკამ და ანრიმ კი საფრანგეთის ნაკრები ერთიორად გააძლიერეს. ეს პორტუგალიასთან მატჩში კარგად გამოჩნდა.

ბურთის ფლობის საოცარი უნარი გამოავლინეს ზიდანმა და ფიგუმ, რომლებიც ძლიერი ზეწოლის დროსაც კი, ორ-სამ მეტოქესთან ბრძოლაშიც არ კარგავდნენ ბურთს, მაგრამ პირველს ეს მაინც განსაკუთრებით უკეთ გამოსდიოდა და რაკი ვიეირაც ამ მხრივ ყველაზე ნაკლებად ჩამოუვარდებოდა ზიდანს, ამ მხრივ უპირატესობა საბოლოოდ ფრანგებს დარჩათ (53/47 პროცენტი).

დამატებით დროში თამაშის ტემპი არ შენელებულა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ გუშინწინდელ მეტოქეთა არსენალში ფეხბურთელთა მაღალტექნიკურობასთან ერთად ძალიან კარგი ფიზიკური მომზადებაც იყო.

პენალტზე სათქმელი ბევრი არაფერია. მსაჯს ვერ მიედავები, თუმცა, მეც ბევრის მსგავსად დამწყვიტა გული პორტუგალიელთა მარცხმა. მაგრამ რას იზამთ, ფინალში ორიდან ერთი უნდა გასულიყო და ეს პატივი უფრო ღირსეულს ხვდა.

# ზოგი ძველი და ბევრი ახალი

ახალი, თუმც ნაცნობი მწვრთნელები, ახალწვეულები, ვეტერანები, ახალი მიზნები და იმედები, სამზადისი მორიგი საფეხბურთო ჩემპიონატისთვის.

მოკლედ, გორის „დილამ“ ვარჯიში დაიწყო. დღეში ორჯერ იკრიბებიან „დილას“ მწვრთნელ-ფეხბურთელები. ჯერ ევროპის ჩემპიონატის გარჩევა იწყება... ფინალში პორტუგალია გავა, იძახის ერთი, ჩემპიონი ჰოლანდია გახდება, აზუსტებს მეორე.

„მე არ ვიცი, ვინ სად გავა, მაგრამ საფრანგეთ-პორტუგალიის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდება, დამიჯერეთ და მოიგებთ“. თამაზ ციცქიშვილმა სავარჯიშო ჩანთა გვერდზე დადო და მოკამათეებში გაერია.

„მეც ასე ვფიქრობ, ფრე იქნება, ამას წყალი არ გაუვა“ — ეთანხმება კაპიტანს რამაზ სოლოლაშვილი.

ჰოლანდია, საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია... ყველას თავისი რჩეული ჰყავს და, ალბათ, ამათ ნება რომ დართო, კამათი დილამდე გასტანს.

საქმეში მწვრთნელები ერევიან და დილის ვარჯიშიც იწყება. შუმახერა, ჩეკა, ხვიჩა გაგნიძე, ვანო ხორგუაშვილი, როინ მარლიშვილი. ვეტერანები აქ არიან. თვალს მხოლოდ ორი მათგანი აკლია. საქართველოს რეკორდსმენი (ყველაზე მეტი მატჩი უმაღლეს ლიგაში) ჯიმშერ მარეხაშვილი არსად ჩანს. ამბობენ, მარეხა კარიერას ამთავრებსო. ერთი მდიდრული გაცილება და ბანკეტი ღვაწლმოსილ ვეტერანზე ალალი იქნება.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მინდორზე არც „დილას“ დაცვის ბურჯი რევაზ ხაჭაპურიძეა. როგორც გვითხრეს, რეზომ დასავლეთ საქართველოსკენ გასწია და ზღვისპირა ფოთში აპირებს კარიერის გაგრძელებას.

გოჩაშვილი, აკოფიანი, ფეზუაშვილი, მაისურაძე, კიდევ ერთი-ორი და მეტს ვერავის ვცნობ. ესენი გორის საფეხბურთო სკოლის ბიჭები არიანო, თქვეს. მათგან რამდენიმემ, არ არის გამორიცხული, „დილას“ მაისურა მოირგოს.

უმრავლესობა თავად გორელ ვეტერანებს არ ეცნობათ. ბიჭი, პასი, აქეთ, იქით, კარგია, ბიჭი.

დამთავრდა ვარჯიში. უფროსებს კუნთები სტკივათ, პატარები უფრო ჯანზე გამოიყურებიან.

დაიშალნენ... თითქმის ყველა თავის გზას ეწია. მეორე ვარჯიშამდე გვარიანი დროა. ფეხბურთელები დანაყრდებიან, სულს მოითქვამენ, მერე გორში არსებულ ტოტალიზატორებს შეესევიან. საფრანგეთი — პორტუგალია იქსია, ჰოლანდია — იტალია კი მკვდარი ორიანი. თითოეული თავისი ვერსიის სისწორეს ამტკიცებს. სამი და მეტი გოლი, ათი და ნაკლები კუთხური... აბა, ესენი გახლართულან ფსონებში.

ამ რია-რიაში ორიოდ საათი გაიხარჯა. ფეხბურთელები ქალაქში გაიფანტნენ. ზოგს ნაცნობი შეხვდა, ზოგიც უცნობთან შეყოვნდა და ასე შემდეგ. კიდევ რამდენიმე საათია მოსაკლავი.

ერთი რამ ნაღდია — ლევან გოჩაშვილი შინ წავა. დაისვენებს, შუადღისით მკვდარ საათს გამოაცხადებს, მოშუშდება და ვარჯიშზე ძალამოკრებილი მოვა. მეტად სერიოზულად ეკიდება საქმეს.

საღამოს ვარჯიშის დროც მოვიდა. ისევ ჩემპიონატი, ისევ კუში და კუშნაზევარი. კვლავ მწვრთნელთა შეძახილი და ვარჯიშიც გახურდა.

ცხელი დღე იყო, სულ რამდენიმე წუთში გაიოფლნენ მოვარჯიშენი. ბოლოს ცოტა ორკარასაც ითამაშებენ. ოოო, აქ დანდობა გამორიცხულია. აზარტი კულმინაციას აღწევს. თავ-თავიანთ ოცნებებში ზოგი ფიგუა, ზოგიც ზიდანია... ახალგაზრდები თავს არ ზოგავენ, მაგრამ გამოცდილება და ოსტატობა თავისას აკეთებს.

ბევრი რალა გავაგრძელოთ, გორის „დილა“ ახალი სეზონისთვის ემზადება.

**დათო დანელია**



ნუგზარ [illegible] ფოტო

გორის „დილა“, საკუთარ „ცენტრალურზე“ ახალი სეზონისთვის ემზადება

# გორდას სასწაულის სჯერა

28 ივნისს რუსთავის „გორდა“ ჯერ კიდევ მშობლიურ „ფოლადზე“ შეიკრიბა და XII ეროვნული ჩემპიონატისთვის სამზადისს შეუდგა. თუმცა ვაი, ასეთ სამზადისს, დანა პირს არ უხსნით რუსთაველებს, უიმედოდ უყურებენ მომავალს. მართლაც დიდ გაურკვევლობაში არიან გორდელები და სამწუხაროდ, ამგვარი სიტუაცია კარგს არაფერს უქადის იასონ ალადაშვილსა და კომპანიას.

„გორდამ“ ვარჯიში კი დაიწყო, მაგრამ ჯერაც საკითხავია, შეძლებს თუ არა ჩემპიონატში მონაწილეობას. რატომ? ეს კლუბი, ფაქტობრივად, მიტოვებულია. როგორც იცით, „გორდას“ პატრონობის მოსურნე სააქციო საზოგადოება „აზოტი“ საქმეს ხელს ვერ კიდებს, რადგან უცნობია „ფოლადის“ ბედი. სტადიონს მეტალურგიული ქარხნის ვალების დასაფარავად გაყიდვა ემუქრება. რას აკეთებს ამ დროს ქალაქის ხელმძღვანელობა? თითქმის არაფერს, რუსთავის მერმა ლაშა მინდელმა (იგი ამავე დროს ქვემოქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიცაა) დახმარება აღუთქვა აზოტელებს. ამაში შეუძლებელი არაფერი იყო, სტადიონი მერიის ბალანსზეა და „აზოტს“ მისი იჯარით აღების ჩინებული შანსი ჰონდა. „გორდას“ მწვრთნელების თქმით, მინდელი და გოგოლაძე (ს.ს. „აზოტის“ გენერალური დირექტორი) გუნდის თანდასწრებით სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ქალაქის მერი გოგოლაძეს ყველა შეხვედრაზე დახმარებას დაჰპირდა, მაგრამ... ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო. ასეთია დღეს გორდელთა აზრი და პრობლემის მოუგვარებლობის მთავარ მიზეზად მერიის ინერტულობას ასახელებენ. ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრიც არ დარჩა, „გორდა“ კი შოკში ჩააგდო სფფ-ს გენერალური მდივნის წერილმა — ჩემპიონატში, სამონაწილეო 2 2000 ლარი 10 ივლისამდე უნდა გადაიხადოთო, იტყობინება ჩოლარია. საიდან? რა საშუალებით? — კითხულობენ რუსთაველები. ფეხბურთელებს ექვსი თვის ხელფასი ჯერაც არ აუღიათ, ჩვენი პატრონობის მსურველს საქმემდე არ უშვებენ, რა ვქნათ, რა ვილონოთ, ბოლო ვარიანტი ისღაა, გუნდი გაიყიდოს და სხვაგან გადაბარგდესო, ასე ბჭობენ იქაურები. აქამდეც მივიდა „გორდას“ საქმე.

სტადიონთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესს ბოლო არ უჩანს, დღე დღეს მისდევს, კვირა — კვირას და სეზონთშორისი პერიოდიც თვალსა და ხელს შუა ქრება.

რას აპირებენ გორდელები? „მწვრთნელები, ფეხბურთელები, გუნდის გულშემატკივრები ქალაქის მერიაში წავალთ, იქნებ სამართალი ამ გზით ვიპოვოთ“ — გვითხრა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იასონ ალადაშვილმა.

ორიოდე სიტყვა მოთამაშეებზეც ვთქვათ. შარშანდელი შემადგენლობიდან უკლებლივ ყველა გამოცხადდა პირველ ვარჯიშზე. გუნდთან ერთად ვარჯიშობს სტკ-ს მიერ შერისხული ზურაბ არჩვაძეც. მონდომებით ემზადება „ბათუმის“ დისკვალიფიცირებული რუსთაველი ფეხბურთელი. როგორც ჩანს, შეწყალების იმედი აქვს და არცთუ უსაფუძვლოდ. არჩვაძის საკითხი აღმასკომზე გადაისინჯება და სავარაუდოდ სასჯელიც უნდა შეუმსუბუქდეს. წესი წესია, ფედერაციამ ტრადიცია არ უნდა დაარღვიოს — ჩვენში ხომ დისკვალიფიკაცია ბოლომდე არც ერთ ფეხბურთელს არ მოუხდია, და, ალბათ, გამონაკლისი არც არჩვაძე იქნება.

დაბოლოს, ხმები გავრცელდა, ძმები კილასონიები „გორდას“ ტოვებენო. არაოფიციალური ინფორმაციით, „გორდას“ ლიდერებით ჩვენი ქვეყნის რამდენიმე კლუბია დაინტერესებული თუმც კილასონიები ჯერჯერობით ისევ „გორდაში“ არიან და გუნდთად ერთად ვარჯიშობენ. ეტყობა, მათაც სჯერათ სასწაულის. მართლაც, მხოლოდ ეს თუ იხსნის რუსთავს სირცხვილისაგან.

**ბაატა ძვანტალიანი**

# საზაფხულო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | ბობოხიძე (დინამო) | | 20 ივნისიდან ქუთაისში ვარჯიშობს. მოგვიანებით ესტონეთში ან ბულგარეთში მოემზადება |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | მორჩილაძე (თსუ) | სულთანიშვილი (დილა), ჭილლაძე (ს.ა. იბერია), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ) | 22 ივნისიდან ბაკურიანში ორ კვირიან შეკრებაზეა, 13 ივლისიდან 1 აგვისტომდე გერმანიაში მოემზადება |
| **დინამო** *ჯემალ ჩიმაკაძე* | დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), პ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან) | ბობოხიძე (ტორპედო), კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი), კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) | შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნევალი* | მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია), ტოგონიძე, ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე, მაჭუტაძე, გელა ქორიძე (?) | ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი) | 7 ივნისიდან შვებულებაშია<br>3 ან 4 ივლისს ბათუმში შეიკრიბება |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | შალამბერიძე, ლალანიძე, ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა) | რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, ჭანტურია (კოლხეთი 2) | 25 ივნისიდან ფოთში ვარჯიშობს. 5 ივლისიდან 10 დღით ბაკურიანში მოემზადება |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ვ. მაისურაძე (?) | ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), ტარიელაშვილი (ალაზანი) | 27 ივნისიდან თბილისში ვარჯიშობს |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე (?), ჟვანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი) | | |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი) | მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი) | 21 ივნისიდან გორში ვარჯიშობს |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | | | 1 ივნისიდან შვებულებაშია. 1 ივლისიდან თბილისში შეიკრიბება. თვის ბოლოს ლაგოდეხში, მოგვიანებით კი რუსეთში ან უკრაინაში მოემზადება |
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | კაციაშვილი (მარგვეთი), ჯულელი (?, რუსეთი), გოგიჩაიშვილი (?) | გონჩაროვი (თბილისი), ჟვანია, ნაროუშვილი (იბერია), ზურაბ აიანადი (ხობი) | 25 ივნისიდან თბილისში ვარჯიშობს<br>მოგვიანებით ლაგოდეხში მოემზადება |
| **თსუ** *თენგიზ კაცია* | ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია) | მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), შედანია (ზოოვეტი) | 27 ივნისიდან მცხეთაში ვარჯიშობს |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | | | 28 ივნისს რუსთავში შეიკრიბება |

## შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა საბოლოო არ არის

# წინ, შუაგულ ევროპისკენ!

*გორის საფეხბურთო სკოლიდან უკრაინის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებამდე ძნელი, წინააღმდეგობით აღსავსე გზა იყო გასავლელი. უამბიციო გორის „დილა", აუტსაიდერი ტერნოპოლის „ნივა", ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილი კრივოი როგის „კრივბასი". ალექსანდრე კაიდარაშვილმა ეს გზა ისე გაიარა, თავი არ შეურცხვენია. იყო გოლები და დამღლელი მატჩები. არც ტრავმა და იმედგაცრუება ყოფილა უცხო, მაგრამ ახლა ყველაფერი უკან დარჩა. ალეკო კაიდარაშვილი თავისი ახალი სარბიელისთვის ემზადება, მანამდე კი რამდენიმე დღით გორშია ჩამოსული, მშობლიური ქალაქის, ოჯახის წევრებისა და ახლობელ-ნაცნობების ნოსტალგიას იქარვებს. რა თქმა უნდა, ინტერვიუ ზეც მუდამ ყაბულსაა. უკრაინის ჩემპიონატის პრიზიორი დღეს „სარბიელის" სტუმარია.*



კრივბასელი კაიდარაშვილი (№ 8) ოდესელ მცველთან პაექრობისას

**— „კრივბასში" დიდი იმედებით გადახვედი. უკან დარჩა „ნივა", აუტსაიდერობა, ფინანსური კრიზისი და სხვა უსიამოვნებები, მაგრამ ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ ჩანხარ. უკრაინული ბრინჯაო ძალიან „უგემური და უქმური" ხომ არ გამოვიდა?**

— პირადად მე უკმაყოფილების საბაბი თითქმის არ გამაჩნია. ამ ეტაპზე უკრაინის პირველობაზე პრიზიორის ტიტული ჩემთვის ურიგო შედეგი არ გახლავთ, მაგრამ კრივოი როგში გადაბარგებული გაცილებით მეტს ველოდი. ტერნოპოლის „ნივადან" თავდაღწეულს არაფრით მეგონა, თუ ფინანსური პრობლემები იქაც შემაწუხებდა.

მერე ტრავმაც მივიღე. კოჭდაზიანებული გამაყუჩებელი ნემსებით კიდევ კაი ხანს ვთამაშობდი. ასე რომ, „კრივბასიდან" ბრინჯაოს მედალი, ახალშეძენილი მეგობრები და გამდიდრებული გამოცდილება დამრჩა.

**— ფინანსური კრიზისი ახსენე. რა განსხვავებაა ქართულ და უკრაინულ გასაჭირს შორის?**

— „კრივბასს" თამაშისთვის ნორმალური მზადების, გადაადგილებისა და შეკრებების მოწყობის პრობლემა არ ჰქონია. კლუბს სხვა რამ უჭირდა. მოთამაშეებს კუთვნილი საკონტრაქტო თანხები ვერ გაუნაღდა. მერე წარმატებული მატჩებისათვის დაწესებული პრემიებიც გაქრა. ხელფასებს კი ბოლომდე პატიოსნად არიგებდნენ, მხოლოდ ბოლო თვის სარგო ფულიდან დაგვაკლეს ას-ასი დოლარი.

მთლიანობაში კლუბს მოთამაშეების დიდი დავალიანება დაუგროვდა. ამას დაემატა სხვა კლუბებისთვის გადასახდელი სატრანსფეროები და მეორე ადგილზე რატომაც ვერ გავედით, ადვილი მისახვედრია.

**— თითქოს „კრივბასი" ფეხზე მყარად იდგა. კლუბის ბიუჯეტი რამდენიმე მილიონს ითვლიდა. დავიჯეროთ, ერთ წელიწადში გუნდის შენახვა უკრაინაში 3-4 მილიონი დოლარი ღირს".**

— არ ვიცი, „კრივბასს" სალაროში რა ჰქონდა, მაგრამ იმის თქმა დანამდვილებით შემიძლია, რომ თებერვალში კლუბის ბიუჯეტი მილიონ-ნახევარი დოლარი იყო. ამას დაუმატეთ ორი საკმაოდ შეძლებული სპონსორიც. გავიარეთ მეტად ნაყოფიერი მომზადება. შეკრებები უცხოეთში მოეწყო, მაგრამ უკვე მაშინ ამბობდნენ გუნდის გამოცდილი ფეხბურთელები, მეორე ადგილზე ვერ გავალთო.

კლუბის თავკაცებმა თქვეს, მთელი ფული ფეხბურთელთა შეძენას მოვახმარეთო. ახალწვეულები მაინცდამაინც ბევრნი არ ვყოფილვართ, გეცკო მე და კიდევ ორი მოთამაშე.

**— თავად თქვი, ახალგადაბირებული ფეხბურთელების სანაცვლოდ „კრივბასს" სხვა კლუბებისთვის არაფერი გადაუხდიაო...**

— არა, ყველა ვალი არ გაუსტუმრებია, თორემ გარკვეულ თანხას კი შეელია. მე არ ვიცი, რა და როგორ იყო გეცკოსა და სხვათა შემთხვევაში, ჩემსას კი მოგახსენებთ. „კრივბასისგან" „ნივას" ჩემს სანაცვლოდ 170 ათასი დოლარი ეკუთნოდა. ვიცი, რომ „ნივამ" მხოლოდ 60 ათასი მიიღო. ისიც ვიცი, ორივე გუნდის თავკაცები არაერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და ჩემს შესახებ ითათბირეს, მაგრამ ჯერჯერობით „ნივას" კუთვნილი ბოლომდე არ მიუღია.

**— გამოდის, ერთის ნაცვლად შენს მეპატრონეობას ორი უკრაინული კლუბი იჩემებს.**

— არ არის ასე. ჩემი ვალი „ნივასაც" აქვს და მით უმეტეს, „კრივბასს". ტერნოპოლელთაგან გარკვეული რაოდენობის ხელფას-პრემიები მეკუთვნის, კრივოიროგელებისგან კი საკონტრაქტო ფული და პრემიები.

**— კლუბის მეპატრონეები ხელიდან გაფრენილ ვერცხლსა და ჩემპიონთა ლიგის დაკარგულ პერსპექტივაზე რას ამბობდნენ?**

— გული კი დასწყდათ, მაგრამ თითქმის არანაირი ემოცია არ გამოუხატავთ. ისინი თავიდანვე იყვნენ ყველაფერს შეგუებულნი. მიხვდნენ, თავს ზემოთ ძალა არ იყო. ვერანაირად გაუტოლდებოდნენ მილიონებში მცურავ „შახტარს". ბრინჯაოს მედალიც არ აღნიშნულა. „კრივბასი" ალბათ სპონსორებსაც დაკარგავს.

**— დიდი იყო სხვაობა „შახტარსა" და „კრივბასს" შორის?**

— ფულში კი. „შახტარი" თვით კიევის „დინამოსაც" კი არ ჩამოუვარდება. რაც შეეხება თამაშს, კრივოი როგში ჩვენ ვაჯობეთ, დონეცკში კი მათ დაგვჩაგრეს. სწორედ დონეცკში გაირკვა მეორე ადგილის ბედი. „შახტარმა" შანსიც არ დაგვიტოვა, რომ იტყვიან გადაგვირბინეს.

**— თუ ყველაფერი ასე იყო, მაშინ ტრავმირებული თავს რად იკლავდი, ტკივილგამაყუჩებლებით რატომ თამაშობდი?**

— „კრივბასი" ჩემი საფეხბურთო კარიერის ერთი ნაწილია. მართალია, პრობლემები იყო, მაგრამ ამით არც დაწყებულა და არც ამოიწურებოდა ჩვენი ურთიერთობა. ფეხმტკივანი ვთამაშობდი „კრივბასისთვის" და ამავდროულად ჩემს სამომავლო საქმესაც ვიკეთებდი. თანაც მწვრთნელის, ოლეგ ტარანისა მეხათრებოდა. იმ კაცმა გუნდში თბილად მიმიღო, ახალწვეულობა თითქმის არ მაგრძნობინა. სულ მათამაშებდა. თავიდან შეცვლებზე შევყავდი მუდმივად, მერე ძირითადშიც დავიმკვიდრე ადგილი. ხან გეცკოს ვეწყვილებოდი, ხანაც პალიანიცას. მერე გეცკოც დაიმტვრა და სანამ ფეხმა ძალიან არ შემაწუხა, ტარანისთვის უარი არ მიკადრებია.

საერთოდ, ტარანიც და გენადი ლიტოვჩენკოც ძალიან კარგი მწვრთნელები და ადამიანები არიან. მათგან ბევრი სასარგებლო რამ ვისწავლე. რჩევა-დარიგებები არასდროს დაუმადლებიათ.

**— კლუბს რომ ფული შემოაკლდა, ამაზე მწვრთნელები რას ამბობდნენ?**

— ორივე შეწუხებული და დათრგუნვილი შემოდიოდა გასახდელში. ფეხბურთელებს თვალს ვერ უსწორებდნენ. თუ შეგიძლიათ, გაგვიგეთ, შედით ჩვენს მდგომარეობაშიო. ბიჭებიც ცდილობდნენ, მაგრამ ის უკვე ადრინდელი „კრივბასი" არ იყო.

**— უკრაინულ ჩემპიონატში მოთამაშე ქართველებზე რას გვეტყვი. სხვებზე რას ამბობენ უკრაინელები?**

— კახა კალაძესა და გიორგი დემეტრაძეს დიდად აფასებენ. კალაძე შეუცვლელია „დინამოსთვის", არა მგონია, ჯერ სხვაგან გაუშვან. უკრაინის თასის ფინალში „კრივბასმა" „დინამოსთან" 1:0 რომ წააგო, დემეტრაძემ შეცვლაზე ითამაშა. მანამდე შაცკიხისგან დასვენებული იყო ჩვენი დაცვა. გამოჩნდა გიორგი და კრივბასელების დაწიოკებაც მაშინ დაიწყო. თამაშის შემდეგ ბიჭებმა მითხრეს, ეს ვინ ყოფილა, სული ამოგვხადაო. მსაჯმა დაგვინდო, თორემ დემეტრაძის მოცელვისთვის სულ ცოტა, ორი პენალტი უნდა დაენიშნა.

„ნივა" გავარდნას სასწაულებრივ გადაურჩა. ვიცი იქაური პირობები და ამიტომ ეს გმირობის ტოლფასად მიმაჩნია. ამაში ჩვენებურების წვლილია.

**— გავიგეთ, „კრივბასთან" კონტრაქტის დარღვევას აპირებ?**

— ბევრიც არაფერი აკლდა ამ საქმეს, მაგრამ... ახლა ერთი რამაა გადაწყვეტილი, ვტოვებ უკრაინის ჩემპიონატს, „კრივბასს" და თუ გნებავთ, „ნივასაც". სათამაშოდ ბელგიაში გადავდივარ. თუ ქვეყანა არ დაიქცა, იქაური უმაღლესი ლიგის „ვესტერლოში" ჩავირიცხები.

**— ეს ვარიანტი როგორ გაიჩარხა?**

— თავისთავად. თებერვალში „კრივბასი" ავსტრიაში იყო შეკრებაზე. საკონტროლო თამაშებში თავი გამოვიჩინე, გოლებიც გავიტანე, და „ვესტერლოს" წარმომადგენლებს სწორედ იქ შევუმჩნევივარ. მერე ბელგიელები კრივოი როგშიც ჩამოვიდნენ. უკრაინის ჩემპიონატშიც ნახეს ჩემი თამაში რამდენჯერმე და ისე წავიდნენ, არაფერი უთქვამთ საიმედო.

ორი დღის წინ „კრივბასიდან" და „ნივადან" თითქმის ერთდროულად დამირეკეს. ორგანვე „ვესტერლოდან" ფაქსი მისულა ჩემს თაობაზე. წინააღმდეგი ვერც ერთი წავა, ჩემი გაშვება ურჩევნიათ, ხეირს ორივე ნახავს.

**— როდის მიემგზავრები?**

— ალბათ, რამდენიმე დღეში. ბელგიელები თბილისში, საფრანგეთის საელჩოში ვიზას გადმოგზავნიან და მეც მეორე დღესვე გავემგზავრები.

**— ბელგიაში გასინჯვაზე ჩახვალ, თუ-**

— როგორც მითხრეს სამედიცინო შემოწმება უნდა გავიარო და კონტრაქტი გავაფორმო. სხვა რამეებზე ჯერ საუბარი არ ყოფილა.

**— კი, მაგრამ მტკივანი ფეხი?**

— თითქმის მოვირჩინე. ასკურავასთან ვმკურნალობდი. მისი მალამოები ჩემს ფეხზე კარგად მოქმედებს. ბელგიაში, ალბათ, სრულიად ჯანმრთელი ჩავალ.

**— აქედან ან უკრაინიდან თუ მიგყვება ვინმე ოფიციალური პირი?**

— არაფერი ვიცი იმის გარდა, რომ ჯერ ფრანკფურტში უნდა ჩავფრინდე, სადაც „ვესტერლოს" წარმომადგენელი დამხვდება და მერე ბელგიასაც ვეწვევი.

**მამუკა კვანტალიანი**



თემურ ქეცბაია

# ქეცბაია ახალ გუნდს ეძებს

## საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს ნიუკასლში კონკურენტები მოუმრავლდნენ

„ჩემს ასაკში ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში უნდა თამაშობდეს. ახალი შენაძენების გათვალისწინებით, ეს პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. ასე რომ, დროა, ახალი კლუბი მოვძებნო, სადაც მომავალ სეზონს დავიწყებ" — განუცხადა საქართველოს ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა და ინგლისური „ნიუკასლის" თავდამსხმელმა თემურ ქეცბაიამ გუშინ სააგენტო „როიტერს". ამ სიტყვებით თემურმა, ფაქტობრივად, დაადასტურა ბოლო დროს გავრცელებული ცნობა, რომლის მიხედვითაც იგი ამ პრემიერლიგური კლუბის დატოვებას აპირებდა.

ამ განცხადების გაკეთების საბაბი კი 32 წლის ქართველ ფეხბურთელს ორიოდე დღის წინ მიეცა, როცა „ნიუკასლმა" კიდევ ერთი არგენტინელი თავდამსხმელის, დანიელ კარდონეს გადაბირება განიზრახა. კარდონე უკვე ნიუკასლშიც ჩავიდა და გუშინწინ „სენტ ჯეიმსიზ პარკის" სტადიონსაც ეწვია, სადაც სამედიცინო ტესტირება უნდა გაევლო. „დადებითი პასუხის შემთხვევაში ერთწლიანი ხელშეკრულების გაფორმებას წინ აღარაფერი დაუდგება" — ამცნო ახალი ამბავი „ნიუკასლის" მმართველმა რასელ კუშინგმა საზოგადოებას. მართალია, „ნიუკასლს" ეს ფეხბურთელი „რასინგიდან" ერთი წლით, ისიც იჯარით მიჰყავს, რაც ნახევარი მილიონი დოლარი უჯდება, მაგრამ ეს ამბავი ქეცბაიასთვის ვერაფერი ნუგეშია, რადგან „ნიუკასლი" უფლებას იტოვებს, ამ ვადის გასვლის შემდეგ კარდონესთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმოს. „რასინგი" კი სანაცვლოდ 3 მილიონ დოლარს მიიღებს.

თუ გასულ სეზონში ჩვენებურის კონკურენტი მხოლოდ დანკან ფერგიუსონი იყო (ალან შირერს ერთი ადგილი კარგა ხანია დაჯავშნული აქვს), ახლა მას კარდონე და ერთი თვის წინ შეძენილი კიდევ ერთი არგენტინელი, კრისტიან ბასედასოც შეეცილებიან. ქეცბაიამაც, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, იფიქრა და ახალი კლუბის ძებნასაც შეუდგა.

მართალია, ქეცბაიას შეძენის სურვილი ოფიციალურად ჯერ არც ერთ კლუბს არ გამოუთქვამს, მაგრამ სავარაუდოა, რომ თემური ახალ სეზონს ახალ კლუბში შეხვდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სათადარიგოთა სკამზე ჯდომა და სარეზერვო გუნდში თამაში არ ასცდება. ეს პერსპექტივა კი ქართულ ფეხბურთს მაინცდამაინც არ ხიბლავს.

შეგახსენებთ, თემურ ქეცბაია „ნიუკასლში" 1997 წლის ივნისში ბერძნული აეკ-იდან გადავიდა, პრემიერლიგაში მისი დებიუტი კი იმავე წლის აგვისტოში „შეფილდ უენსდეის" წინააღმდეგ მატჩში შედგა. მალე ქეცბაიამ სამუდამოდ დაიმკვიდრა სახელი „ნიუკასლის" ისტორიაში — ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ზაგრების „კროაციას" დამატებითი დროის ბოლო წუთზე გადამწყვეტი გოლი გაუტანა და „ჯორდები" (როგორც „ნიუკასლს" უწოდებენ) ისტორიაში პირველად ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა.

**ვანო ოქროპირიძე**

# გორელები ზღვაზე

## ძმა ძმისთვისაო, კოლხეთისთვისაო

სად ითამაშებენ მეკარე ზურაბ ქვაჩახია და მცველი მიხეილ ქობულაძე XII ჩემპიონატში — ისევ ფოთის „კოლხეთში" თუ „ბათუმში"? აი, ეს გახლავთ ორივე ზღვისპირული კლუბის ბოლოდროინდელი საფიქრალი. ბათუმელებს, კერძოდ კი ჯანი კარნევალის, ძალიან სურს, ქვაჩახია და ქობულაძე თავის გუნდში იხილოს, ფოთელებს კი ეიმედებათ, იქნებ ფეხბურთელები დავიტოვოთო. საბოლოოდ კი ყველაფერს ნათელი 3 ივლისს მოეფინება. ამ დღეს იაპონიიდან „კოლხეთის" პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი დაბრუნდება, უმისოდ ვერაფერს გადავწყვეტთო, აცხადებენ კოლხები. თავის მხრივ, „ბათუმი" ახალი სეზონისთვის მზადებას 3 ან 4 ივლისს დაიწყებს.

მანამდე კი „კოლხეთმა" ორი ახალი ფეხბურთელი შეიმატა: გორის „დილას" მცველი რევაზ ხაჭაპურიძე და ბოლოს „ცხინვალში" მოთამაშე ბექა ჩიტაია. „კოლხეთში" მისი ძმა ირიცხება — გაგა. ახალწვეულებს გია ტყებუჩავა გასინჯავს და სავარაუდოდ დაიტოვებს კიდეც. თუ ასე მოხდა, ფოთში გორელთა კვარტეტი ითამაშებს — გაგა და ბექა ჩიტაიები, რომან ახალკაცი და რევაზ ხაჭაპურიძე.

**გიორგი ვაშაკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის რუკასთან



პანამელმა ფორვარდმა ხულიო დელი ვალდესმა „ოვიედოსთან“ კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა. 33 წლის ფეხბურთელს სხვა ესპანური კლუბებიც ეპატიჟებოდნენ, ამერიკაშიც უხმობდნენ, თუმცა მან საბოლოოდ „ოვიედოში“ დარჩენა არჩია. დელი ვალდესი ესპანეთში 1997 წელს პსჟ-დან აღმოჩნდა, მას შემდეგ სამი სეზონია, გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. კლუბის გულშემატკივართა ასოციაციამ მას საპატიო ჯილდოც კი გადასცა.

**ბულგარელი ხრისტო სტოიჩკოვის განცხადებით, იგი შესაძლოა „ბარსელონაში“კვლავ დაბრუნდეს და გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელად იმუშაოს. „ახალგაზრდული გუნდის გაწვრთნა მსურს“ — განაცხადა 34 წლის ბულგარელმა, რომელიც ამჟამად ამერიკული „ჩიკაგო ფაიერსის“ ღირსებას იცავს — ახლა „ფაიერსში“ სიამოვნებით ვთამაშობ, თუმცა თუ საფეხბურთო კარიერას დავასრულებ, ალბათ, ისევ ევროპას მივაშურებ“. 1999 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა, მოგეხსენებათ, „ბარსელონა“ 1994 წელს მთავარ მწვრთნელთან უთანხმოების გამო დატოვა.**

ხორვატი ნახევარმცველი მარიო სტანიჩი „პარმადან“ „ჩელსიში“ გადავიდა. 28 წლის ფეხბურთელმა ლონდონურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, „ჩელსიმ“ „პარმას“ მის სანაცვლოდ 8,5 მილიონი დოლარი გადაუხადა. „ლონდონურ კლუბთან შევთანხმდით და სტანიჩი „ჩელსიში“ გავუშვით“ — განაცხადა იტალიური კლუბის პრესატაშემ. სტანიჩს ხორვატიის ნაკრებში 28 შეხვედრა ჩაუტარებია. იგი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია, „პარმაში“ 1997 წელს „ბრიუგედან“ გადავიდა და გუნდთან ერთად იტალიისა და უეფას თასები მოიგო.

**ბრაზილიელი ნახევარმცველი ედუ „არსენალმა“ იყიდა და „კორინთიანსს“ მის სანაცვლოდ 9 მილიონი დოლარი გადაუხადა. „ყველაფერი უცაბედად მოხდა, ფეხბურთელის აგენტმა კონტრაქტის გაფორმება მალე მოახერხა, ჩვენ ხელსაყრელი წინადადება მივიღეთ და ედუს გაყიდვაზე დავთანხმდით“ — განაცხადა ბრაზილიური კლუბის პრესატაშემ. 20 წლის ედუს სრული სახელი ედუარდო დაუდე გასპარია. იგი საყრდენი ნახევარმცველია, „კორინთიანსის“ ძირითად შემადგენლობაში ერთი წელია თამაშობს. „არსენალში“ ედუ თავის თანამემამულე სილვინიოსთან ერთად იასპარეზებს. ლონდონელებმა ისიც „კორინთიანსიდან“ შეიძინეს.**

ჩეხეთის ნაკრების მეკარე პაველ სრნიჩეკი შესაძლოა „ნაპოლიში“ გადავიდეს. ნეაპოლელებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარის დარაჯის, მასიმო ტაიბის დროებით გადაბირება სურდათ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს და ახლა სრნიჩეკს დაადგეს თვალი. ჩეხს ფრანგული პასპორტი აქვს და არაევროკავშირელ ფეხბურთელთა ლიმიტი არ შეეხება. სრნიჩეკის გადაბირება სხვა ევროპულ კლუბებსაც სურთ, თუმცა სავარაუდოა, რომ მეკარე სწორედ „ნაპოლიში“ გადავა. მისი ამჟამინდელი კლუბის, „შეფილდ უენსდის“ ხელმძღვანელები ჯერჯერობით არაფერს აცხადებენ.

**გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის“ ბრაზილიელმა ფორვარდმა ჯოვანი ელბერმა სერიოზული ტრავმა მიიღო და ბუნდესლიგის დაწყებამდე გუნდთან ერთად ალბათ, ვერ მოემზადება. „ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ფეხის საშინელი ტკივილი ვიგრძენი. სასწრაფოდ საავადმყოფოში წამიყვანეს. როგორც ექიმებმა დაადგინეს, მოტეხილობა მქონდა. ახლა თაბაშირის სახვევს ვატარებ და სულ მცირე, ერთი თვე ვერ ვივარჯიშებ“ — განაცხადა ელბერმა. ექიმების ცნობით, ფეხბურთელი სავარაუდოდ ბუნდესლიგის პირველ ტურებსაც გამოტოვებს.**

ფრანგულმა „ლიონმა“ უკრაინელ მცველ ოლეგ ლუჟნის დაადგა თვალი და მზადაა, ლონდონის „არსენალს“ 2 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. „ლიონი“ წლეულს მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ეცდება ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას. მას დაცვის გაძლიერება განუზრახავს და ლუჟნიც ამიტომ სურს. კლუბის პრეზიდენტ ჟან-მიშელ ულას „ბარსელონას“ მცველის, ფრედერიკ დეუს გადაბირებაც უნდა, მას მეორე ფრანგული გუნდი, „ბორდო“ ეცილება.

**რუსი ფეხბურთელი, ვოლგოგრადის „როტორის“ ყოფილი წევრი ოლეგ ვერეტენნიკოვი, რომელიც ადრე დიდძალი ფულის უკანონო გადატანაში შეამჩნიეს, ბელგიურ „ლიერსში“ გადავიდა. რამდენი გადაიხადა ჩვენებური გელა შეყილაძის კლუბმა, უცნობია. ვერეტენნიკოვი კლუბის პირველ ვარჯიშზე არ გამოჩენილა, ვიზასთან დაკავშირებით მცირედი პრობლემები შეექმნა.**

იტალიური „რომას“ მთავარი მწვრთნელი ფაბიო კაპელო „ლიდს იუნაიტედის“ სამხრეთაფრიკელი მცველის, ლუკას რადებეს ყიდვას აპირებს. იტალიელ სპეციალისტს ფეხბურთელი უეფას თასზე „ლიდსი“ — „რომას“ შეხვედრის დროს მოსწონებია. აპენინური სააგენტოების ცნობით, რომაელებს დევიდ ოლირის გუნდისთვის 7 მილიონი გირვანქა შეუძლევიათ. თავად რადებემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ლიდსში“ თამაშით კმაყოფილია და ჯერჯერობით არსად წავა. „პრემიერლიგის სეზონი ძლიერად ჩავატარეთ, ჩემპიონთა ლიგაში უნდა ვითამაშოთ, გუნდში ბედნიერი ვარ“ — თქვა რადებემ, რომელსაც „ლიდსთან“ კონტრაქტი ორი წლის შემდეგ უსრულდება.

**ესპანეთის პრიმერადივიზიონელმა „რეალ სოსიედადმა“ ბელგიელი ნახევარმცველი ფრედერიკ პერემანსი შეიძინა. ფეხბურთელი ბასკურ კლუბში სამ წელიწადს დარჩება, თუმცა შეთანხმებაში გათვალისწინებულია, რომ შესაძლოა, ეს დრო გახანგრძლივდეს. 26 წლის პერემანსმა კარიერა „ანდერლეხტში“ დაიწყო, 1995 წელს „შარლერუაში“ გადავიდა, ხოლო წინა ზაფხულს — „ტვენტეში“. ესპანურ და ჰოლანდიურ კლუბებს სატრანსფერო თანხა არ განუცხადებიათ.**

ინგლისისა და გერმანიის ჩემპიონები — „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მიუნხენის „ბაიერნი“ „ვალენსიას“ შვედი მცველის, იოახიმ ბიორკლუნდის ხელში ჩასაგდებად იბრძვიან. სერ ალექს ფერგიუსონი 24 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 3,7 მილიონ გირვანქას იხდის. ესპანური პრესა იუწყება, რომ „ვალენსიას“ არგენტინელმა თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა ჯერჯერობით ყველა შეთავაზება უარყო, იგი ყოველნაირად ცდილობს ფეხბურთელის შენარჩუნებას.

**ხორვატი ფორვარდი დავორ შუკერი „არსენალიდან“ „ვესტ ჰემში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. „ვესტ ჰემის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მადრიდის „რეალის“ ყოფილ ფეხბურთელთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „დავორ შუკერი ძლიერი და გამოცდილი ფეხბურთელია, ჩვენს გუნდს ნამდვილად გამოადგება. იგი ნამდვილი პროფესიონალია და გოლების გატანის ალღო აქვს. მართალია, „არსენალში“ დიდ წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ გვჯერა, რომ იგი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდება“ — განაცხადა „ვესტ ჰემის“ მენეჯერმა ჰარი რედნაპმა. შუკერი „ვესტ ჰემში“ თავის თანაგუნდელ ნაიჯელ უინტერბერნთან ერთად ითამაშებს, რომელიც „არსენალიდან“ „ვესტ ჰემში“ ერთი კვირის წინ გადავიდა.**

# ვან გაალმაც, არა!...

## გერმანია ისევ მწვრთნელის ძიებაშია

ევრო 2000-ზე გერმანელთა ფიასკომ მსოფლიო აალაპარაკა, ერიხ რიბეკს თანამდებობა დაატოვებინეს და დარჩა გერმანიის ნაკრები უმწვრთნელოდ. ერთ-ერთი აქტუალური თემაც ეს გახლავთ — ვინ იქნება ბუნდესნაკრების ახალი თავკაცი.

გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ვის აღარ შესთავაზა ეს პოსტი, მაგრამ ყველასგან ცივი უარი მიიღო. არსენ ვენგერი, უდო ლატეკი, იუპ ჰაინკესი, ოტმარ ჰიცფელდი. მარტო ეს უკანასკნელი არ გახლავთ წინააღმდეგი, თუმცა ჰერ ოტმარს ფრანც ბეკენბაუერი ვერ ელევა, „ბაიერნიდან“ არ გავუშვებო.

ყველაზე სავარაუდო პრეტენდენტად მაინც ლევერკუზენის „ბაიერის“ დამრიგებელ კრისტოფ დაუმს მიიჩნევენ, თუმცა იგი ხან ჭრის, ხან კერავს. ჯერ იტყვის, მინდა მწვრთნელობაო, მერე კი — „ბაიერთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებსო.

ამასობაში გერმანელებმა სამეზობლოსკენაც გაიხედეს და ამსტერდამის „აიაქსისა“ და „ბარსელონას“ ყოფილი თავკაცი ლუის ვან გაალი მიიპატიჟეს: „ჩემთვის დიდი პატივია გერმანიის ნაკრების შესაძლო მწვრთნელების კანდიდატთა შორის მოხსენიება, მაგრამ ვერანაირად ვერ დავთანხმდები. ვთვლი, რომ გერმანიას გერმანელი უფრო გამოადგება“ — განაცხადა ვან გაალმა.



ლუის ვან გაალი: გერმანიას გერმანელი უფრო გამოადგება

ესეც ასე. ზემოხსენებულ სპეციალისტთა რიცხვს ვან გაალიც მიემატა. ამასობაში გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“ ხელი საფეხბურთო კავშირისკენ გაიშვირა, გერმანული ფეხბურთის კრიზისის მთავარი შემოქმედი თქვენა ხართ და პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნიც დაუყოვნებლივ უნდა გადადგესო.

თუმცა 75 წლის ბრაუნი „ჩაძირული გემიდან“ გაქცევას არ აპირებს: „თითქოს დროა, პენსიაზე გავიდე, მაგრამ ასე არ მოვიქცევი. პირიქით, ყველანაირად ვეცდები, გერმანიამ თავისი დიდება და მსოფლიო ელიტაში ადგილი დაიბრუნოს!

ვინ იქნება გერმანიის ნაკრების მწვრთნელი? ალბათ, მაინც დაუმი...

# პროსინეჩკი დინამოდან წავიდა



ძველი მებრძოლი — რობერტ პროსინეჩკი (მარჯვნივ)

ვეტერანი ხორვატი ნახევარმცველი რობერტ პროსინეჩკი ზაგრების „დინამოს“ ხელმძღვანელობამ გუნდიდან გაუშვა. კლუბში ამჟამად ფინანსური კრიზისია. ხორვატული პრესის ცნობით, „დინამო“ პროსინეჩკის ხელფასს ვერ უხდიდა და სწორედ ამიტომ გაათავისუფლა. „შეუძლებელია, მისთვის ხელფასი გვეხადა. ახლა გუნდში სირთულეებია“ — განაცხადა „დინამოს“ პრესატაშემ. პროსინეჩკის „დინამოსთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა და ხელფასის სახით 1, 6 მილიონი გერმანული მარკა უნდა მიეღო.

„კლუბმა კონტრაქტი შემიწყვიტა, რა გაეწყობა, ამიერიდან „დინამოს“ ფეხბურთელი აღარ ვარ“ — განუცხადა პროსინეჩკიმ გაზეთ „ლისტს“.

კლუბის პრესატაშის განცხადებით, „დინამომ“ ფეხბურთელი საკომპენსაციო თანხის გარეშე გაუშვა — „პროსინეჩკი თავისუფალია და ალბათ, რომელიმე ძლიერი კლუბი მიიწვევს“.

31 წლის პროსინეჩკი სამშობლოში რამდენიმე წლის წინ დაბრუნდა. მანამდე მან მადრიდის „რეალში“ და „ბარსელონაში“ ითამაშა. წინა სეზონში „დინამოს“ ქვეყნის ჩემპიონობა მოაპოვებინა.

პროსინეჩკი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირებში ორი სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებში უთამაშია, 1990 წელს იუგოსლავიის ეროვნული გუნდის ღირსებას იცავდა და — „ცრვენა ზვეზდას“ შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიგო.

გერმანული სააგენტოების ცნობით, პროსინეჩკის შეძენის სურვილი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა „ლევერკუზენმა“ გამოთქვა. ერთი საყურადღებო ფაქტიც, პროსინეჩკი გერმანიაში დაიბადა და 15 წლამდე იქ იზრდებოდა, ვიდრე მისი ოჯახი საცხოვრებლად იუგოსლავიაში არ გადავიდა.

ნიკა შუბლაძე

სიახლე!

პირველად საქართველოში!

RADIO EVRIKA 100.3 FM

რადიო „ევრიკა“ გთავაზობთ
პროექტს „ევრო 2000“

გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

გენერალური პრიზის მომწოდებელი — ტურისტული ფირმა „აფრა“

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

# სამხრეთ ამერიკა. IV ტური

### ბრაზილია 1:1 ურუგვაი

0:1 დარიო სილვა (6), 1:1 რივალდო (85პ)
ბრაზილია: დიდა, კაფუ, ძაგო, ალდაირი, რობერტო კარლოსი, ემერსონ ფერეირა, ვამპეტა (ზე რობერტო 70), რივალდო, რონალდინიო (გილერმე 46), ფრანკა, სავიო (ალექსი 46)
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუქსემბურგო
ურუგვაი: კარინი, ტაისი, ლემბო, მონტერო, როდრიგესი, პაბლო გარსია, ონილი (ჯაკომაცი 82), რეკობა (კოელიო 59), ოლივერა, დარიო სილვა, გიუგო
მწვრთნელი: დანიელ პასარელა
მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)
70 000 მაყურებელი

ორიოდე დღის წინ ვწერდით, ორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ურუგვაიმ მეორედ იზეიმა მსოფლიოს ჩემპიონობაო. მაშინ გადამწყვეტ შეხვედრაში მათ ბრაზილიელებს სძლიეს, თან გადაჭედილ „მარაკანაზე“.

უცნაური დამთხვევით თუ ბედის ირონიით, ურუგვაის ნაკრებს იმ დიდი გამარჯვების ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღნიშვნა კვლავ ბრაზილიაში მოუხდა.

მასპინძლები იმუქრებოდნენ, სტუმარმასპინძლობისა არაფერი გვეშლება, მაგრამ ურუგვაელებს დღეს დალონებულებს გავუშვებთო. აქედან რაც გამოვიდა, მატჩის ოქმიდანაც ჩანს.

თამაშის დასაწყისშივე, უფრო ზუსტად კი მე-6 წუთზე, დარიო სილვამ მეკარე დიდას გოლი გაუტანა და მასპინძელთათვის კოშმარიც აქედან დაიწყო. თავად ეს გოლი კი ბრაზილიელი ვეტერანის, ალდაირის სინდისზეა. რომაელმა ბურთი მკერდით მიიღო, მაგრამ დამუშავება აღარ გამოუვიდა — ურუგვაელთა თავდამსხმელი წამოეპარა, ბურთი აართვა და მეკარეც დაამწუხრა. ზემოთ ბრაზილიელთა კოშმარი რომ ვახსენეთ, ეს უფრო ალდაირს ეხება. მიიღებდა ის ბურთს და ტრიბუნებიც უმალ აგუგუნდებოდნენ: „გაეთრიე მოედნიდან“. ფეხბურთელისთვის ზრდილობიანი მიმართვა არც ესაა, მაგრამ ალდაირმა ბევრი უფრო უხამსი ეპითეტიც მოისმინა, რისი გაზეთში დაწერაც უხერხულია.

და განა მარტო ალდაირს, პირველ ტაიმში თავისი წილი შეურაცხყოფა თითოეულ ბრაზილიელ ფეხბურთელს ერგო. სხვებს რაღას ერჩოდნენ? ბრაზილია რომ ხარ და საკუთარ მოედანზე საძულველ ურუგვაის, რომელსაც კიდევ უფრო საძულველი მწვრთნელი დანიელ პასარელა (იმიტომ, რომ არგენტინელია) ჰყავს და ერთხელ ხეირიანად ვერ შეუტევ, იქაური „ტორსიდა“ გაგინებს, აბა, რას იზამს.

პირველმა თავის შველა რობერტო კარლოსმა განიზრახა. 43-ე წუთზე რეალელმა ურუგვაელ ფაბიან ონილს ისეთი წიხლი უთავაზა წითელ ბარათს იმსახურებდა. ალბათ, იფიქრა, დროზე გავასწრო აქედანო, მაგრამ მსაჯმა ყვითელი აკმარა.

შესვენების შემდეგ კი ვანდერლეი ლუქსემბურგოს ჯერი დადგა. ტაიმებს შორის მან ორმაგი შეცვლა მოახდინა — რონალდინიოს ნაცვლად გილერმე შეიყვანა, ხოლო სავიოს ალექსი ამჯობინა. ქომაგთა აღშფოთება მაშინ უნდა გენახათ. მინდორზე რონალდინიო და სავიო რომ ველარ დალანდეს, მწვრთნელს ჯერ იდიოტი უძახეს, მერე კი უარესებიც აკადრეს, რომლებსაც ალდაირის შემთხვევისა არ იყოს, ვერ დავწერთ.

როგორც ჩანს, ბრაზილიელებზე ლანძღვა-გინებამ დადებითად იმოქმედა, მათ თამაში ნელ-ნელა გამოასწორეს. ფრანკასა და ალექსის დარტყმულები ურუგვაელთა მეკარე ფაბიო კარინიმ ტერფითლა მოიგერია, ხოლო რივალდოსა და ემერსონისას მუხლი შეაგება.

ერთხელ რობერტო კარლოსმაც შეასრულა თავისი საფირმო საჯარიმო და ურუგვაელმა მცველმა ზედ კარის ხაზიდან რის ვაი-ვაგლახით კუთხურზე გადააგდო ბურთი. ამ ეპიზოდში ბრაზილიელები კი ამტკიცებდნენ, მეტოქემ მხარს ხელიც შეაშველაო, მაგრამ არბიტრმა სხვაგვარად განსაჯა. რაც შეეხება კუთხურებს, მათი რაოდენობის ზუსტი დათვლა გამოცდილ სტატისტიკოსებსაც გაუჭირდებოდათ.

დრო იწურებოდა, ტაბლოზე კი კვლავინდებურად 0:1 იყო. ბევრმა ეგებ 1998 წლის ამბავიც გაიხსენა, როცა ამავე „მარაკანზე“ ამხანაგურ მატჩში არგენტინამ ბრაზილიას მინიმალური ანგარიშით სძლია და მაშინაც სტუმრებს დანიელ პასარელა წვრთნიდა. თუმცა იმ შეხვედრას ვინ ჩივის, უძველესი რეკორდი ემხობოდა. საქმე ის გახლავთ, რომ თავისი ისტორიის მანძილზე ბრაზილიას შინ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი არ წაეგო, ეს ამბავი კი 30-იანი წლებიდან იღებს სათავეს.

და ამ დროს გუნდს მხსნელად მისი კაპიტანი მოევლინა. 85-ე წუთზე რივალდოს გატანილმა პენალტმა ბრაზილიელებს ერთი ქულა მოუტანა, მაგრამ მოედნიდან სტვენით გაცილებას ნაკრები ვერ გადაურჩა.

### ვენესუელა 4:2 ბოლივია

1:0 ვიტალი (24), 2:0 მორანი (39), 2:1 მორენო (48), 2:2 ბალდივიესო (59), 3:2 სავარესე (61), 4:2 ტორტოლერო (63პ)

ქართველი გულშემატკივრები ვწუწუნებთ, ჩვენი ნაკრების კარგი თამაში და გამარჯვება მოგვენატრაო. რით ვინუგეშოთ თავი? ასეთი ვარიანტი შემიძლია შემოგთავაზოთ — ვენესუელას შვიდი წელი შეხვედრა არ მოეგო და მაშინაც თავისნაირი წყალწაღებული ეკვადორი დაამარცხა.

ოთხშაბათს კი მოხდა ის, რასაც ვენესუელელი ხალხი ამდენ ხანს ელოდა — მათმა ნაკრებმა როგორც იქნა, მოიგო!

მატჩის დასაწყისი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა. დიდ ფეხბურთს არც ბოლივიელები თამაშობენ, მაგრამ მეტოქის ამბავიც იცოდნენ და შეუტიეს.

პირველი გოლი 24-ე წუთზე ახლო მანძილიდან მიგელ ვიტალიმ გაიტანა, ტაიმის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე კი ედისონ ტორტორელოს პასით რუბერტ მორანმა იხეირა.

მსაჯის სასტვენის შემდეგ, შესვენებაზე ვენესუელელებმა გასახდელს დიდი ზარ-ზეიმით მიაშურეს, აქაოდა, ნახეთ, არ მაგრები ვართო. ისე კი ჯობდა, ემოციები მატჩის ბოლოსთვის შემოენახათ — თამაშის განახლებიდან თოთხმეტ წუთში ანგარიში გათანაბრდა. ჯერ ხაიმე მორენომ შეამცირა სხვაობა, მერე კი ხულიო სესარ ბალდივიესომ მეორეც გაიტანა.

ვენესუელელებს ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდათ და შეძლეს ის, რასაც მათი ეერთგულესი ქომაგებიც ძნელად თუ წარმოიდგენდნენ. ანგარიშის გათანაბრებიდან ორ წუთში რუბერტ მორანის დარტყმული ბოლივიელთა მეკარე კარლოს ფერნანდესმა კი მოიგერია, მაგრამ ჯოვანი სავარესეს დამატებულს ველარაფერი მოუხერხა — 3:2.

შემდგომ ორ წუთში კი ერთბაშად სამი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ჯერ მასპინძელთა კარში საჯარიმო დარტყმა დაინიშნა. ამაოდ ეხვეწებოდა მსაჯი მორანს, ცხრა მეტრით უკან დაიწიეო და ამ მეთოდით რომ ვერას გახდა, წითელი ბარათი აუფრიალა. და თითქმის მაშინვე, საპასუხო შეტევის დროს, ბოლივიელებმა თავის საჯარიმოში გაბრიელ ურდანეტა წააქციეს. დამნაშავე ლუის კრისტალდო მოედნიდან მიაბრძანეს, ხოლო პენალტი მეორე გოლის თანაავტორმა ედისონ ტორტორელომ შეაგდო. ვენესუელელებმა 4:2 მოიგეს.

ვენესუელას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წინა სამ შეხვედრაში გოლი არ გაეტანა (ქართველებსაც იგივე შედეგი გვაქვს) და ახლა ერთბაშად ოთხი მიითვალა. ჩვენ როდის გვეღირსება?

**გიორგი დარჯანია**



„ბარსას“ ერთგული ლუიშ ფიგუ

# დამანებეთ თავი. ბარსელონაში ვრჩები

„ინგლისი ძალიან მომწონს, ლონდონური ატმოსფეროც ჩინებულია. მე შემტევი ფეხბურთი მიყვარს, დაცვითს ვერანაირად ვეგუები, მაგრამ ძალიან გთხოვთ, თავი დამანებოთ, „ბარსელონასთან“ კიდევ ოთხწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და აქ დარჩენა მსურს. რა მოხდება მერე არ ვიცი“ — განაცხადა პორტუგალიელმა ლუიშ ფიგუმ.

ეს იმას ნიშნავს, რომ რომის „ლაციოსა“ და სხვა ბობოლა კლუბების ოცნებას, ალბათ ახდენა არ უწერია. ბოლო დროს გავრცელდა ხმები, ფიგუს თავისთან ხილვა „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „არსენალს“ სურთო.

დაახლოებით 62 მილიონ დოლარად შეფასდა პორტუგალიელი, ევრო 2000-ზეც ჩინებულად დირიჟორობდა თავის გუნდს. როცა ავსტრიელმა გიუნტერ ბენკომ 117-ე წუთზე პენალტი დანიშნა ფრანგებთან მატჩისას, გულგატეხილი ფიგუ, დარტყმას არც დაელოდა, მაისურა გაიხადა და მინდორი მყისვე დატოვა. გულმა უგრძნო, ზიდანი შანსს ხელიდან არ გაუშვებდა.

„ლაციო“, „მილანი“, „მანჩესტერი“, „არსენალი“... აი, ფიგუს მსურველი გუნდების არასრული ჩამონათვალი, ის კი „ბარსელონაში“ რჩება.

**გიორგი ვაშაძიძე**

# კიგანი გეზს ცვლის

ევროპის ჩემპიონატზე განცდილი მარცხისა და ტურნირიდან გამოვარდნის შემდეგ, ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა განაცხადა, რომ მან არჩეული გეზი უნდა შეცვალოს — „მოსაზრებები და თამაშის სტილი შესაცვლელია, მთავარი, ალბათ ის არის, რომ შენს ხელთ არსებული რესურსები ბოლომდე გამოიყენო, ფეხბურთელთა პოტენციალი საერთო მიზნისთვის მიმართო. ეტყობა, რაღაცაში ვცდებოდი და ეს ვერ შევძელი — განაცხადა კევინ კიგანმა ერთ-ერთ ინტერვიუში — გუნდში ბევრი რამ შეიცვლება, ალან შირერი წავა, იგი სანაკრებო კარიერას თავს ანებებს. თამაშის ხარისხის გამოსწორება მოგვიწევს, მოკლედ, ბევრი დეტალი დასახვეწია“.

ინგლისის ნაკრებს მომავალი მატჩი 2 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგებთან ელის. ეს გუნდები „სტად ფრანსზე“ ამხანაგურად გაეჯიბრებიან ერთმანეთს, ამის შემდეგ კი ბრიტანელები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს დაიწყებენ. 7 ოქტომბერს ისინი გერმანიას შეხვდებიან, უდიდესი ინტრიგის გარდა, ამ გუნდებს შორის მატჩში ის ფაქტია აღსანიშნავი, რომ ინგლისის ნაკრები „უემბლიზე“ ბოლოჯერ ითამაშებს. ბრიტანული ფეხბურთის მთავარ არენას ამის შემდეგ დაანგრევენ და მის ადგილას ახალ, თანამედროვე სარბიელს ააშენებენ.

„საფრანგეთში მოგვიწევს ჩასვლა. მატჩი ამხანაგური იქნება. ვეცდებით, მსოფლიოს ჩემპიონთა წინააღმდეგ ჩვენი საუკეთესო თვისებები გამოვავლინოთ. ამის შემდეგ გერმანელებთან ურთულესი შეხვედრა გველის. პრინციპულ მატჩში დიდ ექსპერიმენტებს ნამდვილად ვერ დავიწყებ. ევრო 2000-ის დაწყებამდე ერთგვარი პრობლემები შეგვექმნა, მოსამზადებლად მხოლოდ რამდენიმე მატჩი ჩავატარეთ, ამიტომ გუნდში სიახლეები ვერ დავნერგე. რაც არ უნდა ეცადო, ორ-სამ თამაშში ბევრს ვერ შეცვლი“ — თქვა კიგანმა. და ისიც დაამატა, რომ ევრო 2000-ზე მწარე გაკვეთილი მიიღო და შეეცდება, ყველაფერი გააანალიზოს, შეცდომები აღარ გაიმეოროს: „ტურნირიდან გამოვარდნის შემდეგ თავს კრიტიკის ქარცეცხლი დაგვატყდა. გულწრფელად გეტყვით, სასწავლი და გასათვალისწინებელი მართლაც ბევრია. პორტუგალიის ნაკრებთან პირველი მატჩი ძლიერად დავიწყეთ და ორი გოლი გავიტანეთ, მაგრამ მერე სამი გავუშვით. გერმანია, რა ფორმაშიც არ უნდა იყოს, მაინც ძლიერია. მისი დამარცხება შევძელით. მომდევნო მეტოქე რუმინეთი გახლდათ. მეოთხედფინალში გასასვლელად მათთან ფრეც კმაროდა და იტალიასთან შეხვედრაც შორს აღარ იყო, მაგრამ ასე არ მოხდა. ბევრი რამ უნდა შევისწავლოთ და გავაანალიზოთ“.

მწვრთნელმა ევროპის ჩემპიონატის დარჩენილი ნაწილის პროგნოზიც გამოთქვა და განაცხადა, რომ ევრო 2000-ზე ყველაზე ლამაზ ფეხბურთს საფრანგეთის ნაკრები თამაშობს. გუნდი უძლიერესი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, ამიტომ მოსალოდნელია, რომ ტურნირზე სწორედ ფრანგები გაიბრწყინებენ და მსოფლიოს ჩემპიონატთან ერთად ევროპისასაც მოიგებენ: „ფრანგებს ჰყავთ უნივერსალური ფეხბურთელი, რომელსაც მთელი მატჩის მიმდინარეობის შეცვლა ძალუძს — ზინედინ ზიდანს ვგულისხმობ. მისი მოძრაობა, მოედნის ხედვა, დრიბლინგი, პასი, ნამდვილად ჩინებული საცქერია — ზიდანი გუნდის უდავო ლიდერია. პოტენციურ ჩემპიონებად სწორედ საფრანგეთს დავასახელებ“.

REUTERS რიო დე ჟანეირიდან



ბრაზილია — ურუგვაი 1:1. ბრაზილიელებს ისევ რივალდომ (№10) უშველა

# წითელი ეშმაკები ბეტცენბერგიდან

## 100 იუბილარი

### კაიზერსლაუტერნი (გერმანია)

დაარსდა: 1900 წლის 2 ივლისს
პრეზიდენტი: იურგენ ფრიდრიხი
მენეჯერი: იურგენ ფრიდრიხი
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
სტადიონი: „ფრიც ვალტერ შტადიონი“ (ტევადობა 41 582)
გერმანიის ჩემპიონი (4): 1951, 53, 91, 98
გერმანიის თასის მფლობელი (2): 1990, 96

2 ივლისს როტერდამის „ფეიენოორდის“ სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის ფინალია. ზეგ ბებერი კონტინენტის უძლიერესი გუნდი გაირკვევა. თუმცა კვირას „კაიზერსლაუტერნს“ სულაც არ ევროპება. ვინ გახდება ჩემპიონი, „კაიზერსლაუტერნის“ წევრებმა იქნებ კვირას ვერც შეიტყონ. რატომ? მიზეზი ერთობ საპატიოა. 2 ივლისს „კაიზერსლაუტერნის“ დაბადების დღეა, გუნდს დაარსებიდან 100 წელი უსრულდება. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ კაიზერსლაუტერნელები დიდი ზეიმისთვის ემზადებიან.

ისე, სიმართლე თუ გინდათ, ამ კლუბმა საუკუნოვანი იუბილე საკმაოდ გვიან, 32 წლის შემდეგ უნდა აღნიშნოს. საფეხბურთო კლუბი „კაიზერსლაუტერნი“ ხომ 1932 წელს ჩამოყალიბდა, მანამდე კი...

1900 წლის 2 ივლისს ორი გუნდი — „გერმანია“ და „საფეხბურთო საზოგადოება 1899“ გაერთიანდა, მათ საფუძველზე „კაიზერსლაუტერნი 1900“ შეიქმნა, რომელმაც ვიდრე საბოლოო სახეს მიიღებდა, რამდენჯერმე იცვალა ნირი. ჯერ იყო „პალატია კაიზერსლაუტერნი“, მერე „ბავარია კაიზერსლაუტერნი“, „ფიონიქს კაიზერსლაუტერნი“. 1932 წლიდან კი გუნდმა მორიგი, უკანასკნელი რეორგანიზაცია განიცადა.

გარდაქმნილი და გაძლიერებული „კაიზერსლაუტერნი“ კვლავაც სამხარეო ჩემპიონატში გამოდიოდა. გუნდი ხანდახან ერთი დივიზიონით ალზევებას თუ ახერხებდა, რასაც მაშინვე დაცემა მოსდევდა. გუნდის აღმასვლა 30-იანი წლების მიწურულს უნდა დაწყებულიყო, როცა „ლაუტერნში“ კლუბის ისტორიაში ლეგენდად შემორჩენილი ფეხბურთელი ფრიც ვალტერი გამოჩნდა, რომელიც უმალ ბუნდესნაკრებში მიიწვიეს. ვალტერის დებიუტი ეროვნულ გუნდში 1940 წლის 14 ივლისს შედგა — გერმანელებმა რუმინელები 9:3 გაანადგურეს. 19 წლის ვალტერმა ამ მატჩში ჰეთ-თრიქი შეასრულა. ის იყო, ვალტერის ვარსკვლავი გერმანიის ჩემპიონატშიც ამობრწყინდა, რომ... მეორე მსოფლიო ომიც გაჩაღდა.

### პირველი ჩემპიონობა

ომის გამო ფრიც ვალტერს კარიერაში საუკეთესო წლები გაუცდა, თუმცა მან ომის შემდეგაც გაიბრწყინა. 1947 წელს „ლაუტერნმა“ პირველ სერიოზულ წარმატებას მიაღწია — ეგრეთწოდებული „ფრანგული ზონის“ ტიტული მოიგო და უფლება მოიპოვა, გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაეგრძელებინა. მიზანთანაც ძალიან ახლოს მივიდა. „მიუნხენ 1860“-ისა და „ნოიენდორფის“ დამარცხების შემდეგ ფინალში გავიდა, სადაც „ნიურნბერგს“ დაუპირისპირდა. გადამწყვეტ მატჩში ნიურნბერგელებმა 2:1 იმარჯვეს და „კაიზერსლაუტერნიც“ მეორეობას დასჯერდა. მომდევნო გათამაშებაში კლუბმა მესამე ადგილი იკმარა, 1950 წელს მეოთხედფინალში გავარდა, ერთი წლის შემდეგ კი მის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო — „კაიზერსლაუტერნი“ გერმანიის ჩემპიონი გახდა.

საჩემპიონო წელი „ლაუტერნმა“ არც ისე კარგად დაიწყო. პირველი ტურების შემდეგ „ფრანგულ ზონაში“ აუტსაიდერთა შორის იმყოფებოდა, თუმცა მერე თანდათან მოუმატა. ვალტერი, ლიბრიხი, ეკელი ბრწყინვალედ ათამაშდნენ და...

„ნამდვილი ეშმაკები არიან, წითელი ეშმაკები“ — წერდა გერმანული პრესა „კაიზერსლაუტერნზე“. ახალი მეტსახელიც უმალ აიტაცეს — „წითელი ეშმაკები ბეტცენბერგიდან“. „ბეტცენბერგი“ „ლაუტერნის“ მშობლიური სტადიონი გახლდათ.

ეს მეტსახელი გუნდს დღემდე შემორჩა, თუმცა ბეტცენბერგი მოაკლდა და უბრალოდ „წითელ ეშმაკებად“ მოიხსენიებენ. წითელი ფერი კი მართლაც მაგიური გამოდგა. კლუბის ფერებად, მართალია, თავიდანვე წითელი და თეთრი აირჩიეს, მაგრამ თავიდან „ლაუტერნის“ ფორმაში თეთრი წითელს ბევრად სჭარბობდა. 1951 წელს კი გუნდმა წითელი მაისურა და წითელი ტრუსი მოირგო და ჩემპიონიც გახდა.

გადამწყვეტი მატჩი ზუსტად 49 წლის წინ, 1951 წლის 30 ივნისს, ბერლინში შედგა. „წითელმა ეშმაკებმა“ „მიუნსტერი“ 2:1 დაამარცხეს. ამას მოჰყვა ყველაზე წარმატებული პერიოდი კლუბის ასწლიან ისტორიაში. 1953-ში „კაიზერსლაუტერნმა“ მეორედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული ფინალში, ისევ ბერლინში, „შტუტგარტს“ 4:1 სძლია. „წითელ ეშმაკებს“ ამ წოდების შენარჩუნება მომდევნო წელსაც შეეძლოთ, მაგრამ ფრიც ვალტერი და კომპანია სენსაციურად დამარცხდა „ჰანოვერ 96“-თან 1:5. ჰამბურგი „ლაუტერნისთვის“ უიღბლო ქალაქი აღმოჩნდა, ისევე როგორც ჰანოვერი ერთი წლის შემდეგ, როცა „წითლებმა“ უკვე „როტ ვაისთან“ წააგეს გადამწყვეტი მატჩი — 3:4.

ყველაფერ ამას კი დაღმასვლა მოჰყვა, თუმც მანამდე ერთი ისეთი ფაქტიც მოხდა, რომლითაც „კაიზერსლაუტერნი“ დღესაც ამაყად იწონებს თავს. 1954 წელს გერმანიის ეროვნული ნაკრები პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. იმ გუნდის ძირითადი შემადგენლობის თითქმის ნახევარს კი კაიზერსლაუტერნელები შეადგენდნენ — ძმები ფრიც და ოტმარ ვალტერები, ჰორსტ ეკელი, ვერნერ ლიბრიხი და ვერნერ კოლმაიერი ნაკრებში უდიდეს ძალას წარმოადგენდნენ.

### ეს რა ჭირი გვჭირს

ჩემპიონატი ჩემპიონატად, მაგრამ „კაიზერსლაუტერნმა“ თასს ვერაფერი მოუხერხა. გუნდი გერმანიის თასის ფინალში პირველად 1961 წელს გავიდა, თუმცა ბრემენის „ვერდერი“ უფრო ძლიერი აღმოჩნდა, 2:0 მოიგო და თასსაც დაეუფლა.

მეორე შანსი მათ 1972 წელს ჰქონდათ, მაგრამ ჰანოვერში ვიცე-ჩემპიონ „შალკესთან“ 0:5 განადგურდნენ. ოთხი წლის შემდეგ კი „ჰამბურგმა“ იმძლავრა (2:0).

„კაიზერსლაუტერნი“ ქვეყნის თასის ფინალში 1981 წელსაც გავიდა. მაშინ შტუტგარტის „ნეკარშტადიონზე“ „აინტრახტს“ დაუპირისპირდა და ისევ წააგო — 1:3. მომდევნო წელს „ლაუტერნმა“ კიდევ ერთი ფინალიც დათმო, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი. შვედურ „გიოტებორგთან“ საშინაო 1:1-ის მერე ბრიგელმა და კომპანიამ სტუმრად 1:2 წააგეს და უეფას თასიც შვედებმა დაისაკუთრეს.

„ბეტცენბერგელი ეშმაკები“ რის ეშმაკები იქნებოდნენ, თავისი არ გაეტანათ. ჰოდა, ნავსი 1990 წელს (მეხუთე ცდაზე) გატეხეს — ფინალში ბრემენის „ვერდერს“ 1961 წლის წარმატება აღარ გაამეორებინეს. მართალია, კვლავაც ორი გოლი გაუშვეს, მაგრამ თავად სამი გაიტანეს და ნანატრ თასსაც დაეუფლნენ.

„კაიზერსლაუტერნმა“ ამას 1996 წელსაც მიაღწია და გაფუჭებული ხასიათიც ოდნავ გამოიკეთა. უგუნებოდ კი იმიტომ იყო, რომ თასის ხელმეორედ აღებამდე ერთი კვირით ადრე ისტორიაში პირველად მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა.

### ბუნდესლიგის რეკორდი

მეორე ბუნდესლიგაში „კაიზერსლაუტერნმა“ სულ ერთი წელიწადი დაჰყო. იქ „წითელმა ეშმაკებმა“ ჩინებული სეზონი ჩაატარეს. ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე შინ „ლიუბეკი“ 7:0 გაანადგურეს და პირველი ბუნდესლიგის საგზურიც ოფიციალურად გაიფორმეს.

ელიტაში დაბრუნებულმა „კაიზერსლაუტერნმა“ ფურორი მოახდინა. ალზევებისთანავე ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდა. ეს მანამდე ვერავის მოეხერხებინა. ოტო რეჰაგელმა არც თუ ცნობილი და მვირადღირებული ფეხბურთელებიდან — ბრწყინვალე გუნდი შეკრა და ისეთ გრანდებს აჯობა, როგორებიც „ბაიერნი“, „ლევერკუზენი“, „დორტმუნდი“ და სხვები არიან. ვინ ბრწყინავდა 1998 წლის გერმანიის ჩემპიონ გუნდში? მანამდე სრულიად უცნობი და არც ისე ახალგაზრდა ოლაფ მარშალი და შვეიცარიელი ჩირიაკო სფორცა. საბოლოო წარმატებაში თავიანთი წვლილი, ცხადია, სხვა ფეხბურთელებმაც შეიტანეს.

„კაიზერსლაუტერნისთვის“ ეს მეოთხე ჩემპიონობა გახლდათ, რადგან „წითელი ეშმაკები“ 1991 წელსაც შესწვდნენ გერმანიის უმაღლეს საფეხბურთო მწვერვალს. მაშინ გუნდს ფელდკამპი ავარჯიშებდა.

### ზეიმი ზეიმის წინ

როგორც ხედავთ, „კაიზერსლაუტერნის“ წარმატებები მხოლოდ შინაურ ასპარეზზე მოგებული ექვსი ტიტულით შემოიფარგლება. ქვეყნის გარეთ „წითელ ეშმაკებს“ სერიოზული არაფრისთვის მიუღწევიათ. არც არასოდეს ჰქონიათ პრეტენზია, 50-იანი წლების დასაწყისს თუ არ ჩავთვლით, როცა „ლაუტერნში“ მართლაც ბრწყინვალე თაობა გახლდათ ფრიც ვალტერის მეთაურობით, თუმცა მაშინ ევროტურნირები არ არსებობდა.

ცნობისათვის, „ბეტცენბერგის“ სტადიონს 1988 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, სახელიც გამოეცვალა, „კაიზერსლაუტერნის“ ლეგენდარული ფეხბურთელის უკვდავსაყოფად „ფრიცვალტერ-შტადიონი“ ეწოდა.

პერიოდულად უმაღლესი კლასის ფეხბურთელები შემდგომშიც თამაშობდნენ „ლაუტერნში“. მათ შორის იყვნენ შვედები: როლანდ სანდბერგი და რონი ჰელსტრიომი, ბრგე ჰანს-პეტერ ბრიგელი, რომელიც გუნდმა ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის მიზნით 80-იან წლებში იტალიურ „ვერონაში“ გაყიდა. ამავე მიზნით გაასხვისა კლუბის ხელმძღვანელობამ 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გადამწყვეტი გოლის გამტანი ანდრეას ბრემე, რომელიც მოგვიანებით მაინც დაბრუნდა „ლაუტერნში“ და კარიერაც იქ დაასრულა.

დღევანდელი შემადგენლობიდან კი ორი ფეხბურთელი გამოირჩევა, მარიო ბასლერი და 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ფრანგი იური ჯორკაეფი, რომელსაც ზეგ იუბილესთვის სულაც არ სცხელა, ევროპის ჩემპიონატის ფინალი აქვს სათამაშო.

გასულ სეზონში „კაიზერსლაუტერნს“ ეს ფეხბურთელები დიდად ვერ დაეხმარნენ, ოტო რეჰაგელის გუნდი მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა, არადა, მეტის მიღწევაც შეეძლო. დანაკლისის ანაზღაურებას კლუბის ხელმძღვანელობა მომავალ სეზონში აპირებს.

„ჩვენ კარგი გუნდი გვყავს. ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა გვმართებდა, მაგრამ ბევრ მატჩში ფორტუნამ ზურგი გვაქცია და უამრავი ქულა დავკარგეთ. შეცდომას გაისად გამოვასწორებთ, ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. ჩვენ შეგვწევს ამის უნარი“ — განაცხადა მარად ოპტიმისტმა და ბუნდესლიგის ყველაზე ემოციურმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა გასული სეზონის შემდეგ.

„წითელმა ეშმაკებმა“ საუკუნოვანი იუბილე საკადრისი შედეგით ვერ აღნიშნეს, თუმცა ამის გაკეთებას ქომაგებს გაისისთვის ჰპირდებიან.

„ეს ღირსშესანიშნავი თარიღი საკადრისად უნდა აღვნიშნოთ. დარწმუნებული ვარ, ზეიმის საბაბი მომავალი ჩემპიონატის შემდეგაც გვექნება“ — თქვა ამას წინათ, ჰუბერტ კესლერმა, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა.

კაიზერსლაუტერნშიც ამის იმედი აქვთ.

**ვანო ოქრობირიძე**




1998წლის ბუნდესლიგის ჩემპიონი „კაიზერსლაუტერნი“. დგანან: ჰუბერტ კესლერი (ვიცე-პრეზიდენტი), მარკო რაიხი, მარიან ხრისტოვი, მირკო ბიტცერი, რაინჰარდ შტუმპფი (მწვრთნელი), გერი ერმანი (მწვრთნელი), იანოშ ჰრუტკა, იურგენ რიშე, ოლაფ მარშალი, მიხაელ შონბერგი, მიროსლავ კადლეცი, შტეფან ერტლი, მიხაელ ბალაკი, ჰარი კოხი, ანდრიას ბუკი, პასკალ ოჯიგვე; სხედან: მარტინ ვაგნერი, თომას რიდლი, ოტო რეჰაგელი (მთავარი მწვრთნელი), ჩირიაკო სფორცა, ანდრიას რაინკე, ანდრიას ბრემე, ოლივერ შეფერი, პაველ კუკა, ლაიოშ სუჩი, რატინიო

# დრაფტი 2000. მინეაპოლისი. 28 ივნისი

### პირველი წრე

| კლუბი | მოთამაშე | ამპლუა | უნივერსიტეტი |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | კენიონ მარტინი | ცენტრი | ცინცინატი |
| ვანკუვერი | სტრომილ სვიფტი | ფორვარდი | ლუიზიანა სტეიტი |
| კლიპერსი | დარიუს მაილსი | ფორვარდი | ისტ სენტ ლუისი |
| ჩიკაგო | მარკუს ფიზერი | ფორვარდი | აიოვა სტეიტი |
| ორლანდო | მაიკ მილერი | ფორვარდი | ფლორიდა |
| ატლანტა | დემარ ჯონსონი | უკანა ხაზი | ცინცინატი |
| ჩიკაგო | კრის მიმი | ცენტრი | ტეხასი |
| კლივლენდი | ჯამალ კროუფორდი | უკანა ხაზი | მიჩიგანი |
| ჰიუსტონი | ჯოელ პრჟიბილა | ცენტრი | მინესოტა |
| ორლანდო | კეიონ დულინგი | უკანა ხაზი | მისური |
| ბოსტონი | ჟერომ მუასო | ფორვარდი | კალიფორ. ლოს ანჯელესი (*საფრანგეთი*) |
| დალასი | ეტან ტომასი | ფორვარდი | სირაკუზი |
| ორლანდო | კურტნი ალექსანდერი | უკანა ხაზი | ფრესნო სტეიტი |
| დეტროიტი | მატინ კლივსი | უკანა ხაზი | მიჩიგან სტეიტი |
| მილუოკი | ჯეისონ კოლიე | ცენტრი | ჯორჯიის ტექნიკური |
| საკრამენტო | ჰიდაიეთ თურქოღლუ | ფორვარდი | ეფესი (თურქეთი, *თურქეთი*) |
| სიეტლი | დესმონდ მეისონი | უკანა ხაზი | ოკლაჰომა |
| კლიპერსი | კვენტინ რიჩარდსონი | უკანა ხაზი | დეპოლი |
| შარლოტი | ჯამაალ მალუა | ცენტრი | კენტუკი (*კანადა*) |
| ფილადელფია | სპიდი კლაქსტონი | უკანა ხაზი | ჰოფსტრა |
| ტორონტო | მორის პეტერსონი | ფორვარდი | მიჩიგან სტეიტი |
| ნიუ იორკი | დონელ ჰარვი | ფორვარდი | ფლორიდა |
| იუტა | დეშონ სტივენსონი | უკანა ხაზი | ვაშინგტონი |
| ჩიკაგო | დალიბორ ბაგარიჩი | ცენტრი | ბენსტონი (ხორვატია, *ხორვატია*) |
| ფინიქსი | იაკოვოს ცაკალიდისი | ცენტრი | აეკ (საბერძნეთი, *საბერძნეთი*) |
| დენვერი | მამადუ ნდაიე | ცენტრი | ობურნი (*სენეგალი*) |
| ინდიანა | პრიმოჟ ბრეჟეცი | ფორვარდი | ოლიმპია (სლოვენია, *სლოვენია*) |
| პორტლენდი | ერიკ ბარკლი | უკანა ხაზი | სენტ ჯონსი |
| ლეიკერსი | მარკ მადსენი | ფორვარდი | სტენფორდი |

### მეორე წრე

| კლუბი | მოთამაშე | ამპლუა | უნივერსიტეტი |
|---|---|---|---|
| კლიპერსი | მარკო იარიჩი | უკანა ხაზი | ფორტიტუდო (იტალია, *იუგოსლავია*) |
| დალასი | დან ლანფი | ფორვარდი | ვანდერბილტი |
| ჩიკაგო | ეი ჯეი გაიტონი | უკანა ხაზი | ინდიანა |
| ჩიკაგო | ჯეკი ვოსკული | ცენტრი | კონექტიკუტი |
| ჩიკაგო | ხალიდ ელ ამინი | უკანა ხაზი | კონექტიკუტი |
| ვაშინგტონი | მაიკ სმიტი | ფორვარდი | ლუიზიანა-მონრო |
| ნიუ ჯერსი | სუმაილა სამაკე | ცენტრი | *მალი* |
| მაიამი | ედი ჰაუზი | უკანა ხაზი | არიზონა სტეიტი |
| ჰიუსტონი | ედუარდო ნახერა | ფორვარდი | ოკლაჰომა (*მექსიკა*) |
| ნიუ იორკი | ლავორ პოსტელი | ფორვარდი | სენტ ჯონსი |
| ატლანტა | ჰანო მოტოლა | ფორვარდი | იუტა (*ფინეთი*) |
| სან ანტონიო | კრის კარაველი | უკანა ხაზი | დიუკი |
| სიეტლი | ოლუმიდე ოიედეჟი | ცენტრი | ვურცბურგი (გერმანია, *ნიგერია*) |
| მილუოკი | მაიკლ რედი | უკანა ხაზი | ოჰაიო სტეიტი |
| დეტროიტი | ბრაიან კარდინალი | ფორვარდი | პერდიუ |
| საკრამენტო | ჯაბარი სმიტი | ცენტრი | ლუიზიანა სტეიტი |
| ტორონტო | დეანდრე ჰალეტი | ფორვარდი | ლას ვეგასი |
| სიეტლი | იოსიპ სესარი | უკანა ხაზი | ციბონა (ხორვატია, *ხორვატია*) |
| ფილადელფია | მარკ კარჩერი | ფორვარდი | ტემპლი |
| მილუოკი | ჯეისონ ჰარტი | უკანა ხაზი | სირაკუზი |
| იუტა | კანიელ დიკენსი | ფორვარდი | აიდაჰო |
| მინესოტა | იგორ რაკოჩევიჩი | უკანა ხაზი | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია, *იუგოსლავია*) |
| მაიამი | ერნესტ ბრაუნი | ცენტრი | ინდიან ჰილზი |
| დენვერი | დანიელ მაკკლინტოკი | ცენტრი | ჩრდილოეთ არიზონა |
| სან ანტონიო | კორი ჰაიტაუერი | ფორვარდი | ინდიან ჰილზი |
| გოლდენ სტეიტი | კრის პორტერი | ფორვარდი | ობურნი |
| ინდიანა | ჯეკი ველსი | უკანა ხაზი | კოლორადო |
| ატლანტა | სკუნი პენი | უკანა ხაზი | ოჰაიო სტეიტი |
| დალასი | პიტ მიკილი | ფორვარდი | ცინცინატი |

*დახრილი შრიფტით გამოყოფილია მოთამაშის ეროვნება*

### დრაფტის დამთავრებისთანავე კლუბებმა რამდენიმე გაცვლა-გამოცვლა მოაწყვეს:

- „ჩიკაგომ“ „კლივლენდში“ გააგზავნა კრის მიმი (დრაფტის მე-7 ნომერი) და სანაცვლოდ ჯამალ კროუფორდი (მე-8 ნომერი) მიიღო
- „ორლანდომ“ კეიონ დულინგი (მე-10 ნომერი), კორი მეჯიტი და დერიკ სტრონგი მიჰყიდა „კლიპერსს“, სანაცვლოდ მომავალი დრაფტის პირველი წრის არჩევანის უფლება მიიღო
- „ჰიუსტონმა“ „მილუოკიში“ გააგზავნა ჯოელ პრჟიბილა (მე-9 ნომერი) და სანაცვლოდ ჯეისონ კოლიე (მე-15 ნომერი) და მომავალი დრაფტის პირველი წრის არჩევანის უფლება მიიღო
- „ორლანდომ“ კურტნი ალექსანდერი (მე-13 ნომერი) მიჰყიდა „დალასს“, სანაცვლოდ მომავალი დრაფტის პირველი წრის არჩევანის უფლება მიიღო
- „დალასმა“ „ჰიუსტონში“ გააგზავნა დან ლანფი (31-ე ნომერი) და სანაცვლოდ ედუარდო ნახერა (38-ე ნომერი) და მომავალი დრაფტის მეორე წრის არჩევანის უფლება მიიღო
- „სიეტლმა“ იოსიპ სესარი (47-ე ნოაერი) მიჰყიდა „ბოსტონს“, სანაცვლოდ მომავალი დრაფტის მეორე წრის ორი არჩევანის უფლება მიიღო
- „სან ანტონიომ“ კორი ჰაიტაუერი (54-ე ნომერი) მიჰყიდა „ლეიკერსს“, სანაცვლოდ მომავალი დრაფტის მეორე წრის ორი არჩევანის უფლება მიიღო
- „ნიუ იორკმა“ დონელ ჰარკი (22-ე ნომერი) და ჯონ ვოლესი მიჰყიდა „დალასს“, სანაცვლოდ პიტ მიკილი (58-ე ნომერი) და ერიკ სტრიკლენდი მიიღო

# ადგილის დაკარგვა სიცივესაც შეგაყვარებს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდები, როგორც წესი, დრაფტამდე თავს იკავებდნენ მოთამაშეთა გაცვლა-გამოცვლისგან. თუმცა, გამონაკლისიც არსებობს და ამის დასტური სამ გუნდს შორის მომხდარი გარიგებაა, რომელიც დრაფტამდე რამდენიმე საათით ადრე გაიჩარხა. ამ ვაჭრობის შედეგად ექვსმა მოთამაშემ გამოიცვალა გუნდი.

„მილუოკი ბაქსი“ ერთბაშად სამ მოთამაშეს შეელია: ფორვარდები რობერტ ტრეილორი და ჯეი არ რიდი „კლივლენდ კავალიერზში“ გააგზავნა, ხოლო უკანახაზელი ვინი დელ ნეგრო — „გოლდენ სტეიტ ვორიორზში.“ თავის მხრივ, „კლივლენდმა“ უკანახაზელი ბობ სურა დაუთმო „გოლდენ სტეიტს“, ხოლო ამ უკანასკნელმა ფორვარდები ჯეისონ კეფი და ბილი ოუენსი მისცა „მილუოკის“.



ჯეისონ კეფი

შეამჩნევდით, ყველაზე დიდი გადაადგილებები „მილუოკში“ მოხდა. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ერნი გრიუნფელდმა სამი სათადარიგო კალათბურთელი გაიღო ჯეისონ კეფის ხელში ჩაგდებისთვის: „ჯეისონი გვჭირდება. იგი ათლეტური კალათბურთელია. ჩვენ არ ველით მისგან მატჩში საშუალოდ 20 ქულას, მთავარია იგი ფარქვეშ გაისარჯოს და ბურთები მოხსნას“.

„მილუოკის“ კარგა ხანია დაუდგამს თვალი კეფისთვის. 1998 წელს იგი თითქმის გადავიდა „ბაქსში“, მაგრამ ბოლო წამს მაშინდელ კლუბს, „ჩიკაგო ბულზს“ სთხოვა, „გოლდენ სტეიტში“ გამყიდეთო. კალათბურთელს მილუოკის ცივი ჰავა არ მოსწონდა. სხვათა შორის, „ჩიკაგოში“ კეფი ორჯერ გახდა ასოციაციის ჩემპიონი.

ამჯერად კეფის აღარ შეშინებია მილუოკის სიცივის, რადგან ძველ კლუბში უარესი, ანუ სასტარტო ხუთეულში ადგილის დაკარგვა ელოდა. „გოლდენ სტეიტის“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა დეივ კოუენსმა გარკვევით განაცხადა: ხუთეულში თავდამსხმელის ადგილს ანტაუნ ჯემისონი დაიკავებსო. ამიტომაც კეფი სიხარულით დათანხმდა გრიუნფელდის წინადადებას. მით უმეტეს, „ბაქსის“ მწვრთნელ ჯორჯ კარლს იგი სახუთეულოდ შეუგულებია.

რობერტ ტრეილორი „მილუოკიმ“ 1998 წლის დრაფტის პირველ წრეში ამოირჩია და სადებიუტო სეზონში ძირითად თავდამსხმელად ათამაშა. კალათბურთელი, რომელსაც მეტსახელად „ტრაქტორს“ ეძახიან, მალე გახდა გულშემატკივართა რჩეული. ამ სეზონის დაწყების წინ, ტრეილორი წონამომატებული გამოცხადდა „ბაქსის“ შეკრებაზე და ეს პრობლემა სეზონის ბოლომდე ვერ მოაგვარა. მასთან ერთად „კლივლენდში“ ჯეი არ რიდი გადავიდა, რომელსაც სუსტი სეზონი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, „კავალიერზის“ გენერალური მენეჯერი ჯიმ პაქსონი შენაძენით კმაყოფილია: „ტრეილორის და რიდის მოსვლით ჩვენს წინა ხაზს სიმაღლე მოემატება და სიმტკიცე შეემატება“.

სამაგიეროდ „კლივლენდმა“ დათმო ბობ სურა, რომელიც უნივერსალიზმით გამოირჩევა. სურას წასვლით „კავალიერზს“ ჯამური ხელფასის ფონდში ოთხი მილიონი დოლარი გამოუთავისუფლდა, რაც დრაფტში რიგიანი კალათბურთელის აყვანას მოხმარდება. კლივლენდელებს მერვე არჩევანის უფლება აქვთ, მათ სამიზნედ კი ბერძენი იაკოვოს ცაკალიდისი ან მინესოტას უნივერსიტეტელი ჯოელ პრჟიბილა ქცეულან.

სურა „გოლდენ სტეიტში“ წავიდა. მასთან ერთად იქნება „მილუოკიდან“ დათხოვილი ვინი დელ ნეგროც, რომლის საუკეთესო წლები კარგა ხანია გავიდა. „ვორიორზის“ მწვრთნელის დეივ კოუენსის თქმით, მას გარკვეული გეგმები აქვს სურასთან და დელ ნეგროსთან დაკავშირებით.

ვინლა დაგვრჩა? ბილი ოუენსი, რომელიც შარშან გადავიდა „გოლდენ სტეიტში“ „ფილადელფიიდან“. ამ კალათბურთელმა სეზონის ბოლო თხუთმეტი მატჩი მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა, ხოლო გამოჯანმრთელებული „ბაქსში“ აღმოჩნდა გაყიდული. აღსანიშნავია, რომ „მილუოკი“ ოუენსისთვის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მეექვსე გუნდი იქნება.

# მაიამი: მიდიან და ბრუნდებიან

„მაიამი ჰითს“ და „დენვერ ნაგითსსაც“ წასძლია სულმა და დრაფტის წინა დღეს ივაჭრეს. „მაიამიმ“ გაიღო უკანახაზელი ვოშონ ლენარდი და ფორვარდი მარკ სტრიკლენდი, სამაგიეროდ კი ფორვარდი კრის გეტლინგი და დრაფტის 37-ე არჩევანის უფლება მიიღო.

„დენვერის“ პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი დან აისელი გაცვლა-გამოცვლით მეტად კმაყოფილია: „ლენარდი სნაიპერული თვისებებით გამორჩეული უკანახაზელია, რომელსაც ორივე პოზიციაზე შეუძლია თამაში. ჩვენ სწორედ ამგვარს ვეძებდით. სტრიკლენდი კი მეტად აქტიური კალათბურთელია, რომელიც ჩვენს წინა ხაზს უფრო ათლეტურს გახდის“.

ლენარდმა მეხუთე სეზონი ჩაამთავრა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და „მაიამის“ გარდა არსად უთამაშია. კარიერის განმავლობაში 249 მატჩში მიუღია მონაწილეობა, საშუალოდ 11,3 ქულას, 2,9 მოხსნას და 2,1 პასს აკეთებდა. ბოლო სეზონში მან 53-ჯერ ითამაშა, ორი მატჩი საზარდულის ტრავმის გამო გამოტოვა, ხოლო 26 — ფეხის ტრავმის გამო.

ხუთწლიანი გამოცდილება აქვს სტრიკლენდსაც. ბოლო ოთხი სეზონი „მაიამიში“ გაატარა, ხოლო სადებიუტო — „ინდიანა პეისერზში“. კარიერის 176 მატჩში საშუალოდ 4,6 და 2,7 მოხსნა დაუგროვებია. ბოლო სეზონში 58 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

კრის გეტლინგი კი ერთხელ უკვე იყო „ჰითის“ წევრი. 1995-96 წლების სეზონში მან 24-ჯერ დაიცვა მაიამელთა ღირსება. ბოლო სეზონი „ორლანდო მეჯიქში“ დაიწყო, ხოლო 1 თებერვალს „დენვერ ნაგითსში“ გაყიდეს, სადაც 40 მატჩი ითამაშა. გეტლინგის საშუალო მაჩვენებლები 10,4 ქულა და 5,1 მოხსნაა.

## ევროპული ამბები

### საბერძნეთი

# რიზაშეც გაოლიმპიელდა

პირეოსის „ოლიმპიაკოსი" იმდენად დიდი ტემპით შეუდგა სატრანსფერო პოლიტიკის გატარებას, რომ, ვგონებთ, შეჩერებაც უჭირს. ჯერ იყო და ბერძენი ნიკოს ეკონომუ გადმოიყვანა ბოლონიის „კინდერიდან". ორიოდ დღის წინ ბურსას „თოფაშის" დაშლის გამო თავისუფალ აგენტად ქცეული ამერიკელი დევიდ რივერსი დაისაკუთრა. გუშინ კი ფრანგ ფორვარდ სტეფან რიზაშესაც შეაბა ეუვანი.


სტეფან რიზაშე (ბურთით)

28 წლის და 203-სანტიმეტრიანი რიზაშე საფრანგეთის ნაკრების წევრია. წინა სეზონი „პო ორტეზში" გაატარა და ქვეყნის ჩემპიონატის 27 მატჩში საშუალოდ 13,9 ქულა გააკეთა. მანამდე სტეფანი „პარი სენ ჟერმენში" თამაშობდა.

„ოლიმპიკოსმა" სამწლიანი კონტრაქტი დაუდო რიზაშეს „ორი პლუს ერთის პრინციპით". ორ წელიწადში კალათბურთელი ერთ მილიონ დოლარს მიიღებს. რიზაშეს დასაკუთრება მალაგის „უნიკახას", მადრიდის „რეალს" და სალონიკის პაოკ-საც სურდათ.

### ესპანეთი

# რიგოდო არჩევნებს ელის

ფრანგი უკანახაზელი ანტუან რიგოდო თავისუფალი აგენტია და ახალ გუნდს ეძებს. ბოლონიის „კინდერთან" კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ფრანგმა უშედეგოდ აწარმოა მოლაპარაკება ჯერ პირეოსის „ოლიმპიაკოსთან", შემდეგ კი თელ ავივის „მაკაბისთან". ბოლო ცნობების მიხედვით, რიგოდომ მიაღწია წინასწარ შეთანხმებას „ბარსელონასთან" და შემდეგ სეზონს იქ გაატარებს.

„ბარსელონა" საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება და ძაღლის თავიც აქაა დამარხული: სანამ კლუბის თავკაცს არ აირჩევენ, მანამდე ყველა ტრანსფერი შეჩერებულია. „ბარსელონას" პრეზიდენტს ივლისის ბოლოს აირჩევენ და რიგოდოს ბედიც ოფიციალურად მაშინ გადაწყდება. თუკი ფრანგს აიყვანს, „ბარსას" ერთბაშად ოთხი გამთამაშებელი მოუგროვდება: რიგოდო, ნაჩო როდრიგესი, ხუან კარლოს ნავარო და ლიტველი შარუნას იასიკევიჩუსი.

# გიორგი გაგნიძე თითქმის სპარტაკელია

ერთი კვირაა, რაც ქართველი გიორგი გაგნიძე მოსკოვშია და იქაურ „სპარტაკში" ვარჯიშობს. ამ კლუბის მწვრთნელი წარსულში მოსკოვის „დინამოს" ცნობილი კალათბურთელი ალექსანდრ სიდიაკინია, რომელსაც ჩვენებურის თამაში საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებებში უნახავს. სიდიაკინი ახლახან ჩაუყენეს სათავეში „სპარტაკს", მან ახალი სეზონისთვის გუნდის გადახალისება გადაწყვიტა, გაგნიძეც გაიხსენა და „ვითას" უკანახაზელი თავისთან მიიწვია.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაგნიძე აუცილებლად „სპარტაკში" გააგრძელებს კარიერას. მას ოფიციალური კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია კლუბთან, თუმცა, როგორც მისი ოჯახის წევრებისგან შევიტყვეთ, სულ მალე მოგვარდება იურიდიული მხარეც — სიდიაკინი თურმე ერთობ ემადლიერება გიორგის.

თავად გაგნიძეც კმაყოფილი ყოფილა. მას მოსკოვში ოროთახიანი ბინა გამოუყვეს და ჩინებული სავარჯიშო პირობებიც შეუქმნეს. ამჟამად „სპარტაკში" თურმე 18 კაცი ვარჯიშობს, მალე გუნდი სამკვირიან შეკრებაზე გადავა და სწორედ მაშინ გაცხადდება, თუ ვის დაიტოვებს თავისთან სიდიაკინი.

მოსამზადებელ ციკლში საზღვარგარეთულ ტურნესაც გეგმავს „სპარტაკი", არც ისაა გამორიცხული, რომ ბათუმის „ბასკოსთანაც" გამართოს რამდენიმე სპარინგ-მატჩი.

„ვითამდე" გიორგი გაგნიძე სტუ-ში თამაშობდა, რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. უფრო ადრე კი, იმავე „ვითას" რიგებში მან ქვეყნის ჩემპიონობაც მოიპოვა. გაგნიძეს ეროვნულ ნაკრებშიც მოუსინჯავს ძალა, ეს იყო ლევან მოსეშვილის მწვრთნელობისას.

სხვათა შორის, თავის დროზე ირაკლი ვაშაკიძესაც უთამაშია „სპარტაკში", რომელმაც ბოლო სეზონი რუსეთისავე „სამარაში" გაატარა. „სპარტაკის" ღირსებას, ოღონდ სულ რამდენიმე მატჩში, გიორგი ჩხეიძეც იცავდა.

**გიორგი ბიძაშვილი**


1999 წლის 27 თებერვალი. საქართველო — იტალია. გიორგი გაგნიძე (№7) გრეგორ ფუჩკას წინააღმდეგ.



# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**კროკოს ბიუროები ევროპის ჩემპიონატის მატჩების დღეებში შესვენების გარეშე იმუშავებს (როცა თამაშები არ ტარდება — ჩვეულებრივი განრიგით)**

ევროპის ჩემპიონატი. ფინალი

2 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 031 | საფრანგეთი – იტალია | | | |

ინტერტოტო. II ეტაპი. I მატჩები

1 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ბლშანი (ჩეხეთი)-მოგილიოვი (ბელარუსი) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 002 | ტატაბანია (უნგრეთი)-ციბალია (ხორვატია) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 003 | ნეა სალამინა (კვიპროსი)-აუსტრია (ავსტრია) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 004 | ზენიტი (რუსეთი)-პრიმორიე (სლოვენია) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 005 | სტაბეკი (ნორვეგია)-ოსერი (საფრანგეთი) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 006 | ქსამაქსი (შვეიცარია)-შტუტგარტი (გერმანია) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 007 | უნისპორტი (მოლდოვა)-ზალცბურგი (ავსტრია) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 008 | ზაგლებე (პოლონეთი)-სლავენი (ხორვატია) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 009 | პელისტერი (მაკედონია)-ფრიოლუნდა (შვედეთი) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 010 | ლინცერი (ავსტრია)-დუკლა (ჩეხეთი) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 011 | სედანი (საფრანგეთი)-ლეიფტური (ისლანდია) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 012 | პერუჯა (იტალია)-სტანდარდი (ბელგია) *ნეიტრალურზე* | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 013 | მალიორკა (ესპანეთი)-ჩაჰლაული (რუმინეთი) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

2 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 014 | ატლანტასი (ლიტვა)-ბრედფორდი (ინგლისი) | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| 015 | დინაბურგი (ლატვია)-ოლბორგი (დანია) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 016 | ველბაჟდი (ბულგარეთი)-სიგმა (ჩეხეთი) | 2,3 | 2,9 | 2,8 |

ნორვეგია. მე-11 ტური

2 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 017 | ჰაუგესუნდი-ბრანი | 4,0 | 3,3 | 1,65 |
| 018 | მოლდე-მოსი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 019 | ოდ გრენლანდი-ბოდიო გლ. | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| 020 | რუსენბორგი-ვოლერენგა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 021 | სტარტი-ტრომსიო | 2,4 | 3,3 | 2,3 |
| 022 | ვიკინგი-ბრინი | 1,3 | 4,0 | 7,0 |

ავსტრია. სუპერთასი

30 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 045 | ტიროლი-გრაცერი *ნეიტრალურზე* | 1,7 | 3,1 | 4,4 |

I ტაიმი/ძირითადი დრო

| | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.07 23.00 081 საფრანგეთი–იტალია | | | | | | | | | |

| დამატებით დროში გაიმარჯვებს | პენალტების სერიით გაიმარჯვებს |
|---|---|
| 02.07 23.00 901 საფრანგეთი–იტალია | 02.07 23.00 902 საფრანგეთი–იტალია |

ჩემპიონი

2 ივლისი (23.00)

101 საფრანგეთი . . . . . . . . . . . . . . — 101 იტალია . . . . . . . . . . . . . . . —

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე 11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

**ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)**

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

**რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“ განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.**

*დასაშვებია მხოლოდ ის გადამრავლებები, რომლებიც მითითებულია სიაში არასწორი გადამრავლებისას. დარჩება პროგნოზთა ის ჯგუფი, რომლის კოეფიციენტთა ნამრავლიც მეტია*

*გადამრავლება დასაშვებია მხოლოდ იმ წესით რომელიც ზემოთ არის მითითებული*

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# საფრანგეთმა ისევ მარყუჟში გაყო თავი

### ჯირო. ტური და ვუელტა



ერთიც, მეორეც და მესამეც იტალიურად, ფრანგულად და ესპანურად წრეს ნიშნავს. ერთიც, მეორეცა და მესამეც საგზატკეცილო ველორბოლაში სამ ყველაზე მნიშვნელოვან შეჯიბრებად არის მიჩნეული. სამივე მრავალდღიანი, უფრო ზუსტად, ოცდღიანია; სამივე სავსეა ილაჯგამწყვეტი, ლამის ღრუბლებში დაკარგული ცივი უღელტეხილიანი ეტაპებით. ერთ სეზონში სამივე მათგანის მოგება ჯერ არავის ღირსებია, ორში გამარჯვებაც კი მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. პირველი გაზაფხულზე, მაისში იწყება, მეორე — ივლისში, მესამე — სექტემბერში. სამივე მათგანი შემლებისდაგვარად ორგანიზატორი ქვეყნის პერიმეტრს იმეორებს. ამიტომ, მაგალითად, „ტურ დე ფრანსს“ სხვანაირად დიდ მარყუჟსაც ეძახიან.

### და მაინც ტური

ამათგან ყველაზე ხანდაზმული და მნიშვნელობითაც გამორჩეული „ტურ დე ფრანსია“. ტური საუკუნის დასაწყისიდან ეწყობა და წლეულს ოთხმოცდამეშვიდედ გაიმართება. აქ გამარჯვება ყოველთვის იძლეოდა და, ახლაც ავტომატურად იძლევა მსოფლიოს №1 ველომრბოლის ტიტულს. სპორტის უამრავ სახეობაში ოლიმპიური ჩემპიონის სახელს საკმაოდ მალე ივიწყებენ, ტურის მომგებს კი ეს არ ემუქრება. ყოფილ საბჭოთა კავშირში მსოფლიოს ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების ტელეტრანსლაციები ნამდვილად არ გვაკლდა. ტურ დე ფრანსმა, ისევე როგორც ჯირომ და ვუელტამ, საბჭოთა ხელმძღვანელობის თვალში ეს პატივი ვერ დაიმსახურა — იქ საზიზღარი, კაცისჭამია პროფესიონალები ასპარეზობდნენ — შესაბამისად, ბოლო ათწლეულს თუ არ ვიგულისხმებთ, ვერც ჩვენ ველირსეთ ამ ფანტასტიკური შეჯიბრების ნახვას, მაგრამ ჟან ანკეტილის, ედი მერქსისა და მიგელ ინდურაინის სახელები სპორტის ყველა გულშემატკივარმა იცის. იცის იმიტომ, რომ მათ ტურ დე ფრანსი აქვთ მოგებული — დროც კი ვერაფერს აკლებს დიდი მარყუჟის გმირებს!

### პირატი. ნაცნობი-უცნობი ამერიკელი და როსტოკელი რობოტი

ანკეტილის, მერქსის, ინოსა და ინდურაინის ხუთ-ხუთწლიანი ბატონობის შემდეგ ტახტი, ცხადია, ცარიელი არ დარჩენილა, მაგრამ...

1996 წელს „ტურ დე ფრანსს“ გამოცდილებით დამძიმებული 33 წლის დანიელი ბიარნე რიისი იგებს. დიდი მიგელ ინდურაინისთვის, ცხადია, მიუღებელი იყო პირველის გარდა სხვა ნებისმიერი ადგილი, შესაძლოა ტურის ზედიზედ ხუთჯერ მოგება ადამიანის შესაძლებლობების ზღვარსაც სცილდება, შესაძლოა მიზეზი სხვა რამეც იყო, მაგრამ ასე თუ ისე, ერთი შეხედვით ნაუცბათევი გადაწყვეტილება საბოლოო გამოდგა — დონ მიგელი წავიდა დიდი სპორტიდან.

მას მერე „ტურ დე ფრანსმა“ კიდევ სამი პატრონი გამოიცვალა: 23 წლის როსტოკელი, რობოტად მონათლული იან ულრიხი, იტალიელი მარკო პანტანი — მეტსახელად პირატი და ველოსპორტის სამყაროში ერთხანს მივიწყებული, ამერიკელი ლენს არმსტრონგი, კაცი, რომელმაც შარშანდელი ტურის მოგებამდე საზარდულის კიბოს სძლია.

იან ულრიხი. ასი წლის მანძილზე ამ ასაკში „ტურ დე ფრანსი“ ორიოდე კაცსა აქვს მოგებული. 1997 წელს „ტელეკომს“ ულრიხის გამარჯვება არ ჰქონდა დაგეგმილი. გუნდის ლიდერად წინა წლის ჩემპიონი ბიარნე რიისი ითვლებოდა. დანარჩენი რვა ველოსიპედისტი, მათ შორის ულრიხიც შვეიცარიელს უნდა დახმარებოდა. ერთ-ერთ მთის ეტაპზე პელოტონის თავში მიმავალ ჯგუფს მოულოდნელად გამოეყო „ფესტინას“ ლიდერი, მთის მეფის ტიტულის სამგზის მფლობელი ფრანგი რიშარ ვირანკი. რიისს გაუჭირდა ფრანგის დადევნება და როგორც შემდეგ გაირკვა კვალში ჩაჯდომა მწვრთნელებმა რაციით იან ულრიხს დაავალეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ იმ წუთიდან გუნდის ლიდერად ულრიხი იქცა. რიისი, რა თქმა უნდა, გაწირეს, მაგრამ არა ამ კონკრეტულ ეტაპზე მარცხის გამო — ყველა მთიანი ეტაპის მოგება არც ერთ ველომრბოლს არ ძალუძს. უბრალოდ, „ტელეკომი“ გერმანული გუნდია და მის პატრონებს ტურის გამარჯვებულად გერმანელის ხილვა უფრო ესიამოვნებოდათ. მით უფრო თუ მათი ახალი ფავორიტი სულ რაღაც 23 წლისა იყო. იანმა მართლაც მოიგო 97 წლის ტური, მერე კი ამ ტიტულის ხუთგზის მფლობელს ბერნარ ინოს ათქმევინა: ულრიხი — ეს მოვლენა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდებაო.

ვერ გაგრძელდა. ჯერჯერობით მაინც. იმიტომ, რომ იტალიელ „პირატს“ სახელად მარკო პანტანის საკუთარი გეგმები ჰქონდა.



ტურის ფავორიტები: ალექს ცულე, იან ულრიხი და მარკო პანტანი

ეს ხოტორა, 57 კილოგრამიანი იტალიელი ცოტა არ იყოს სასაცილოდ გამოიყურება. ველოსიპედისტები ხუმრობენ — მოსახვევებში ჯერ მარკოს ყურები გამოჩნდება, მერე თვითონ პანტანიო. მაგრამ, ისევე როგორც ყველა პროფესიონალი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, საქმეში სასაცილოსა და სახუმაროს ველარაფერს დაინახავ კაცი. ოცკილომეტრიანი აღმართის სადღაც შუა ნაწილში მისი ფანტასტიკური შეტევები სპორტში სავსებით ჩაუხედავ ადამიანსაც კი მოხიბლავს. პანტანი ყველა სხვა დანარჩენივით არ ანგარიშობს, არ უთვალთვალებს, არ უსმენს მეტოქეების სუნთქვას — აი, დაიღალნენ და ეხლა კი დროაო, პანტანი სხვა დანარჩენებივით არ ელოდება უკანასკნელ მეტრებს — იქ მოვიგებ რამდენიმე წამსო. „პირატი“ რისკიან თამაშს სთავაზობს ოქროს მაძიებლებს — ბოლო მეტრები რა მოსატანია, სულ ცოტა 8-10 კილომეტრით ადრე წამოიმართება ველოსიპედზე და აბა, მომყევითო. ზოგიერთი მართლა მიჰყვება, მაგრამ დროებით — მთაში მარკო პანტანის მომგები დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება. ასე იყო ბოლო წლებში, მაშინ, როცა ტურ-97-ის შუა ეტაპებზე საშინლად გაცივდა, მაშინაც როცა ავარიების შემდეგ (ეს კი პანტანის ბიოგრაფიაში საკმაოდ ხშირი შემთხვევაა) თითქმის უვარჯიშებელი გადიოდა სტარტზე. მაშინაც, როცა 98-ში საერთო გამარჯვებისთვის იბრძოდა და კაცმა რომ თქვას, რისკის უფლება არც ჰქონდა. არ ჰქონდა იმიტომ, რომ ალპებში სულ ერთმა, ერთადერთმა გაუმართლებელმა შეტევამ შესაძლოა ყველაფერი დაგაკარგვინოს. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ მარკო პანტანის სხვაგვარად არ შეუძლია, ამიტომაც არის იტალიელთა და არა მარტო იტალიელთა კერპი.

არც შარშანდელი სეზონი იყო გამონაკლისი.

ჯიროს უკანასკნელისწინა ეტაპის წინ პანტანის გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, როცა საექიმო კომისიამ მარკოს შეჯიბრების გაგრძელება აუკრძალა. დოპინგის კვალი სისხლში არ აღმოუჩენიათ, მაგრამ თვითონ სისხლის შემადგენლობა არ ეჭაშნიკა კომისიას.

მას შემდეგ წელიწადი გავიდა. იმ სეზონში აღარც ტურზე გამოსულა, აღარც ვუელტაზე. წლევანდელი სეზონის სტარტზე ვითომ დააპირა რომელიღაც მეორეხარისხოვან შეჯიბრებაში მონაწილეობა, მაგრამ მალევე მიატოვა... ჯიროში რომის პაპის ლოცვაკურთხევით ჩაება. ცხადია, სავსებით უვარჯიშებელი. არავინ იცის, საკმარისი გამოდგა თუ არა ჯიროში გამოსვლა ფორმის აღსადგენად, მაგრამ რატომღაც მგონია ამას არცა აქვს დიდი მნიშვნელობა. პანტანი მაინც პანტანია!

გვირგვინის მესამე მაძიებელი ამერიკელი ლანს არმსტრონგია. იყო წარმატება მსოფლიოს ჩემპიონატზე, იყო საშინელი დიაგნოზი, ოპერაცია და აღდგენითი პროცესი. სულაც არ ვარ ამ ველოსიპედისტის ქომაგი, მაგრამ უზარმაზარმა ენერგიამ, ზღვა ნებისყოფამ და სიცოცხლისა და სპორტის უსაზღვრო სიყვარულმა, კაცი არ შეიძლება არ მოგაჯადოვოს. სამუდამო ინვალიდობისა თუ სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლთან მდგარი, ჯანმრთელებს შორის ყველაზე ჯანმრთელებთან ბრუნდება საპაექროდ და იმარჯვებს! ეს შარშან მოხდა, „ტურ დე ფრანსზე“. მართალია, არ იყვნენ არც პანტანი, არც ულრიხი, მაგრამ იყო მთელ დუნიაზე ნარჩევი ორასი ველომრბოლი.

### ჭრელია პელოტონი

პელოტონი მართლაც ჭრელია. განსხვავებული ხასიათები, განსხვავებული შესაძლებლობები, განსხვავებული მიზნები. ზუსტად ამ პრინციპზეა აგებული თითოეული გუნდიც. იქ არ შეიძლება იყოს ორი ლიდერი. იქ ერთი კაცია ყველაზე მთავრი, რომელიც საერთო ჩათვლაში გამარჯვებისთვის იბრძვის. დანარჩენი რვა ამ ერთადერთს თვალის ჩინივით უფრთხილდება, ეხმარება, როცა დახმარება სჭირდება, იცავს, როცა ამის აუცილებლობაა. 1997 წელი. „ტურ დე ფრანსი“. ბოლოსწინა ეტაპი. ახლაც თვალწინ მიდგას ცოტა არ იყოს ღიმილისმომგვრელი, გულუბრყვილო კადრი: გერმანელთა გუნდს პარიზისკენ მიჰყავს თავისი ლიდერი, ფაქტობრივად უკვე ჩემპიონი იან ულრიხი. მთელი გერმანია სუნთქვაშეკრული იცდის. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. კიდევ ცოტაც და ეს ოცდასამი წლის ბიჭი ყველაზე პოპულარულ კაცად იქცევა სამშობლოში. მანამდე კი მდორედ მიიზლაზნება პელოტონი დიდი მარყუჟის ფინიშისკენ. არა, არაფერი მოხდება გაუთვალისწინებელი, რადგან როსტოკელ სახეჭორფლიან ყმაწვილს, ახლა უკვე ოქროს ბიჭს ფხიზლად დარაჯობს მხედრიონი — ორ-ორი მცველი ფლანგებიდან, ორ-ორიც ავანგარდსა და არიერგარდში!

ჭრელია პელოტონი და, ცხადია ჭრელია გუნდიც. აქ აუცილებლად ჰყავთ ერთი ან ორი სპრინტერი, ერთი ან ორი მთის სპეციალისტი და ეგრეთ წოდებული გრეგარები — შავი მუშები, რომელთა გარეშე ვერც ულრიხი და ვერც პანტანი, ვერც ცულე [illegible] ნგი ვერაფერს გახდება [illegible] ძირითადად შეჯიბრების გასაფერადებლად სჭირდებათ, მათ პეპლებსაც ეძახიან. რა თქმა უნდა, არავის აზრადაც არ მოსდის ამ ჭეშმარიტად ყველაზე სწრაფი ველომრბოლების შეურაცხყოფა. მაგრამ სიმართლე მაინც ის არის, რომ მათი ოთხმოცდაათი პროცენტი ვერ ამთავრებს ვერც ერთ ზემოთ ნახსენებ მრავალდღიანს. ამთავრებს კი არა, მიადგება თუ არა პელოტონი მთიან ეტაპებს, ეს კი, ვთქვათ, „ტურ დე ფრანსზე“ მეექვსე-მერვე ეტაპზე ხდება (წლევანდელზე — მეათედან), ბევრი მათგანი წყვეტს ასპარეზობას. „მაპატიეთ, ბიჭებო, მაგრამ იქით ველარ გამოგყვებით, მე ველოსიპედისტი ვარ და არა ალპინისტი“... აი, დაახლოებით ამგვარი ფრაზით მთავრდება არა ერთი და ორი საკმაოდ პოპულარული სპორტსმენის გამოსვლა ჯიროზე, ტურსა თუ ვუელტაში. ყველაზე კარგი მაგალითი იტალიაში საოცრად პოპულარული ველოსიპედისტი მარიო ჩიპოლინია. მრავალ სპრინტერულ ფინიშის მომგებსა და საკმაოდ სიმპათიურსაც მეტსახელიც, ერთობ ოსტატურად შეურჩიეს — ლამაზი მარიო. თუნდაც შარშანწინდელი ვუელტას ამბავი რად ღირს. სულ ორი ეტაპი ჰქონდათ გავლილი ველომრბოლებს, როცა ჩიპოლინის იტალიაში გამართული ერთ-ერთი სილამაზის კონკურსის ორგანიზატორებისგან მიწვევა მოუვიდა — ჟიურის წევრად გვინდიხარო. ლამაზმა მარიომ არც აცია, არც აცხელა, დაჰკრა ფეხი და წავიდა.

მრავალდღიანი კაცების სპორტია. აქ ბოლომდე მხოლოდ ისინი რჩებიან, ვინც იცის გაძლების, თანაგუნდელის გატანისა და საერთოდ, კაცობის ფასი.

პელოტონის ჭრელ სურათს მეტიჩრები, ანუ ავანტიურისტები აბოლოებენ. ისინი ყველაზე ხშირად და, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდხანს ჩანან ტელეეკრანებზე. ისინი რეკლამას უკეთებენ გუნდსა და ცხადია, საკუთარ თავსაც. ისინი, როგორც წესი, საშუალოზე დაბალი კლასისანი არიან. დედის წინ მორბენალი კვიცივით იქცევიან. გაექცევიან პელოტონს, რამდენიმე ათეულ კილომეტრს მარტო ივლიან, მერე გამოეცლებათ ძალა და ფინიშამდე ვერმისულებს ნიაღვარივით მომსკდარი პელოტონი ჩაყლაპავს. ისინი განსაკუთრებით მრავლად არიან გუნდებში, რომლებსაც სერიოზული მიზნები არ გააჩნიათ. არის ეტაპები, როცა პელოტონი მთვლემარე ლომს წააგავს — ყურადღებას არ აქცევს აკუნტრუშებულ ავანტურისტს, მაგრამ ორ ასეულ კაცში ყოველთვის მოიძებნება რამდენიმე ამყოლი, ასე რომ ლიდერები ბოლოსდაბოლოს იძულებული ხდებიან მდევრების როლი იკისრონ და პედლების უმიზნო ტრიალში დახარჯონ მთებისთვის დაზოგილი ენერგია, უმიზნოში იმიტომ, რომ თითქმის ყველა სწორი ეტაპი გუნდური ფინიშით მთავრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ კონკრეტულ ეტაპზე ყველას ერთნაირი დრო ეწერება, გარდა პირველი სამი სპრინტერისა. მათ მიერ მოპოვებული რამდენიმე წამიანი უპირატესობა კი ვერანაირ საფრთხეს ვერ უქმნის საერთო ჩათვლაში გამარჯვების პრეტენდენტებს.

ყველაფერი ზემოთქმულის გამო, ცხადია, რომ პელოტონს არ უყვარს ავანტიტურისტები. ისინი განსაკუთრებით მომრავლდებიან ხოლმე ავტორიტეტის არარსებობის პირობებში. ახლა კი სწორედ ამგვარი ვითარებაა.

### პრეტენდენტი სამია. გვირგვინი — ერთი

ასე, რა თქმა უნდა, დიდხანს ვერ გაგრძელდება. პელოტონს მართლაც სჭირდება პატრონი. ამ არაოფიციალური ტიტულის პრეტენდენტი კი სამია — პანტანი, ულრიხი, არმსტრონგი. ცხადია, არავინ უკრძალავს ამ მთავარი მრავალდღიანის მოგებას არც შვეიცარიელ ალექს ცულეს, არც ამერიკელ ბობი ჯულიჩს, არც ბელგიელ ვანდერბრუკს, მაგრამ აქედანვე ნათელია, რომ ვერც ერთი პელოტონის პატრონად ვერ იქცევა.

ასე დიდხანს მართლაც ვერ გაგრძელდება. ადრე თუ გვიან ერთ-ერთმა მათგანმა გვირგვინი უნდა დაიდგას, დანარჩენებს კი მორჩილად მოუწევთ განზე გადგომა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მცირე მეფეები წლეულს ერთად უნდა შეჰყაროს ბედმა და ბოლოს და ბოლოს გაარკვიოს კიდეც, სინამდვილეში ვინ არის ამ ოთხიათასკილომეტრიანი გზატკეცილის ნამდვილი ბატონ-პატრონი.

**ირაკლი ბერიაშვილი**



ხვალიდან ტურის პელოტონი საფრანგეთის გზებს გაუყვება

# ცხოვრება მარტო პედლების ტრიალია?


ლენს არმსტრონგი

*მალე ერთი წელი შესრულდება, რაც ლენს არმსტრონგმა ველომრბოლთა უპრესტიჟულესი შეჯიბრი „ტურ დე ფრანსი“ მოიგო. მანამდე კი იგი კიბოს ებრძოდა და დაამარცხა კიდეც. გამოჯანმრთელდა თუ არა, სპორტს დაუბრუნდა და შარშან გმირობის ტოლფასი გამარჯვებაც მოიპოვა. ახლა ტეხასელი თავისი ტიტულის დასაცავად ემზადება და მეტოქეების მსგავსად უკვე საფრანგეთშია. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ამერიკელ ველომრბოლს ერთ-ერთ ფრანგულმა სააგენტომ ჩამოართვა*

**— ბოლო ერთი წლის მანძილზე ბევრი რამ მოხდა. „ტურ დე ფრანსში“ გაიმარჯვეთ, ცხრა თვის წინ ბიჭი შეგეძინათ. შეიცვალეთ თუ არა?**

— გეტყვით, რომ ყველაზე სასიამოვნო ცვლილება მამობაა. ჩემი დამოკიდებულება ველოსპორტის მიმართ დიდად არ შეცვლილა. ადრინდელივით ბევრს ვვარჯიშობ, რბოლებში ვმონაწილეობ და კვლავინდებურად დაძაბული ვარ, თუმცა არა, ახლა გაცილებით მეტად. მამობა რას მომიტანდა, შარშან ამაზე წარმოდგენაც არ მქონდა. მოლოდინის საპირისპიროდ, ეს არც ისე რთული ყოფილა, ჩემი ცხოვრება არ აურ-დაურევია. რა თქმა უნდა, ვაჟის შეძენა ბევრ რამეში დამეხმარა. მაგალითად, თუ რომელიმე რბოლაში ცუდად გამოვდივარ, ლუკის დანახვა, ან უბრალოდ მასზე ფიქრი მაშინვე მავიწყებს წარუმატებლობას და ხასიათიც გამომიკეთდება. იმედი მაქვს, ივლისში საამისოდ არ გამიხდება, თუმცა ლუკთან ურთიერთობა ყოველთვის მსიამოვნებს და, იქნებ რამდენიმე დღით დედამისთან ერთად საფრანგეთშიც ჩამოვიდეს.

**— შარშანდელი სეზონის დასრულების შემდეგ თქვენი ცხოვრება საკმაოდ მრავალფეროვანი გახდა. ძალიან ბევრ ცნობილ პიროვნებას ხვდებოდით, საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდით... ყველაზე მეტად ვინ მოახდინა თქვენზე შთაბეჭდილება?**

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. ძალიან დატვირთული ზამთარი მქონდა. ბევრ წვეულებაზე ვიყავი გამოჩენილ ადამიანებთან ერთად. ტელე და კინო ვარსკვლავების კომპანიაში ლამის ყოველდღე ვტრიალებდი. გავიცანი ელტონ ჯონი და ახლა ვიცი, ვინც არის. თუმცა იმ ხალხის უმრავლესობას არ ვიცნობდი. ერთხელ, რომელიღაც სალამოზე, სადაც დაჯილდოების ცერემონიალი მიმდინარეობდა, ჩემმა აგენტმა ბილ სტეპლტონმა ერთ ცნობილ კაცზე მიმითითა და მითხრა: „ხედავ? იცანი?“ მე კი ვუპასუხე, ცხოვრებაში პირველად ვხედავ-მეთქი. განსაცვიფრებელი იყო, მე კი მეცინებოდა. ცხოვრების მეტ წილს ევროპაში ვატარებ, ტელევიზიისა და კინოს საყურებლად ბევრი დრო არ მაქვს და არც მაინცდამაინც მიტაცებს. ამიტომაც არ მქონდა წარმოდგენა იმ საზოგადოებაზე. ის დღეები სასიამოვნო კი იყო, მაგრამ მაინც ძალიან ვიღლებოდი. აღარ მინდა, იგივე განმეორდეს.

**— „ტურის“ მოგებამ რა შეგძინათ?**

— ბევრი რამ. ახლა ვიცი, რომ თითქმის ყველაფრის დამტკიცება შემიძლია. მინდოდა მეჩვენებინა, რომ კიბოსგან განკურნება და მერე ჩვეულებრივი ცხოვრება შესაძლებელია. ჯანმრთელობა დღესაც ერთ-ერთი მთავარი რამაა ჩემთვის, მაგრამ ხალხი ასე არ ფიქრობს. ფინანსურადაც ბევრად უკეთ ვარ, თუმცა წლეულს უნდა დავამტკიცო, რომ მხოლოდ ამისთვის არ ვირჯები. იმის თქმა მინდა, რომ ბევრი მრბოლი ამდენი ფულის აღების შემდეგ საერთოდ აღარ გაიხედავდა ველოსიპედისკენ. მე კი წლეულსაც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ.

**— ამას წინათ წიგნი გამოეცით, რომელსაც „ცხოვრებაში მარტო ველოსიპედი არაა“ ჰქვია, მაგრამ ისე ჩანს, რომ ხანდახან მხოლოდ ველოსიპედია...**

— არა. ჩემი წიგნი ველოსპორტზე არაა. ცხოვრებაში კი არც მარტო ფულია მთავარი და არც მარტო ველოსიპედი.

**— ამერიკის შეერთებულ შტატებში სარეკლამო-საქველმოქმედო ტურნეს შემდეგ ვარჯიშის განახლება და რბოლებში დაბრუნება ხომ არ გაგიძნელდათ?**

— არა, პირიქით, ამოვისუნთქე. ამ ზამთარში ორიოდ დღით შინ თუ გავჩერდებოდი და ველოსიპედით გავისეირნებდი, ძალიან მიხაროდა. ასე რომ, კვლავ ევროპაში ჩამოსვლით და შეჯიბრებეში მონაწილეობით ერთობ ვისიამოვნე.

**თარგმნა ბაგი ბურულმა**




REUTERS ათენიდან

მორის გრინს ათენში ფეხი დაუცდა

# რეკორდის წლისთავზე გრინს წესი აუგეს

**შარშან** 16 ივნისს, ათენის ოლიმპიურ სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა დიდი პრიზის მორიგ ტურნირზე, ამერიკელმა მორის გრინმა სამძლეოსნო სამყაროს გაოცებისგან პირი დააღებინა — 100 მეტრი 9,79 წამში გაირბინა და მსოფლიოს რეკორდსმენი შეიქნა. შარშანვე, აგვისტოში, სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ახალგამომცხვარმა რეკორდსმენმა თავი არ შეირცხვინა და სამი ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. მორის გრინმა წლევანდელი სეზონიც ჩინებულად დაიწყო — 13 მაისს, ოსაკეს დიდ პრიზზე 100 მეტრი 9,91 წამში გაიქროლა, რაც სეზონის საუკეთესო შედეგი აღმოჩნდა. მერე „ოქროს ლიგის“ პირველ პარიზულ ეტაპზეც რიგიანად გაისარჯა, 200 მეტრზე ყველას აჯობა.

და აი, ისევ ათენი, ერთი წლის თავზე მორის გრინი კვლავ საბერძნეთის დედაქალაქს ესტუმრა და მასპინძლებმაც დიდი ხმაურით აღნიშნეს ეს ამბავი. თან ამერიკელს წამდაუწუმ ახსენებდნენ, ოლიმპიური სტადიონის სარბენი ბილიკი თქვენთვის იღბლიანია, იქნებ ახლაც რეკორდს გამოკრათ ხელიო. ოკეანისგაღმელი სტუმარიც დაპირებებს უხვად არიგებდა, მაგრამ...

სამი კვირის თავზე ამერიკაში სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე წამსვლელ მძლეოსანთა ნაკრების შემადგენლობას დაასახელებენ. ავსტრალიაში წასვლა ჯერ არავის აქვს დაბევებული. ამიტომაცაა, მთელს დუნიაზე გამართულ ტურნირებში ყველა თავის გამოჩენას რომ ცდილობს. ეტყობა, გრეგორი სადლერსაც სიდნეიში რბენა გულში ამოუჭრია და თვით ისეთ ავტორიტეტსაც კი არ უფრთხის, როგორიც მორის გრინია.

უფრთხის კი არა, გუშინწინ ათენში მსოფლიოს რეკორდსმენსს წესიც აუგო, 100 მეტრის გარბენას 10,08 წამი მოანდომა. მართალია, ვერაფერიშვილი შედეგია, მაგრამ სხვებმა და მათ შორის გრინმაც რომ „ზოზინით“ უწიეს ფინიშს?

სხვებში ტრინიდადელ ატო ბოლდონსა და ამერიკელ ტიმ მონტგომერის ვგულისხმობთ. მათ ის მაინც ექნებათ სათქმელი, ვერცხლ-ბრინჯაო ვირგუნეთო. მაშ, გრინს რაღა? რა და, მეოთხე ადგილი და თავს ლაფის დასხმა. ტურნირის მერე მოწყობილ პრესკონფერენციაზე იმედგაცრუებულ ბერძნებს რეკორდსმენმა აღალად უთხრა— „დღეს საშინლად ვირბინე, ძალიან დავიღალე და ახლა დასვენება არ მაწყენსო“.

ერთი სიტყვით, თუ შარშანდელი ივნისი და ათენი მორის გრინისთვის მართლაც იღბლიანი იყო, წლევანდელისა რა მოგახსენოთ. ამბობენ, საბერძნეთის დედაქალაქში შერცხვენის მერე მორისმა ოლიმპიურ გუნდში მოხვედრაც საჭოჭმანოდ გაიხადაო.

ახლა კი გრინი მოვასვენოთ და სხვებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ათენში არ ურბენია მარიონ ჯონსს, ამით კი ბერძენმა კატერინა ტანუიმ იხეირა, რომელმაც ბაჰამელები სანდრა შტურუპი და სავატედა ფუნესი მეორე-მესამე ადგილებს დააჯერა. უნდა გამოვარჩიოთ კუბელი შუბის მტყორცნელი ქალი ოსლეიდის მენენდესი. მის მიერ ნატყორცნმა შუბმა 66,35 მეტრზე იფრინა. გრძელ დისტანციებზე მორბენლებში კი, ცხადია, კენიელებს არ ჰყავდათ ბადალი, 1000 მეტრზე ნოა ნგენიმ უწია პირველმა ფინიშს, 3000 მეტრზე კი სახელოვანმა დანიელ კომენმა იმარჯვა.

**სოსო ქოტორეიშვილი**

## მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგი

| | | |
|---|---|---|
| **ქალები** | | |
| 1. მარიონ ჯონსი (აშშ) | 1429,74 ქულა | 100, 200მ. სიგრძეზე ხტომა |
| 2. გაბრიელა საბო (რუმინეთი) | 1425,87 | 3 000, 5 000მ. |
| 3. ინგერ მილერი (აშშ) | 1418,23 | 100, 200მ. |
| 4. სვეტლანა მასტერკოვა (რუსეთი) | 1416,92 | 1 000, 1 500, 800მ. |
| 5. დეონ ჰემინგსი (იამაიკა) | 1403,60 | 4 00მ. თარჯრბენი |
| 6. ნეჟა ბიდუანე (მაროკო) | 1402,64 | 400მ. თარჯრბენი |
| 7. მარია მუტოლა (მოზამბიკი) | 1402,12 | 800მ. |
| 8. პარასკევი ციამიტა (საბერძნეთი) | 1394,60 | სამხტომი |
| 9. სარა გუაზიზი (მაროკო) | 1393,20 | 3 000, 5 000მ. |
| 10. გლორი ალოზიე (ნიგერია) | 1390,28 | 100მ. თარჯრბენი |
| **კაცები** | | |
| 1. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) | 1487 ქულა | 1 500, 2 000, 3 000მ. მილი |
| 2. მორის გრინი (აშშ) | 1483,23 | 100, 200მ. |
| 3. მაიკლ ჯონსონი (აშშ) | 1459,92 | 200, 300, 400მ. |
| 4. ნოა ნგენი (კენია) | 1454,60 | 1 500მ. მილი |
| 5. უილსონ კიპკეტერი (დანია) | 1436,80 | 800მ. |
| 6. მაქსიმ ტარასოვი (რუსეთი) | 1434,96 | ჭოკით ხტომა |
| 7. ჰაილე გაბრესელასიე (ეთიოპია) | 1433,29 | 2 მილი, 3 000, 5 000, 10 000მ. |
| 8. ბერნარდ ბარმასაი (კენია) | 1425,25 | 3 000მ. წინაღობებით |
| 9. ივან პედროსო (კუბა) | 1424,98 | სიგრძეზე ხტომა |
| 10. ბენიამინ ლიმო (კენია) | 1418 | 3 000, 5 000მ. |



# კრისტიან კალენის კეპი


კრისტიან კალენი

**შოტლანდიასთან** გასამართ მეორე ტესტში ახალზელანდიელი კრისტიან კალენი რეკორდს დაამყარებს. მას ყველაზე მეტი კეპი დაუგროვდება მცველთა შორის. ეს მისი 32-ე სანაკრებო თამაში იქნება მე-15 ნომრად და 50-60-იანი წლების ლეგენდარულ მორაგბეს დონ კლარკს ერთით გაასწრებს. კალენს, წესით, კლარკის მიღწევა შარშან უნდა გაეუმჯობესებინა, მაგრამ „ოლ ბლექსის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯონ ჰარტმა იგი სამმეოთხედლად აათამაშა მსოფლიოს თასზე.

ახალი ზელანდიის ნაკრებში რამდენიმე ცვლილებაცაა. ყოფილი კაპიტნის ტეინ რენდელის ადგილს ძირითადში რებენ ტორნი დაიკავებს. თავიდან თადარიგში ყოფნა მოუწევთ ალატინს და ფლეველსაც. „შავების“ ახალი თავკაცი უეინ სმიტი მათ ნაცვლად მარკ რობინსონს და ალამა იერემიას ათამაშებს. ნაკრებს დაუბრუნდება მეუვსიც და შერკინების წინახაზი მთლიანად დანიდინური იქნება.

საწინააღმდეგო ბანაკში მხოლოდ ... ჭულებითი, ტრავმებით გამოწვეული ცვლილებებია, რადგან შოტლანდიის მთავარი მწვრთნელი იან მაკგიჩენი თავისი შეგირდების თამაშით ჰოუკის ყურის ნაკრებთან ძალიან კმაყოფილი დარჩა. „ყველა მშვენივრად გაისარჯა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო მეტოქე იოლად დაგვეჯაბნა და ახალზელანდიელი მაყურებლისთვის დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენც ვიცით რაგბის თამაში. იმედი მაქვს, ამას „ოლ ბლექსთანაც“ შევძლებთ“ — თქვა შოტლანდიელთა დამრიგებელმა.

დავტოვოთ ახალი ზელანდია და გადავინაცვლოთ სამხრეთ აფრიკაში, საიდანაც გუშინ სალამოს „ქურციკები“ აყრილან და რადგან ერთი ნახტომით ავსტრალიაში ვერ ჩახტებოდნენ, ამიტომ იქ მოსახვედრად თვითმფრინავი დაუხმარებიათ. სამხრეთ აფრიკის ნაკრების დამრიგებელმა ნიკ მალეტმა იგივე შემადგენლობა იახლა კუნძულ-კონტინენტზე, წინა უქმეებზე ინგლისთან ტესტი რომ წააგო. ეს გადაწყვეტილება მწვრთნელმა იმით ახსნა, რომ შეტევასა და ლაღ თამაშზე აქვს ორიენტაცია აღებული და მიზნის მისაღწევად სწორედ ეს ხალხი სჭირდება. ვნახოთ, რა გამოვა აქედან. მანამდე კი გეტყვით, რომ ტურნეში „ქურციკები“ სამ ტესტსაც გამართავენ — 8 ივლისს მელბურნში ავსტრალიას შეხვდებიან ნელსონ მანდელას თასზე; 22 ივლისს კრაისტჩერჩში ახალ ზელანდიას, 29-ში კი სიდნეიში ისევ ავსტრალიას სამი ერის პირველობაზე შეერკინებიან.

**გაიოზ თალაქვაძე**

დასაწყისი პირველ გვერდზე

# ტკბილი წყვილი, მწარე მარცხი





REUTERS ლონდონიდან

არა, მარტინა ჰინგისს მაგნუს ნორმანის უსუსურობა არ გახარებია, არც უეჭვიანია

„მარტინა კარგად მექცევა და ჩემი ნამდვილი ბურჯია. ჩვენ კარგად გვესმის ერთმანეთის, რადგან ერთნაირი ზეწოლის ქვეშ ვართ — ვალში არ დარჩა ნორმანი და მეტად საინტერესო ფრაზაც დაურთო — ჩოგბურთზე საერთოდ არ ვსაუბრობთ, გაცილებით უკეთესი საქმით ვართ დაკავებულნი."

მეორე წრის მატჩები შვედმაც და შვეიცარიელმაც ოთხშაბათს ითამაშეს, თუმცა ნორმანი კორტზე უფრო ადრე გავიდა.

მისი 19 წლის, საოცრად ჩია მეტოქე ოლივიე როშიუ კარიერაში მეორედ ასპარეზობდა დიდი სლემის ტურნირზე და უიმბლდონამდე საუკეთესოთა ასეულის არც ერთი წარმომადგენელი არ დაემარცხებინა.

პატარა, მაგრამ მარდი ბელგიელი ვერც ჯანით დაიკვეხნის და ვერც მძლავრი მოწოდებით, სამაგიეროდ, უკანა ხაზიდან ძალიან იშვიათად ცდება და კარგად იყენებს მეტოქის დარტყმათა ძალას.

სკანდინაველს სულ უფრო უჭირდა დაუქანცავ და ენერგიულ როშიუსთან გამკლავება, თანაც მეოთხე სეტის ბოლოს მოსრიალდა, მიწას დაენარცხა და მარჯვენა ფეხი იტკინა.

გადამწყვეტ სეტში ნორმანი ისე უსუსურად გამოიყურებოდა, რომ 1:5-ზე ჩოგანი ბურთის მიმტან გოგოს შეაჩეჩა: „მეტი არაფრის გაკეთება არ შემეძლო. ისე ცუდად ვთამაშობდი, ვიფიქრე, ის ჩემზე უკეთ გაირჯება-მეთქი. მგონი, მართლაც ასე მოხდა... ბალახი ჩემი საყვარელი საფარი არ არის. აქ ბურთი ისე დაბალზე ხტება, ლამის დარტყმაც მეშინია."

საბოლოოდ ბელგიელმა სამ საათზე ოდნავ მეტში გაიმარჯვა — 6:4, 2:6, 6:4, 6:7 (4:7), 6:1 და განაცხადა, რომ უიმბლდონზე შემთხვევით მოხვდა: „წინა კვირაში პორტუგალიაში სათიხნარო პატარა ტურნირზე ვთამაშობდი და ჯერაც ვერ გადამეწყვიტა, აქ კვალიფიკაციაში ოფლის ღვრა თუ ღირდა. მხოლოდ ბოლო წამს ვთქვი, წავალ-მეთქი. ასეთ წარმატებაზე არც მიოცნებია."

და რას შვრებოდა ამ დროს ჰინგისი? ვიდრე მისი გულის მურაზი პირველ კორტზე ცოდვილობდა, მან ჩინელი ჟინ უის 6:4, 6:1 დამარცხებაც მოასწრო და მარი პირსთან ერთად წყვილებში თამაშის დაწყებაც: „ვიცოდი, რომ მაგნუსს ძალიან უჭირდა, მაგრამ მისი მატჩის ცქერა არ მსურდა, ზედმეტად ვნერვიულობ-ხოლმე. სამწუხაროდ, მან წააგო, თუმც დარწმუნებული ვარ, ჩემი წარმატება აუნაზღაურებს იმედგაცრუებას."

რამდენიმე საათით ადრე სერენა უილიამსმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ჩოგბურთელთან რომანის გაბმა თამაშზე ცუდად მოქმედებსო. როდესაც ეს კომენტარი ჰინგისს მოახსენეს, მან პასუხში ბარაქიანი გესლი გაურია: „რალაც მეეჭვება, მსგავსი რამ სერენას საერთოდ გამოეცადოს (დებ უილიამსებს მშობლები პაემანზე წასვლასაც კი უკრძალავენ), ასე რომ, საიდან იცის, რომ ლაპარაკობს?... მე კოლეგებთან ადრეც მქონია მსგავსი ურთიერთობა, მაგრამ ამას ცუდი არაფერი მოუტანია. მთავარია, ერთმანეთს პატივს ვცემდეთ და ვენდობოდეთ."

## საუკეთესო

იქნებ ცოტა უცნაურად ჟღერს, მაგრამ ამდენი წერის და პრესკონფერენციებზე სიარულის გამო, აგრეთვე იმის შიშით, რაიმე სენსაცია არ გავუშვა ხელიდან, საკუთრივ მატჩებზე დასწრების დრო თითქმის არც მრჩება. ამიტომ დღის განრიგის გადახედვისას ერთ-ორ შეხვედრას წინასწარ გამოვარჩევ და ვცდილობ, აუცილებლად დავესწრო.

ოთხშაბათს ასეთი პატივის ღირსად პიტ სამპრასისა და კაროლ კუჩერას მატჩი ჩავთვალე და არც შევმცდარვარ — ცენტრალურ კორტზე შესანიშნავი სპექტაკლი ვიხილე ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელის შესრულებით.

არა მგონია, „პისტოლ პიტის" მოწოდებაზე უფრო მძლავრი იარალი ოდესმე ყოფილიყო ჩოგბურთში. ერთ ნახვად ღირს, როგორ მიიტანს ჩოგანს და ბურთს ერთმანეთთან, ცალი თვალით გახედავს, უცებ წელში გაიმართება და ბადის მეორე მხარეს ტყვიას გაისვრის.

მატჩის დროს ჩემს გვერდით ჩეხი ჩოგბურთელი სლავა დოსედელი იჯდა, ამ მომენტში, ცოტა აკლდა, თვალებზე აეფარებინა ხელი. სამჯერ ვეთამაშე სამპრასს და მოწოდება ერთხელ ავართვიო, ლამის სიამაყით მითხრა.

პიტი ამ დღეს სწორედ მოწოდებამ გადაარჩინა. მესამე სეტის ბოლოს მან მოულოდნელად კოჭი დაიზიანა და ექიმი მთელი შვიდი წუთის მანძილზე წამლობდა, თუმც ამის შემდეგაც უჭირდა ამერიკელს მოძრაობა.

კუჩერა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მიმღებია, შესანიშნავად თამაშობდა და ფანტასტიკურ შემოვლებულებსაც ურტყამდა, მაგრამ ნახევარ სამპრასს მაინც ვერაფერი დააკლო. ვინ იცის, კარიერაში უკვე მერამდენედ, ამერიკელმა ტკივილი არ დაიტყო და მომდევნო წრის საგზური მოიპოვა — 7:6 (11:9), 3:6, 6:3, 6:4.

მატჩის შემდეგ სამპრასი პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს, სადაც მყესის ანთება დაუდგინეს. იგი პრესკონფერენციაზე ვერ გამოცხადდა. გუშინ მისი მაგივრობა მწვრთნელმა პოლ ანაკონმა გასწია.

„პიტს ფეხი პირველად ვარჯიშისას წამოსტკივდა და მატჩის დაწყების შემდეგ ტრავმა სულ უფრო და უფრო გაუუარესდა. ექიმები ყველაფერს ილონებენ, რომ თამაში შეძლოს და ვგონებ, ასეც იქნება. მართალია, დღეს და ხვალ გონებაში მოუხდება წავარჯიშება და 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდსაც ვერ შეუტევს, მაგრამ პიტს ადრეც დაუღწევია თავი ასეთი სიტუაციებისთვის."

ტურნირს შემორჩენილი ყველა სხვა კონკურენტი, დარწმუნებული ვარ, საწინაალმდეგოზე ილოცებს.

## ბოდიში, გმადლობთ

რაც დრო გადის, პრესცენტრში ჩემთვის სულ ახალ-ახალ აღმოჩენებს ვაკეთებ. როგორც საკმაოდ სქელტანიანი „მედია გაიდიდან" დავადგინე (ეს ჟურნალისტთა უფლებებისა და მოვალეობების თითქმის დაწვრილებითი ნუსხაა), თურმე შემიძლია, საგანგებო ბილეთი მოვითხოვო მოთამაშეთა მოსასვენებელ ტერიტორიაზე შესასვლელად. ოღონდ ერთი პირობით — უკან 40 წუთში უნდა დავბრუნდე, თორემ ჩემს სახელს შავ სიაში შეიტანენ და მეორედ აღარ შემიშვებენ.

დაძაბული დაკვირვება-თვალთვალის შედეგად აღმოვაჩინე ღრმად კონსპირირებული და უცხო თვალისთვის კარგად შენიღბული ცხელ სასმელთა ჩამოსასხმელი აპარატიც. ევრიკა! ახლა შესანიშნავ კაპუჩინოს გეახლებით და უახლოეს მომავალში ცხელ შოკოლადსაც მივირთმევ.

თუ პირველი ორი დღის განმავლობაში ამ მართლაც არაჩვეულებრივ „მილენიუმ ბილდინგში" უკომპასო მოგზაურივით დავეხეტებოდი, თანდათან ყველაფერს გავუშინაურდი: ახლა პრესკონფერენციებისთვის გამოყოფილი ოთახების ნაცვლად საპირფარეშოში აღარ შევდივარ და აღარც რესტორანი და ფაქსის გასაგზავნი ბიურო მერევა ერთმანეთში.

პრესცენტრი სამსართულიანია. პირველზე მომსახურე პერსონალი და ინგლისელი ჟურნალისტები არიან განთავსებული, მეორეზე — ტელეფონები, ფაქსები და მასპინძლებთან კარგ დამოკიდებულებაში მყოფი ქვეყნების წარმომადგენლები.

მესამე სართულზე, ესე იგი, იქ, სადაც მე ვიმყოფები, მასმედია განუვითარებლობა-კორუმპირებულობის მიხედვით არის განაწილებული. მაგალითად, ირგვლივ რუსები, ჩინელები, პაკისტანელები და ყველა ჯურის არაბები სხედან. ჩვენთან ერთად გადასახლებაში ინგლისელთაგან ათვალწუნებული ფრანგები და გერმანელებიც მოხვდნენ.

ჩემდა გასაოცრად, დარბაზში ყველაზე მეტნი პოლონელები არიან — ძირითად ბადეში მათ ერთადერთი წარმომადგენელი, მაგდალენა გრჟიბოვსკა ჰყავთ (მეორე წრეშივე წააგო), ტურნირს კი ერთბაშად 8 ჟურნალისტი ესწრება.

რომ იცოდეთ, ყველანი როგორი ზრდილობიანები ვართ. ამდენი მადლობა, ბოდიში, გეთაყვა და ვწუხვარ ცხოვრებაში არსად მომისმენია. ამას წინათ ოთახში შესვლისას კარი გავაღე და რაკი მეორე მხრიდან გამოსვლის ათამდე მსურველი იყო, ადგილი დავუთმე. თითოეულმა მადლობა გადამიხადა და ისე შემომცინა, თითქოს სიკვდილისგან გადამერჩინოს.

დარბაზში ჟურნალისტებისთვის გამოყოფილი მერხების რამდენიმე რიგი დგას, თითოეულ ჩვენგანს წინ „ფილიპსის" ტელევიზორი უდგას დისტანციური მართვით და 33 არხით. BBC-ის გარდა გადმოსცემენ რეპორტაჟებს ოცივე კორტიდან, ზოგან მხოლოდ მიმდინარე შედეგები და მატჩების მონაცემებია, ერთი არხი კი მხოლოდ პრესკონფერენციებზეა დაგეშილი.

ჩემგან მარჯვნივ რუსული „სევოდნიას" კორესპონდენტის ადგილია, მაგრამ ჯერ თვალითაც არ მინახავს, მარცხნივ კი ახალგაზრდა ჩინელი ზის. სახელი რამდენჯერმე გავამეორებინე, მაგრამ წესიერად მაინც ვერ გავიგე, რა ჰქვია — ჯიო ჩი, ჟაო ჩე, ჩაი ჯი თუ რალაც ამგვარი.

მისგან შევიტყვე ის, რაზეც დიდხანს ვიმტვრევდი თავს: როგორ ბეჭდავენ ჩინელები იეროგლიფებს კომპიუტერზე. თურმე სიტყვა ჯერ ინგლისურად შეჰყავთ და მერე სპეციალურ გადამყვანს აჭერენ ხელს. მთლიანობაში ჩი-ჩე-ჯი ცუდი ვინმე არ ჩანს.

ჩემი საშვით ყველა კორტზე შემიძლია შესვლა ცენტრალურისა და პირველის გარდა. ამ ორზე მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე სპეციალურ ერთჯერად ბილეთს ვითხოვხოლმე და ჯერჯერობით ერთხელაც არ დავრჩენილვარ გაწბილებული.



REUTERS ლონდონიდან

პიტ სამპრასი

**ქალები. მეორე წრე:** **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:7 (5:7), 6:3, 6:3; **მაგუი სერნა** (ესპანეთი) — მარი პირსი (3, საფრანგეთი) 7:6 (7:5), 7:6 (7:4); **პატრიცია ვარტუში** (ავსტრია) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 7:6 (8:6), 6:3; **სარა პიტკოვსკი** (საფრანგეთი) — კატალინა კრისტეა (რუმინეთი) 5:7, 7:6 (7:5), 6:2; **ელენა დოკიჩი** (ავსტრალია) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:1; **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 3:6, 6:3, 6:3; **ლილია ოსტერლოჰი** (აშშ) — ამანდა კეტცერი (12, ს. აფრიკა) 7:6 (7:0), 6:2; **მარიამ ორემანსი** (ჰოლანდია) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 1:6, 7:5, 6:3; **მონიკა სელეში** (6, აშშ) — ელს კალენსი (ბელგია) 6:4, 6:4; **ანასტასია მისკინა** (რუსეთი) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) 6:4, 6:2; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (9, ესპანეთი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:3, 6:1.

**კაცები. მეორე წრე:** **ტომას იოჰანსონი** — ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) 6:1, 7:6 (7:0), 6:4; **სხენგ შალკენი** (ჰოლანდია) — კრისტოფ როშუს (ბელგია) 6:4, 6:3, 6:1; **დავიდ პრინოზილი** (გერმანია) — სტეფან უეტი (საფრანგეთი) 6:4, 2:6, 6:1, 6:2; **ტიმ ჰენმანი** (8, ბრიტანეთი) — არნო კლემენტი (საფრანგეთი) 6:4, 6:4, 6:4; **ჰიშამ არაზი** (მაროკო) — სებასტიან ლერუა (კანადა) 6:3, 3:6, 6:7 (6:8), 6:4, 9:7; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — ნიკოლას ესკუდე (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:3), 7:6 (7:5); **მარტინ დამი** (ჩეხეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 7:5, 7:6 (7:4), 6:3; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:3, 7:6 (7:3), 6:3, **პატრიკ რაფტერი** (12, ავსტრალია) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 6:3, 6:3, 6:4; **მაგნუს გუსტაფსონი** (შვედეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:4, 6:3, 6:1; **გუსტავო კუერტენი** (4, ბრაზილია) — ჯასტინ ბოუერი (ს. აფრიკა) 6:4, 6:4, 7:5; **მარკ ფილიპუსისი** (10, ავსტრალია) — არნო დი პასკუალი (საფრანგეთი) 4:6, 7:6 (7:0), 6:3, 6:0.



REUTERS არნემიდან

## ძოვენ და ფიქრობენ

ეს ძროხები ჰოლანდიურ საძოვრებზე მშვიდად იცოხნებიან და ფიქრობენ, აქამდე შიშვლები დავდიოდით, ახლა კი რაღაც ნარინჯისფერი ნაჭრები გადაგვაფარეს, ზედ რიცხვები აწერია. ალბათ, პატრონს ერთმანეთში რომ არ ავერიოთ, იმიტომ.
ძროხების პატრონი კი საღამოს ცოლს ეტყვის, დაიდსი კარგად იწველება, სტამს რძე გაუშრა, კლუივერტს კი დავკლავ, მაგის ფეხებისგან გაკეთებული ხაში ვჭამოთო.



## ფრთები, ფრთები გვინდა

შვეიცარია ევროპაშია. ამ ქვეყანაში კი მხარეა, გრინდევალდი, სადაც ეიგარის მთა წამოჭიმულა. მას ჩრდილოეთიდან თუ მიადგებით, ფოტოზე აღბეჭდილ კლდეს შენიშნავთ, აქაურებმა „ჩემპიონად“ რომ მონათლეს. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 3970 მეტრია.
ზოგს რატომღაც ფეხბურთი იზიდავს, ავსტრიელ ჰანს არხს კი ზემოდან ქვემოთ ხტომა ურჩევნია. ეს ამაღლებული ადგილიც ამიტომ არჩია და ახლა პარაშუტის გახსნას ელოდება. აღსანიშნავია, რომ არხი პირველი ადამიანია, ვინც „ჩემპიონიდან“ ისკუპა. აქამდე სად იყვნენო, იკითხავთ. ამ კლდეზე აბობღება სინჯეთ და თავადვე მიხვდებით.

## ყველგან ბატისტუტაა

ჩახვალთ ფლორენციაში და ქუჩაში ნაბიჯს ისე ვერ გადადგამთ, გამვლელთა მაისურებიდან ბატისტუტა არ გიღიმოდეთ. მერე რომში გადაინაცვლებთ და იქაც იგივეს დაინახავთ. ბუენოს აირესზე ხომ ნულარ იტყვით. გაბრიელ ომარის პორტრეტის ცქერა თუ გაღიზიანებთ და ისეთი ქალაქის მოძებნა გინდათ, სადაც მის ქომაგებს ვერ გადაეყრებით, ბოგოტას ნუ მიაშურებთ. გუშინ იქ ბატისტუტა და არგენტინის ნაკრები სტუმრობდა და კოლუმბიის დედაქალაქის ქუჩებიც ბატიგოლის პლაკატებით გადაიჭედა.





REUTERS ბოგოტადან





REUTERS ბრიუსელიდან

## არ დაიდარდოთ

ჟაკ შირაკი და ბელგიის პრინცი ლორენსი ფრანგთაგან პორტუგალიელთა ძლევას თავშეკავებულად აღნიშნავენ, ისე, როგორც მათ მდგომარეობას შეეფერება. გვერდით კი პორტუგალიელი ჩინოსანი დგას და თავისიანებს ანიშნებს, ნუ იდარდებთ, პორტუგალიის მთავრობა ნახევარფინალში გასვლასაც დაგიფასებთო.

## ხომ ლამაზია კარამბუს ცოლი...

ვინ არის ფრანგთა ნაკრებში ყველაზე მაგარი ბიჭი? ზიდანიო, იტყვით. მე კი გიპასუხებთ, გააჩნია რაში. ზიზუს ფეხბურთში ვერავინ შეედრება, აი, ცოლების ამბავში კი კრისტიან კარამბუა სწორუპოვარი.
სლოვაკი ადრიანა სკლენარიკოვა ქალიშვილობაში (უფრო სწორად, გათხოვებამდე) ბრატისლავის „სლოვანის“ ერთგული ქომაგი ყოფილა, მადამ კარამბუდ ქცეული კი საფრანგეთის ნაკრებს ამჯობინებს და პორტუგალიასთან შეხვედრასაც ამიტომ ესწრება. ისე, ფრანგი ფეხბურთელები ქილიკობენ, მართალია, ჩვენი ცოლები ასე არ ბრწყინავენ, სამაგიეროდ, რქებსაც არ გვადგამენო. ადრიანა ამგვარი რამეებითაც ყოფილა განთქმული.



REUTERS ბრიუსელიდან

## სიღრმეში

ევროპელი წყალში მხტომელები ჰელსინკის მაკულანრინეს საცურაო კომპლექსში კონტინენტის ჩემპიონობას ეცილებიან ერთმანეთს. რაკიღა ამ სპორტში მოქმედება წყალსქვემოთაც ხდება, სპორტსმენისთვის თვალის შევლება აუზის სიღრმიდანაც უპრიანია.
ეს გოგონა კი ფინელი სატუ პირპონემი გახლავთ. ახლა ამოყვინთავს და მიღებულ ქულებსაც დაითვლის.



REUTERS ჰელსინკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge